


ლიტერატურული გაზეთი

№4 (212) 23 თებერვალი - 8 მარტი 2018

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ლიტერატურული გაზეთი



შენ ახლა ჩემსკენ
მოხედვაც გიჭირს,

მე კი —
მე მაინც შენთვის ვილოცებ,
სანამ ხელოსნის შავ-თეთრი ნიჭი
გადამხატვადეს
მარმარილოზე...
რა ვქნა, თუ თავი
ვერაფრით გარგე,
ეს წლებიც ტყვიას
ტყვიაში აჯენს,
და ჩემს სიმაღლე
გაბზარულ სარკეს
ჩამოაფარებს ჭვარტლისფერ ნაჭერს;
და მერე ქვაზე,
დიდი ხნის წინათ,
დამტოვებს მარტო
ვარდების
წვაში
...მერე დაურბენს
საფლავებს წვიმა
და შენგან ნაშლის,
ქვაზედაც ნამშლის...

პარღები სარკეში

გარეთ ღამეა ამღვრეული,
ოთახში უშენობის მარაგია...
ვარდები,
ბროლივით დამსხვრეული,
დამჭკნარ ლარნაკში ალაგია...

სარკეში მუნჯივით ვიკეტები,
ყვავილის მიმყვება აგონია...
და როცა სარკიდან ვიხედები,
სარკის წინ თუ ვდგავარ...
არ მგონია!..

ვასილ ბესელია

IV-V

სულში ნათელი ისე მიღამდა...
ეს ბედიც ჩემი ტყუპის ცალია;
როგორც შევძელი,
ისე მიყვარდა,
მე არ შემეძლო უფრო ძალიან.
ოცნებაც სულში ისე მიმიცხრა...
ღველფილა შემრჩა —
კვამლის შემცველი;
ვინც ხელალებით გადამივიწყა,
მე დავივიწყე —
როგორც შევძელი.
დავრჩი ამარა უფლის შენევის...
დრო კი მიფრინავს ქაფის მოგდებით...
ისე ვიცოცხლე —
როგორც შევძელი,
და როგორც შევძლებ —
ისე მოვკვდები!



მე 80-იანი წლების სტუდენტი ვიყავი. კომუნისტური რეჟიმი ჯერ კიდევ სუნთქავდა. მართალია, საძირკველი მორყეოდა, მაგრამ ნონანსორობას ინარჩუნებდა. სიღამის სუნი ყველგან იგრძნობოდა, ყველა სფეროში. უმაღლეს სასწავლებლებში კათედრის გამგებებსაც კი არ შეეძლო ნიჭიერი სტუდენტები ასპირანტურაში დაეტოვებინათ, ზარს ელოდნენ „ზემოდან“. საბჭოთა იმპერიის კაბინეტებში გაისმოდა მაგიური სიტყვები: „ვისი ნომენკლატურაა, ცეკასი თუ კვბსი?“ ან პარტიის წევრი უნდა ყოფილიყავი ან უშიშროების რჩეული, იერარქიის კიბეზე ასვლა რომ დაგეწყოს. „ნაველ ჯარში, შეველა პარტიას, მამაჩემი შემპირდა, ცოლს თუ მოიყვან, მანქანასაც გიყიდი“, — ასეთი პრიმიტიული ოცნებები ჰქონდათ სოფლის ბირჟებზე მდგარ ჯერ კიდევ პირტიტველა ბიჭებს. დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდობის ნაწილი რუსეთის პროვინციებში იყო გაკრფილი, სადაც ერთი ყუთი ჭაჭის, კონიაისა და გოჭის ფასად ნებისმიერ უმაღლესში მოეწყობოდა. რამდენიმე ათასად კანონიერი ქურდიც კი გახდებოდა, თუკი სათანადო მონაცემები და სურვილი გქონდა. კორუფციას ყველა სფეროში შეეღწა. ციხეებში ხალხს ანამებდნენ, დაკითხვისას ადამიანები ფანჯრიდან ხტებოდნენ, საინფორმაციო საშუალებები კი, დოჩანაშვილის ღამის დარაჯივით, გვარნმუნებდნენ, საღამოს ცხრა საათია და ყველაფერი გენიალურადაა.

აი, ასეთ პერიოდში მომინია სტუდენტობა. პროტესტის ნიშნად ხშირად ვსვამდი, უფრო იმის გამო, რომ გალოთება მერჩია კომუნისტური იერარქიის კიბეზე ასვლას. კარგად მახსოვს, როგორ აღიარა ერთმა ცნობილმა პროფესორმა სსრკ-ს დაშლის შემდეგ, კვბ-ში იმიტომ შევედი, აკრძალული უცხოური ლიტერატურის ნაკითხვა რომ შემძლებოდაო. მე ასეთ მსხვერპლს ვერ გავიღებდი...

V კორპუსში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ბიჭები ცოტანი ვიყავით, ასე რომ, შეუძლებელიც კი იყო, ერთმანეთი არ გაგვეცნო. მეცნიერულ კომუნიზმს, ათეიზმსა და პარტ. ისტორიას ხშირად ვაცდენდი, ასევე სხვა მოსაწყენ ლექციებს და თავისუფალ აუდიტორიას ვაფარებდი თავს. იქ გავიცანი უფროსკურსელი ირაკლი ჩარკვიანი. დროის მოსაკლავად ლექციების გამცდენი სტუდენტები ხან ასობიანას ვთამაშობდით, ხან ასოციაციობანას.

მაღე ირაკლის და მე ბევრი საერთო გატაცება აღმოგვაჩნდა, ორივეს გვიყვარდა თომას მანის „ჯადოსნური მთა“, ტარკოვსკის „სტალკერი“, ფოლკნერის რომანები, მუსიკა და პოეზია... „თუ დაკვირვებხარ, სტალკერის დასაწყისში კადრი შავ-თეთრია, შემდეგ კი ფერად სამყაროში შევდივართ, — მითხრა ერთხელ V კორპუსიდან ლგოვის ქუჩაზე, ჩემ სახლში წასვლის წინ, მერე კი დაამატა, — დღეს სტალკერი მე ვიქნები!“ ვარდის ხეივანი და აუზიან ეზოში თანაკურსელ გოგონებთან ერთად რომ დავსხედით, თავი პუშკინის ზღაპარში მოხვედრილად იგრძნო. „სადმე გრძნეული კატა ხომ არაა, ან მოლაპარაკე თავი?“ — იკითხა და იქაურობა შეათვალიერა. მოლაპარაკე თავისა რა მოგახსენოთ და გაველურებულ კატები ჩემ ეზოში დროდადრო მართლაც გამოჩნდებოდნენ ხოლმე. სასმელი რომ მოგვეკიდა, ბოდლერის პროზაულ პოემა „ჰაშიშზე“ ჩამოვარდა საუბარი. „დოდის წინ ცხენებს ხანდახან ღვინომოსხმულ კანაფს აჭმევდნენ, რომ აგზნებულიყვნენ და შეჯიბრში გაემარჯვებინათ“, — თქვა ირაკლი. თურმე ეს ბალახი პირველად ცხენებმა აღმოაჩინეს, მთვრალეები უჩვეულოდ კუნტრუშობდნენ, ზურგზე ნებოდნენ და ტლინკებს ყრიდნენ. მერე ადამიანებიც დაინტერესებულან და გაუსინჯავთ. სკვითები კანაფის თესლს გახურებულ ლოდებს აყრიდნენ და კვამლს ისუნთქავდნენ. ნებისმიერ ორთქლის აბანოს ერჩიათ, მაგარ სიამოვნებას ლებულობდნენ. „საერთოდ, ადამიანს რა მიდრეკილება და ნიჭიც აქვს, ნარკოტიკების მოხმარებისას უმძაფრდება. ქურდი კაიფში, მაგალითად, იმაზე იფიქრებს, რა მოიპაროს, მუსიკოსი — მუსიკაზე, პოეტი — ლექსზე... სწორედ ამის თქმა სურდა ბოდლერს“, — განავრძობდა ირაკლი. ბოდლერის პროზაული

პოემები მოგვიანებით მეც წავიკითხე. მაშინ ახალგაზრდული თავქარიანობის გამო ვერ შევნიშნე, რომ პოეტი სხვადასხვა ნარკოტიკისგან მიღებული სიამოვნების აღწერისას გვაფრთხილებდა ერთგვარი მოდუნების, გადაქანცვის, ნებისყოფის დაკარგვისა და სისტემატური მუშაობის ჩვევის მოშლის შესახებ, რომლებსაც ჰაშიშისა და ოპიუმის ხშირი მოხმარება იწვევდა. „ცრუ სამოთხე, ცრუ გასხვივონება“ — აი, რას უწოდებდა ბოდლერი ნარკოტიკულ თრობას. ეს გახლდათ „შავი მაგიის მუშეობით გზის გაადვილება მწვერვალზე ასასვლელად“. თუმცა ამას მხოლოდ ახლა მივხვდი, პოემების ხელახლა გადაკითხვისას... მახსოვს ბოდლერით შთაგონებულმა ლექსიც დავეწერე, რომელიც ასე იწყებოდა: „ის მზისკენ წავა, როგორც ვაზის ხვეული

— ვეუბნები. „ვერ ხარ ნამდვილი ფარაონი.“ „რატომ?“ — გამიკვირდა. „ფარაონებს ბევრი ქალები ჰყავდათ, მხეველები და მონები, მაგრამ ერთობოდნენ...“ „ჰოო“, — დავეთანხმე, ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, რომ ბევრი ლაპარაკის თავი არც მქონდა. „მე კი ნამდვილი მეფე ვარ, — თქვა უცებ, — ჩემში ორი სული სახლობს, ახალგაზრდა ირაკლის და ბებერი მეფის...“ „ჰო“, — ისევ დავეთანხმე და ორივე გაეწუმდით. ის რაზე ფიქრობდა არ ვიცი, მე კი — ბოდლერის პოემებზე...

ლექციების შემდეგ ხანდახან პირველი კორპუსისკენ დავიძვრებოდი მე და კროლიკა (გონა ცერცვაძე — ამჟამად ოჯახთან ერთად ცხოვრობს კასპლანკაში; აქვს საკუთარი ბიზნესი). ის ფრანგულზე სწავლობდა, მე — ინგლისურზე. ენა კარგად იცოდა, ჟარგონებითაც კი, რადგან

თემურ გაბუნია

ჯადოსნური სამკუთხედი



ტანი, ჰაშიშნაჭამი თეთრონივით გაინავარდებს...“ ლექსი რამდენიმე რედაქციაში მივიტანე, მაგრამ არსად დაიბეჭდეს. ირაკლის ხანდახან V კორპუსში მეგობრები აკითხავდნენ — გეგა კობახიძე და ირაკლი კოსტავა. ერთხელ რილკეზე ჩამოვარდა საუბარი, კოსტავამ თქვა: „სრულყოფილი სილამაზე შემზარავია, შემზარავად ლამაზი იყო ევა, ადონისი“, მერე კი პირველი დუინური ელეგიიდან ნაწყვეტი წაიკითხა: „О, если кто нибудь из ангельских войск услышал бы крик мой... с красоты начинается ужас...“ ეს სიტყვები სამუდამოდ ჩამებეჭდა მეხსიერებაში.

ლექციების გაცდენა მისაჩივრდა, რადგან ირაკლი უნდა მენახა, მასთან საუბარი კი გაცილებით სჯობდა ზოგიერთი ლექტორის ლექციაზე ჯდომას, განსაკუთრებით კი ერთი ქალბატონის, რომელიც ოსკარ უაილდსა და შექსპირის შემოქმედებაზე გვესაუბრებოდა, თან კი პარალელურად ასეთი შეკითხვის დასმაც შეეძლო: „ბავშვები, ბუფეტში სმეტანა მოვიდა? ერთხელ ზამთარში ფანჯრის რაფაზე საცოდავი გაყინული ბელურა ჩამოვარდა. ყველა მივაჩერდით. ჩვენმა „ესთეტმა“ ლექტორმა კი ასეთი შეკითხვით მოგვმართა: „ბავშვებო, თუ იცით ბელურა იქმება?“

ამას წინათ ერთი სტუდენტ გოგონა მომიყვა, როგორ დაასმინა მისთვის ყმანვილმა ლექციების გამცდენი ლექტორი. კარგა ხანს ვერ ვიჯერებდი. „რას ამბობ?“ — ვიმეორებდი და თვალწინ ირაკლი ჩარკვიანი მედგა. როგორ მისხროდა, ლექცია რომ მიცდებოდა! რა თქმა უნდა, კარგი პედაგოგებიც გვყავდა, დიდი სიამოვნება იყო მიშა კვესელავასა და ნიკო ყიასაშვილის ლექციებზე დასწრება, ასევე მედია ზალიშვილის. თუმცა ირაკლისთან საუბარს მაინც სხვა ხიბლი ჰქონდა... დიახ, მეფე მოგვიანებით შეარქვეს, მაგრამ ჯერ კიდევ სტუდენტობისას შეიძლებოდა გვევარაუდო, რომ ასე მოხდებოდა. ერთხელ ხუთიოდე დღით ლენინგრადშიც კი წავედით, დასვენება მოვიწყვეთ სწავლის პერიოდში. რესტორნიდან სასტუმროს ნომერში რომ დავბრუნდით, თავში რატომღაც ერთი უცნაური აზრი მომივიდა (ალბათ ბოდლერის პოემების გავლენით). „ირაკლი, ნამდვილი ფარაონი ვარ!“

ერთი პერიოდი ალჟირში ცხოვრობდა, მამამისი სავაჭრო პალატაში მუშაობდა და აფრიკის რამდენიმე ქვეყანა ჰქონდა მოვლილი ხანგრძლივი მივლინებით. კროლიკამ კარგი პრაქტიკა გაიარა, ადგილობრივებსაც ელაპარაკებოდა და მამამისის მძლოლსაც, თუმცა უნივერსიტეტში უცხო ენა დაავიწყდა და კურსზე რამდენიმეჯერმე ჩატოვს. პირველი ათი წელია რთული სწავლა-მეთქი, ვეხუმრებოდი. ჩვენ შეთქმულებივით ვიყავით, გვძულდა კარიერისტიკები, კომკავშირის გავლით რომ იკვლავდნენ გზას კაბინეტებისკენ, პროტესტს კი ხან მათი იგნორირებით, ხან მათთან „უწყინარი“ ხუმრობით, უფრო ხშირად კი სმით გამოვხატავდით.

უნივერსიტეტის V კორპუსი სამკუთხედის ერთ-ერთი წვერი იყო, I კორპუსი — მეორე, მოგვიანებით ჩვენ მარშრუტს ჩაის სახლიც შეემატა და ჯადოსნური სამკუთხედიც შეიკრა. ის მართლაც ჯადოსნური იყო, რადგან ახალგაზრდა ვიყავი და გარემო, სადაც უამრავი მეგობარი შევიძინე, ზღაპრულ ფერებში მეჩვენებოდა. სწორედ ჩაის სახლში გავიცანი ვაჩე. მაშინ ალბათ II კურსზე ვიქნებოდი. კროლიკა მიესალმა და გამაცნო, შორიხლო ჩამოვჯექი. ვაჩეს სვანური ქუდი ეხურა და ყვებოდა: „მე რომ შუა აზიაში ვიყავი...“ ეს სიტყვები თავში ჩამებეჭდა. სტუდენტობისას ჩაის სახლში იშვიათად შევდიოდით, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი — ხშირად. ხუთიოდე წლის შემდეგ ჩაის სახლს ისევ ვესტუმრე. ვაჩე ისევ იმ მაგიდასთან იჯდა, კვლავ სვანური ქუდი ეხურა და იმავე ისტორიას ყვებოდა: „მე რომ შუა აზიაში ვიყავი...“ ვუსმენდი, როგორ გაიცნო აზიური თვალის ჭრილიანი გოგონა და უნებლიეთ თომას მანის „ჯადოსნური მთა“ გამიახსენდა, მაღამ მუშა, თავისი აზიური გარეგნობით... ვაჩეც რაღაცით თომას მანის პერსონაჟს ჰგავდა, დრო მასზე არ მოქმედებდა.

ვაჩეს უკანასკნელად აფხაზეთის ომში წასვლის წინ შევხვდი. ჩაის სახლიდან გამოვიყვანე და ვკითხე: „ხომ იცი, ეს ომი წინასწარ გაყიდული რომ არის?“ „ვიცი, — მიპასუხა, — მაგრამ მაინც წავალ, არ

მინდა, ჩემ ნაცვლად ვიღაც უწვერული ბიჭი მოკვდეს.“ გარდაცვალებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ვაჩე ისევ ვნახე, ამჯერად სიზმარში. ჩაბნელებულ ოთახში იჯდა დაღვრემილი, გამძარცვესო მითხრა, მერე კი დაამატა: „ხვალ ჩემი ორმოცია და ბიჭებს ჩემი შესანდობარი დაალევიან.“ გათენდა თუ არა, სულხან კერესელიძესთან გავქანდი. ერთად იბრძოდნენ. ვკითხე, რას უნდა ნიშნავდეს ეს სიზმარი-მეთქი. სულხანი დაფიქრდა, „მოკლულს ავტომატი და პატრიარქის ნაჩუქარი ჯვარი აართვეს აფხაზეთში.“ „ხვალ მართლაც მეორმოცე დღეა გარდაცვალებიდან?“ — დავინტერესდი. სულხანმა თითებზე გადათვალა. ზუსტად ემთხვეოდა. თოვლიანი დღე იყო. მანქანები კანტიკუნტად დადიოდნენ. გმირთა მოედანი ფეხით გადავჭერი. თერთმეტსართულიანთან სასმელი ვიყიდეთ და მეგობრები შევკრიბეთ. ის ტყუპი გოგონებიც, ვაჩეს ალპინიადიდან რომ იცნობდნენ, რომლებსაც გოგირდის აბანოდან გამოსულები ხშირად ვსტუმრობდით, რადგან იქვე ცხოვრობდნენ და კარგი ჩაით გვიმასპინძლებოდნენ, თან თავიანთ შემოქმედებასაც გვაცნობდნენ. სულხანმა და მე ყველა შევკრიბეთ, ვისაც ხმა მივანვძინეთ. სამწუხაროდ, დღეს სულხანიც აღარაა ჩვენ გვერდით, კარგი მეგობარი და მხატვარი...

მე და კროლიკა სიხარულით მივდიოდით ხოლმე I კორპუსისკენ. ჯიბეში ფული გველო. იმიტომ მივიხიაროდა, რომ იქ ბუტკო (პაატა ბერიკაშვილი) გველოდა, ჩვენზე დიდი გაქანების ადამიანი. მას შეეძლო ყოველ საღამოს პრესტიჟულ რესტორანში ექეფა, თან ჩვენსავით ლოთურად კი არა, აუცილებლად ყვავილების თაიგულს იყიდდა და ოფიციალტ ქალს ვაზაში ჩაადებინებდა. თან „ფოთლებიც“ მოყავდა. ფოთლებს გოგონებს ეძახდა. როცა რომელიმე გააბრაზებდა, ეტყოდა, „შენ ნამდვილი ყვითელი ფოთოლი ხარ!“ კროლიკას ბუტკოს დანახვაზე თვალები უფართოვდებოდა, რადგან ხვდებოდა, რა სასიამოვნო საღამოც გველოდა. ბუტკოსაც და კროლიკასაც უცნაური ისტორიები მუდამ თან სდევდათ. ყველამ ზეპირად ვიცოდით, როგორ გააცოცლეს ბუტკო საკუთარი ბინიდან. ორ მეგობარს ერთნაირი ერთთახიანები ჰქონდათ (რიაზანოვის ფილმის — „გამათ ანუ ბედის ირონიის“ — სტილში), ოღონდ ერთს ვაზისუბანში, მეორეს კი — დილომში. მათი დედები მეგობრობდნენ, ასე რომ, შპალმეიც კი ერთნაირი გააკრეს და ავეჯიც მსგავსი შეიძინეს და, რაც მთავარია, განსხვავებული სასმისებიც კი ერთნაირი ჰქონდათ. ერთხელ ბუტკოს ათლიტრიანი ღვინო ჩამოუვიდა კახეთიდან, სწორედ მაშინ ესტუმრა ვაზისუბნის ნინაალმდეგი არც ბუტკო იყო. ნინაალმის კბილებიანი ვაზები დაცალა, ბუტკო ტაქსიში აღმოჩნდა, მეგობარი კი დილომში დარჩა. მალე ბუტკოს მამამ დარეკა და იკითხა: „პაატა სადაა?“ „ნუ ნერვიულობთ, ალექსი ძია, ახლახანს ჩავვიტა ტაქსიში და გავაცოცლე, ახლა ალბათ სახლში იქნება...“ „სად იქნება?“ — გაოცდა ალექსი, რომელსაც შვილისგან ბევრი უცნაური ისტორია ახსოვდა, მაგრამ ეს გამორჩეული ჩანდა...

პაატა არა მხოლოდ კარგ რომანებსა და ლექსებს წერდა, არამედ თვით ცხოვრებითაც იყო პოეტი...

არანაკლებ უჩვეულო თავგადასავლებში იხლართებოდა კროლიკა, იმდენად დაუჯერებელში, რომ ხანდახან ლევანი (ლევან ბერიძე, მწერალი — გამოქვეყნებული აქვს რომანები გერმანულ და ქართულ ენაზე) და მე ვეკითხებოდი, აფრიკაში ბუშმა ცეცქი ხომ არ გიკვინაო. „ცეცქი არა, მაგრამ იქ პიგმეებმა ფრანგი ექიმის, ჩვენი მეზობლის, ცოლი შეჭამეს...“ — იწყებდა კროლიკა და ვინ იცის, მერამდენედ გვიყვებოდა საშინელ ამბავს. თურმე მათ ნაცნობ ფრანგ ექიმს ცოლი ავად გაუხდა და წამლის საყიდლად რაიონულ ცენტრში წავიდა. უკან დაბრუნებულს სახლში პატარა კაცები დახვდნენ. ზოგი აი-

ვანზე შეჯგუფებულიყო, ზოგიც — ჭიშკართან. „მალე მათ გლავარი გამოეყოთ“, კროლიკა სიტყვა გლავარზე მახვილს აკეთებდა. თვალეში შიში ედგა. „ხელში ფულის დასტა ეჭირა. მივიდა ფრანგ ექიმთან და ფული გაუნდა. ეს რა არის? გაუკვირდა ფრანგს. შენი ცოლი ხომ ავად იყო? კი. მერე რად გინდოდა ავადმყოფი? შევჭამეთ, ამ ფულით ახალს იყიდი.“ კროლიკა პაუზას აკეთებდა. „ფრანგ ექიმს თმა ეგრევე გაუთეთრდა შიშისგან.“ „სიტყვას ბანზე ნუ გვიგდებ! ბუზმა ცეცემ რომ გიკბინა, ის მოყვი, აბა, რა ჯანდაბამ შეგაჭამა ყვავილები?“ — არ ეშვებოდა ლევანი. „ყვავილები იმიტომ შევჭამე, რომ ცხვირზე მილიკინებდა“, — თავს იმართლებდა კროლიკა.

ჰო, მართლა, დამავინყდა მომეყოლა, როგორ შემოეჭამა კროლიკას ყვავილები ცხრა ნომერ ტროლეიბუსში, რომელიც ჩვენი სტუდენტობისას ვარაზის ხევიტ ჩადიოდა დიდუბეში, ლუდის ბართან. ახალგაზრდა ქალს ხელში ვარდების თაიგული ეჭირა და ვილაც ვაჟთან ერთად სადღაც მიდიოდა, ჩვენ სამნი კი — ლუდის ბარში. ტრანსპორტში წაყვავა იყო, კაცი ვერ გაინძრეოდა. კროლიკას უნებლიეთ თაიგული ცხვირზე მიადეს, ვერაფრით მოიშორა, თან ალბათ გაბრაზდა კიდევც, ამ პახმელიაზე რას მიშვრებიანო. ასე რომ, ჯერ ერთი ბუთქუნა ვარდი შეჭამა, მერე მეორე და მესამეც ზედ მიაყოლა... ტროლეიბუსიდან ჩამოვედით. საოცარი ის იყო, რომ საუზმის დასრულების შემდეგ კროლიკამ ძროხასავით დაიზმუნა: „მუუ...“

ახალგაზრდა წყვილი დაბნეული ჩანდა. არ იცოდნენ, გაცივნიათ თუ გაბრაზებულიყვნენ. ბოლოს ისევ ლევანის ათლეთურმა აღნაგობამ და საზრიანობამ გვიმველა: „ხომ ხედავთ, რა დღეშია!“ — თქვა მან. ახალგაზრდებიც უსიტყვოდ გაგვშორდნენ. ახალი თაიგულის ყიდვა ნამდვილად მოუნვედათ...

შმაგი და ბრძენი რაღაცით ჰგავდნენ ერთმანეთს. ორივეს ჩვეოდა დაუჯერებელი ამბების მოყოლა, ერთს ალპინიზმზე, მეორეს — ნადირობაზე. ბრძენი დათვზე მართლაც ნადირობდა, თუმცა ზოგიერთს მაინც ეჭვი ეპარებოდა, ძირითადად მოკლულ ცხოველთა რაოდენობაში. მაგალითად, ბუტკომ სადღაც მიაკვლია, სულ რამდენი დათვი იყო საქართველოში და ამტკიცებდა, ბრძენს უფრო მეტი ჰყავს მოკლული, მაგრამ ზოგს ეს ბუტკოს მორიგი ხუმრობა ეგონა და ბრძენის მონადირეულ ისტორიებს სერიოზულად ეკიდებოდა.

შმაგის, როგორც აღვნიშნე, ალპინიზმის ამბების მოყოლა უყვარდა. ერთხელ ერთ ალპინისტს ეჭვი შეეპარა, მაგ მწვერვალზე მასე ვერ ახვიდოდით. ერთმანეთზე გაიჩიეს. თუმცა გამშველებლი დროზე გამოჩნდნენ და შეარჩიეს. მოგვიანებით ასე ყვებოდნენ იმ არშემდგარი ჩხუბის ისტორიას. თურმე გამშველებელს უთქვამს: სახეში არ დაარტყა, ახალი ნაოპერაციებია, არც მუცელში — ნაკერები ადევსო. შმაგის გაკვირვებია, მაშინ დავდგები, ძმაო, ხელს არ გავანძრევ და მირტყას, სანამ არ მოწყინდება.

ერთ სოლოლაკელ გოგონას, რომელიც მოსწონდა, შმაგამ ნამდვილი თეატრალური წარმოდგენა მოუწყო. ჯანმრთელ ფეხზე თაბაშირი დაიდო, ხელიც გადაიხვიდა და დაურეკა, ალპინიზმზე ვიყავი და დავემტყვრა. ალბათ, გოგონას ნახვა უნდოდა, მასთან დადხანს საუბარი და ნატვრაც შეუსრულდა. მალე ესტუმრა ხილითა და ნამცხვრებით ხელდამშვენებული. „დაშავებულია“ რაღაც გმირული ისტორიის მოყოლა დაიწყო, როგორ ცდილობდა ყინულოვან კედელზე გაჩხერილი ალპინისტი ქალის გამოყვანას და როგორ დაიმტვრა. თუმცა მოყოლისას, თუ შემდეგ, ამას, ალბათ, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, უყავარჯნოდ გაიარ-გამოიარა და დაშავებული ხელიც აამოძრავა და მაშინ გოგონაც მიხვდა, რის გამოც მოიგონა ეს ყველაფერი, თუმცა არც წყენია, რადგან ისე გულწრფელად და ბუნებრივად ფანტაზირობდა, რომ ძნელი იყო, გული მოგსვლოდა.

შმაგის და ბრძენს ფეხით ჰქონდათ შემოვლილი გურიის მთები, მესხეთ-ჯავახეთი, აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის აღდგენაზეც ერთად მუშაობდნენ და დავით გარეჯაშიც. დარწმუნებული ვარ, შმა-

გი რომ ცოცხალი ყოფილიყო, დღესაც განუყრელი მეგობრები იქნებოდნენ. ბრძენი ახლაც ნადირობს, ჩვეული გურული იუმორიც არ დაუკარგავს. ორიოდ წლის წინ ვკითხე, ნითელქუდაზე რა აზრის ხარ-მეთქი და სხარტად მიპასუხა: ი ბალანა, მგელს და ბებიას ერთმანეთისგან რომ ვერ არჩევს, რა სახლიდან გასაშობიაო.

ერთხელ აწყურში სურათიც კი გადაიღეს, რომელზეც უკან ეწერა: „შმაგი და ბრძენი“. ის ფოტო ხელიდან ხელში გადადიოდა და გოგონები, რომლებიც არც ერთს იცნობდნენ და არც მეორეს, ცნობისმოყვარეობით კითხულობდნენ, რომელი მათ შორის შმაგი და რომელი ბრძენიო.

შმაგი უნივერსიტეტის ბალის, ლიზიკოს კაფეს, ჩაის სახლისა და ნათლიას მოედნის ხშირი სტუმარი იყო. მეცხრე კლასში იქნებოდა, რომ გაგვეცნო და მას შემდეგ გვერდიდან არ მოგვეშორებია. რამდენჯერ აუტაცია ხელში ბერძენი ლიზიკო, რომელიც ფულს ხშირად გვასესხებდა ხოლმე. უნივერსიტეტის ბალში ხეზე ორი ჭიქა ეკიდა, რომლითაც გურამ რჩეულიშვილისა და შოთა ჩანტლაძის სადღეგრძელო ისმებოდა, ასევე გურამ თიკანაძის და მთაში გარდაცვლილი მთამსვლელების. ხანდახან უფრო სერიოზულ ღვინისძიებას გვეგმავდით და რესტორანშიც ვხვდებოდით. ყველა გვენდობოდა, მენალე ამაიაკაც კი, მასთან ნიშნო მიდიოდა, ვაკელი იყო, თანაც შეძლებული ოჯახიდან.

— ამაიაკა ძია, ფულს ვერ გვასესხებ?
— ფული? ვა, სადა მაქვს მე ფული?!
— შეიცხადებდა ამაიაკა, თუმცა მერე მოლბებოდა და დაამატებდა, — რამდენი გინდა?

— ასი მანეთი! — თამამად ეუბნებოდა ნიშნო, — ორ დღეში დაგიბრუნებ.

— ასი? ვა, ორასი იყოს. ორ დღეში არ მინდა. ერთ თვეში მაშიტანე.

მაშინ მობილურები არ გვექონდა და პირველი კორპუსის წინ აფიშებზე ვანერდით. „ნიშნო და ბიჭები არაგვი ვართ, იქ მოდიო“, ან „ნად კუროიში ვიქნებით“, ან „მწვანე ველი“. ასეთ წარწერებს ხშირად ნახავდით აფიშებზე. შმაგი ყოველთვის ჩვენთან იყო. ვალის გასტუმრებაზე ერთად ვმუშაობდით. მე, მაგალითად, თმის გასაკრეფ ფულს თითქმის ყოველდღე ვართმევდი დედაჩემს, გზის ფულს ცალკე. ოჯახში შეჩვეულები იყვნენ, ისევ გაუკრეჭავი რომ დავბრუნდებოდი. სამაგიეროდ ღვინისძიებები ხშირად ტარდებოდა...

შმაგი უკანასკნელად ჩაის სახლთან ვნახე, თბილისის ომამდე. ზედმეტად სერიოზული და ჩაფიქრებული ჩანდა. იმდენი კაგებეშნიკი შევიდა პარტიებში, რომ სისხლი აუცილებლად დაიღვრება, ის ახვრები ბავშვებს აიფარებენ, ბავშვებს დახოცავენ, თვითონ კი კარგ თანადებობებზე მოჯდებიან, თუმცა მე ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, რომ ეს ასე არ მოხდესო, მითხრა და ჩაის სახლში შევიდა. მაშინ ხელჯოხით დავდიოდი, რადგან ნაავარიები ვიყავი — ეროვნული მოძრაობის პერიოდში შემთხვევით მოხვდი ერთ-ერთი ახალდაფუძნებული პარტიის შეკრებაზე და ცნობილ კომუნისტ ფუნქციონერზე ვთქვი: „კრემლის ფოსტალიონია. საქართველოში შეკრებილი ფული მოსკოვში ჩააქვს. სწორედ ის აფინისებს გარკვეულ ჯგუფებს ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილების შესატანად...“ მერე დღეს მანქანა დამეჯახა. ფეხი სამ ადგილას მქონდა მოტეხილი, წელიწადი და ორი თვე მოვუნდი გამოჯანმრთელებას. ყველაზე უცნაური კი ის გახლდათ, რომ მძლოლი, რომელიც „არ ჩამიშვია“, სწორედ იმ კომუნისტი ფუნქციონერის მოგვარე აღმოჩნდა, პარტიულ შეკრებაზე რომ ვამხელდი. ავარია კი სანახევროდ ჩემი ბრალი იყო, გონებადაფანტული გადავდიოდი ვარაზისხევის გადასასვლელებზე, სანახევროდ კი — მძლოლის, რადგან მკვეთრად შემოუხვია და მარცხენა ფეხზე გადამიარა უკანა საბურავით...

საეჭვო „უბედური შემთხვევები“ იმ პერიოდში ხშირად ხდებოდა. მაგალითად, დღემდე ვერ გამირკვევია, რა შემთხვევა მიხილ არაბულს, ამოთხრილი სახლის საძირკველში ჩავარდა თუ ჩავადგე. მიხარუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე იყო. თუმცა

ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილების გაჩენის შემდეგ ზვიადისკენ გადაიხარა. ეს ბევრს არ უნდა მოსწონებოდა. მიხას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. ლოგინად ჩავარდნილსაც კი ჭკუას ეკითხებოდნენ. თბილისის ომის დაწყების წინ მასთან მისულან ზვიადთან დაპირისპირებული პარტიის ლიდერები და უთქვამთ, ომის დაწყებას ვაპირებთ და შენ ვის მხარეს იქნებიო. „სიმართლის“, — უპასუხა მიხამ. მალე სუფრაც გაიშალა. სტუმრებმა ხორცს პირი არ დააკარეს, მარხვამო. „კი მაგრამ, ომის დაწყებას აპირებთ, ომში კი ხალხი დაიხოცება, რომელი უფრო დიდი ცოდვაა, მარხვის დარღვევა თუ კაცის კვლა?“ — გაკვირვებია მიხას.

თვითონ არ უყვარდა იმ უბედური შემთხვევის შესახებ საუბარი, რომელმაც ხერხემალი დაუზიანა. თხრილში ჩავარდნის წინ თვალეში რაღაც შემანათესო, იტყოდა მოკლედ, მაგრამ აღარ ახსოვდა, რა შეანათეს, მანქანის ფარები იყო, თუ სხვა რამ. სასტუმრო „აჭარაში“ გამართული ბანკეტიდან ბრუნდებოდა, მეორე დღეს მნიშვნელოვან თანამდებობაზე უნდა დაენიშნათ. „ალბათ ღმერთმა ასე იქნება, — მითხრა ერთხელ, — შესაძლოა, რაღაც უფრო დიდ უბედურებას ამარიდა, თბილისის ომს, მაგალითად. რომ არ დავინვალიდებულებოდა, იქნებ ჩემი გასროლილი ტყვია რომელიმე ქართველს მოხვედროდა...“

გერმანელ ექიმებს ავადმყოფობის ისტორია რომ აჩვენეს, დაუჯერებელიაო, თქვეს, ასეთი დიაგნოზით, როგორც წესი, ორ წელზე მეტხანს ვერავინ ცოცხლობსო. მიხა კი მეთექვსმეტე წელი იყო, რაც ინვა. ტარიელ ხარხელაურის ლექსის თქმა უყვარდა:

„ლომი მწოლარეც ლომია,
კაი ყმას ნოლაც შვენის,
მეც ღიდად მომწონებია,
დროსთან ჭიდილი შენი.“

მიხა საოცარი ფიზიკური და სულიერი ძალის ადამიანი იყო. მიდიოდი ავადმყოფთან და მშვიდდებოდი. სწორედ მან გადაამატანინა თბილისის ომის ბნელი ხანა, როცა მეგობრები ერთმანეთს ესროდნენ. ამ ომმა შეინარა უჩა ძიძავა, პოეტი და დისიდენტი. თბილისის ზღვაში იპოვეს ნავზე გამოშვული, თევზებს სანახევროდ შეეჭამათ. უჩა 26 მაისს გავიცანი მერაბ კოსტავას სახლთან გამართულ ერთ-ერთ პირველ მიტინგზე, რომელსაც სულ თხუთმეტიოდე ადამიანი ესწრებოდა. ცოტე-ე თვარაქემ მიიხრა, რაღაც დიდი მოძრაობა იწყება და ჩვენც ხომ არ ჩავრთულიყავითო. რალა თქმა უნდა, წაყვივი, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ახალ შექმნილ პარტიაში შესვლა არ მინდოდა. ახლა ვხვდები რატომაც. ლიდერებს პატივს ვცემდი, მაგრამ მათ ირგვლივ პატრიოტული გრძნობებით აღტყინებული ადამიანების გარდა, არა-გულწრფელებიც გროვდებოდნენ. მათი უმეტესობა კი დიდი ალბათობით სპეცსამსახურის აგენტი იყო.

იმ დღეს მიტინგი, ფაქტობრივად, არც ჩატარებულა, რადგან ინაური მოვიდა და მერაბს უთხრა, წამომყვიო. მანქანაში რომ სხდებოდნენ, მერაბმა ხელი გადახვია და თქვა: „ესეც ქართველია, ამასაც უყვარს საქართველო, მერე რა, რომ პაგონები აქვს, მოვა დრო და გვერდში დაგვიდგება.“ მერე კი მარჯვენა ხელი აღმართა და დაიჭყქა: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“

იმ დღის მერე მე და უჩა დავემეგობრდით. ერთხელ ზამთარში ჩაის სახლში არაყი დავლიეთ. რომ გამოვედით, თოვდა. პირველი თოვლის მოსვლა უნდა აღვნიშნოთ, მითხრა და ერთ პოეტოსასთან წამიყვანა სტუმრად. სამწუხაროდ, სახლში არ დავგვხვდა, თუმცა უჩამ თოვლის მოსვლა მაინც აღნიშნა. ახალ დადებულ თოვლზე წამოწვა, მეც მივბაძე. ფანტელები მთელ სახეზე გვედებოდა, ზოგი წამწამებზე დნებოდა, ზოგი კი გახვილი თვალეში. ასე კარგად პირველი თოვლის მოსვლა არასდროს აღმინიშნავს.

ვაჩეს შემდეგ აფხაზეთის ომში დაიღუპა ბესო კვიციანი. ჩვენ მესამე კლასამდე ერთად ვსწავლობდით. მასწავლებელი ზღაპრებს გვაცოლებდა. ბესო ჩასაფრებული იყო. ხელს აინევდა და იტყოდა: „მასწავლებლო, თემში გაბრუნა იტყუება, უფლისწული სამი კი არა, ათი ისარი ელო

საისრუმი.“ უნივერსიტეტში ხელახლა გავიცანი. თბილამურებით სრიალს გვიყვარდა, დავდიოდით გულაურში, ბაკურიანში. ერთად ჩამოვსრიალდით კობტა გორიდან ყველაზე რთული ტრასით. ჯერ ასპირანტურაში სწავლობდა, მერე კი უკვე ფიზიკის ლექტორიც გახდა. ემოციური ადამიანი იყო. ერთხელ გავგონა გაავლო სასტუმროს ნომრიდან, მთელი სანატორიუმი რომ ცდილობდა მათ გაცნობას, ისეთები... ექვს საათზე უნდა გვესტუმრებოდნენ, ცოტა დაავიანდათ, ბესო ბაბუამისის სადღეგრძელოს სვამდა, დედის მამის, გვარად მინდელის. გოგონებმა სწორედ მაშინ დააკაუნეს, თურმე ხელცარიელი მოსვლა არ უნდოდათ და ამის გამო შეავიანდათ. ბესომ კარები ცხვირწინ მიუკეტა, დაგვიანებულებს არ ვიღებთო, მე კი მითხრა, რადროს რუსები იყო, წინაპრების სადღეგრძელოს ვსვამდითო. თითქოს გული უგრძობოდა, რუსების პროვოცირებულ ომში რომ უნდა დაღუპულიყო. ბესო შემპირდა, ბაბუას გაავაცნობო და შეასრულა კიდევც...

უნივერსიტეტის ბალთან აღარ დგანან პოეზიისა და ალპინიზმის მოყვარული ბიჭები, გაზაფხულზე გოგონებს იებს რომ ჩუქნიდნენ. მე მათ მგლები შევარქვი, რადგან სულ ჩხუბებსა და გარჩევებში იყვნენ ჩართულები. ერთ-ერთმა ნითელქუდასთანაც კი გამაგზავნა, პოეტესა ლონდა ესაძესთან, ნითელი ბერეტი რომ ეხურა. „ცხოვრებაში ერთხელ მაინც ითამაშე ფეხებზე მკიდეა კაცის როლი და ეს ყველაფერი მიეცი, თან უთხარი, მგელმა გამომატანაო.“ მინისქვეშატი გადავედი უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან მოპირდაპირე მხარეს და ლონდას კეკელიძეზე დავენიე. დანაბარები რომ გადავეცი, შეჩერდა და დაკვირვებით შემომხედა. „მგელს უთხარი, რომ ბებია არ მყავს,“ — გადიოდა და გამშორდა. მე კი განშორების შემდეგ ორი სტრიქონი ამეკვიპათა მისი ლექსიდან: „მთვარე ზეცაში მოცეკვავე ლურჯი ქალია, აი, საცა დაუკრავენ აპო კალიას!“ ეს სტრიქონები პერიოდულად მახსენდება.

ირაკლის მხრიდან, როგორც უკვე აღვნიშნე, გეგა კობახიძეს ვიცნობდი. სოსო წერეთელსა და დათო მიქაბერიძეს კი მოგვიანებით დავუახლოვდი. მათ ზუსტად ჩემი სახლის წინ, ლვოვის ოცდაათში იქირავეს სტუდია. სწორედ იქ ვნახე სოსოს სურათები. განსაკუთრებით ერთი მომენონა. ბავშვი კუთხეში იდგა და სარკეში იყურებოდა. ფოკუსი ისე იყო დაჭერილი, რომ სარკეში ოთახის ზედა კუთხეც ჩანდა. ის ბავშვი საბჭოთა კავშირში მცხოვრები ადამიანის სიმბოლო უნდა ყოფილიყო...

სახლზე ბუხრიანი ოთახი რომ დავაშენე, გადავწყვიტეთ ახალ წელს ერთად შევხვედროდით, რომელიც საუბედროდ მათთვის ბოლო გამოდგა. შამპანურს ვწრუპავდით. გეგა, დათო და ზურა (ჩემი მეზობელი) მაგიდას უსხდნენ. სოსო და მე წარდს ვთამაშობდით. თორმეტს ხუთიოდე წუთი აკლდა, რომ გაგვაშვებდეს. ჩემი გაგორება იყო, სამი ქვა მქონდადარჩენილი, წყვილი მშველოდა. „გეყოფათ, ორივე გამარჯვებულები ხართ,“ — გვითხრა ზურამ და წარდი აგვიშალა. სახლიდან რომ გავდიოდით, მდგმურმა შეგვიპატიჟა, ნახევარ სარდაფში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად, გაზის კანტორაში მუშაობდა, ზემო იმერელი იყო. კარგი სუფრა გაეშალა სოფლიდან ჩამოტანილი ხორაგითა და ღვინით. სასმისები რომ შეგვივსო, ზურამ იუარა, დიდიდან შამპანურს ვსვამ და არევა არ მინდაო. სოსომ კი განსხვავებული მოითხოვა. არადა, თვითონაც შამპანურს სვამდა. როცა გავდიოდით, ჩამწურწურა: „ტეხავდა, რომ არ დამელია, უხარია კაცს ახალი წელი, ცოლ-შვილთან რატომ უნდა დამემცირებინა?“ სოსო წერეთელი სწორედ ასეთი დამამახსოვრდა, ნამდვილი რაინდი, იერით ძველ ქართველს რომ ჰგავდა...

ხანდახან გასულ ცხოვრებას ლამაზ გემს ვადარებ, დაახლოებით ისეთს, ფელინის „ამარკორდში“ რომაა. ის ზღვაში შეცურდა და უკან აღარასოდეს დაბრუნდება. იმ გემმა თან წაიყვანა საუკეთესოები იმ ადამიანთაგან, რომლებსაც ვიცნობდი და ზოგიერთთან ვემეგობრებდი კიდევც. მათი უმეტესობა ჯადოსნურ სამკუთხედში მყავდა გაცნობილი...



 ზოგჯერ მინიერი
 სიზმრის ხარ სტუმარი,
 ხან მთლად აფრენილი
 და ცად წაღებულნი,
 შენი
 თმები მახსოვს,
 შენი სასთუმალი,
 შენი ტანი მახსოვს —
 აცახცახებული;

ბაგე —
 გასაშლელად გამოკოკრებული,
 თვალთა მიბნედა და
 წარბის აშვილდება...
 წამი მომენატრა
 აბობოქრებული,
 შენი მკერდისა და
 სუნთქვის დამშვიდება...

ახლა, ამ სიგიჟემ
 ფრთა რომ დამატოლა,
 ყრმობის გამახსენა
 ძველი ვარხალალი!..
 ...დარჩა სამუდამოდ
 ერთი ქალბატონი,
 ჩემში დარჩა, მაგრამ...
 შენში აღარ არი...

სერიოზული საახალწლო ხუმრობა

რაც ხაშლამას ურიე,
 მწვადი უდე მაყალზე,
 რაც ყანწები აშრე და,
 რაც ჭიქები აყანწე...
 მაშინ არ გიფიქრია,
 მერეც არ გიფიქრია,
 ანი გინდა იფიქრე —
 ფაფას რო ჭამ ახალწელს!

 დაბზუის ქარი,
 სულის ამწენი...
 არაფრის ლოდში
 ვარ მოჭეჭკილი,
 მაქვს ის,
 რაც არ მაქვს
 ერთი ნამცეცი —
 არაფრის ხვაფი
 მიდგას ჩეჩქივით...

არაფრის ზღვაში
 არ ჩანს ნაპირი,
 არც ზღვის ტალღა და,
 არც ზღვის მიქცევა...
 ...არც საშველი ჩანს,
 ეს არაფერი,
 რამედ რომ მაინც
 გადაიქცევა!..


 ბოლო ვარსკვლავიც
 თავისით ჩაქრა,
 თავისით ჩადგა
 აშაო
 ქარი...
 არა ვარ მკვდარი —
 რადგანაც აქ ვარ,
 რაც უფრო აქ ვარ,
 უფრო ვარ მკვდარი.

ხან გაღმა ვცხოვრობ
 მშვიდად და მაგრად,
 ხან აქეთ...
 ვებრძვი ცხოვრებას, ოჩანს...
 აქედან იქეთ არ ვიცი, მაგრამ
 იქედან აქეთ წყვილია მოჩანს!

 ვერ მიშველიდა ამქვეყნად ვერვინ,
 სიკვდილს უდრიდა მაშინ უარი...
 კლავიატურის მიყურდა ნერვი,
 მინელდა ვნება მაჟენუარის...

ასე კარგავენ მზერას და ღიმილს —
 შენი ლანდი რომ დაკარგა სარკემ...
 და გულისპირზე ამწყდარი ღილი
 ბოლო ცრემლივით დაეცა პარკეტს...

გარეთ კი ჩვენი ნატვრის ხე გახმა,
 შეაშრა ზეცას წამსკდარი წვიმა...
 ...მე
 ისევ
 გინერ
 იმ ამბავს ახლა,
 და ისევ ვკვდები დიდი ხნის წინათ...



ვასილ ბესელია

 ან მითხარი
 ამის იქით რა ჩანს,
 ნუ მატყუებ,
 ის მითხარი, რაც არი...
 სანამ ვთვალო
 არითმული მაჯა
 და თვალეში
 შევიყარო ნაცარი...

დროის სამლელს
 სამართალი ჰქვია,
 რას ნაშლის და
 რას დატოვებს სამლელი...
 თუ კაცი ხარ —
 დამახალე ტყვია,
 თუ ღმერთი ხარ —
 დამაყენე საშველი!

 ხსოვნა ნაცრისფერ
 მორევში ცურავს,
 შემოვრჩი წლები
 პირქუშ თემიდას...
 და ვემსგავსები
 მოწყენილ სურათს
 მამის შავთეთრი
 სურათებიდან...

დრომ უკვე ჩემი
 ვარდებიც მოწვია,
 გაფრინდნენ სიზმრის
 თეთრი კვიციები...
 ახლა მე წუთით
 არამაქვს მოცლა —
 ვბერდები ისე
 გაფაციცებით...

 თან მიმქრალ ცეცხლის
 კვამლით მავსებ და
 თან იმ მზეების
 მავსებს სიფიცხე...
 და სულ არ მინდა,
 რომ გამახსენდეს
 ის,
 რის გამოდაც
 გადაგივიწყე...

ხვალ იქნებ სულაც
 ღმერთი გამიწყრეს
 (არც ახლა მიდგას
 სულში ედემი)...
 აღარც ის მინდა —
 გადამავიწყდეს,
 რის გამოც
 ასე არ მემეტები!..

ვაკვდები ამ ლექსს
 შენით დაქანცულს,
 როგორც სინათლეს

ლამის პეპლები...
 ...ყოფნა-არყოფნის
 ვდგავარ ბაქანზე
 და მიმოდიან
 მატარებლები...

 გავდივარ თავში
 დასაბამიდან,
 ან უფრო ჭიჭოდ
 დავხარჯავ ჰაერს...
 ნელნელა გაქრა
 ანი, ბანი და...
 დარჩა ორიოდ
 ჭან, ხან, ჯან, ჰაე!..

ვატყობ შენთვისაც
 გავხდი სულერთი,
 რომ წლები გუდას
 პირი გაეხა...
 და სანამ ამ ლექსს
 გავასრულებდი —
 ჭან, ხან, ჯან გაქრა...
 ...დარჩა ჰაელა!

 ჯერ ლექსივით ჩამოწერა,
 ნანერს ლექსის მისცა პოზა,
 მერე ესეუდ დალაგა,
 და აქცია ლექსი პროზად...
 ხან ლექსია,
 ხან ესეა,
 ხან ისეა,
 ხან ესეა...

 შენი სიცილი
 მოედო ჭალებს,
 ჩემი უდროო
 ცრემლების შემდეგ...

...ახლა გიკოცნი
 ცრემლიან თვალეშ —
 შენი უდროო
 სიცილის შედეგს...

 ნაცნობ რესტორნის
 მიხურულ კარებს
 ანათებს მწვანე
 წარწერა „open“...
 ახსოვხარ შენ აქ
 შენი ხნის ქალებს,
 ახსოვხარ ისე —
 რომ ველარ გცნობენ...

მოძებნი შენსას
 კუპეს და ამფსონს,
 ჩანურავ ჯამში

ბოლმის ლენცოფას...
 ...შენც ეს ქალები
 ისეთი გახსოვს,
 რომ დღეს არცერთი
 აღარ გეცნობა!..

 გეძებდი ყველგან,
 ლოცვაში,
 ხატში,
 ყრუ ტკივილების
 დაკარგულ ძიძას,
 სიზმარში ნაპოვნს
 გკარგავდი ცხადში,
 და ცხადად მყავდი —
 სიზმარში მღვიძარს...
 გავილე გული
 მე ჩემი წილი,
 ვარ უშენოდ და
 არა ვარ კარგად —
 უკვე სიზმარშიც
 მერევა ძილი
 და სიზმრად ნაპოვნს...
 სიზმარშიც გკარგავ!

 ლოდინმა გალია
 ეს წელი — 40,
 ლოდინიც მომბეზრდა
 თანდათან...
 და ახლა, უეცრად,
 მნახეო,
 მირეკავს,
 მრგვალ ბაღში ვზივარო,
 ფანტანთან.

ჩანს,
 რაღაც გადარჩა,
 და ნაღდად დამთავრდა
 ჭორი,
 და ზურგსუკან ძრახვები...

...და მაინც ვერ ვნახავ,
 ჯერ კიდევ მოვიცდი,
 ჯერ,
 ასე
 ბებერი,
 ვერ დავენახვები!..

 სხვისი ტკივილიც მწარედ მტკენია
 და სხვა რამ,
 რადგან,
 არც მაბადია,
 რაც კი რამ ცოდვა ჩამიდენია,
 ღმერთმა ამიტომ თუ მაპატია...

ერთი
 ვედრება
 შენც გამოიგონე,
 ის ლოცვაც —
 ღმერთს რომ შევხებენებდი...
 შენ მაპატიე,
 რომ ვერ გიპოვე
 (არ მაპატიო —
 რომ არ გეძებდი).

მეც მცემდა ბედის
 გაგრია ტალღა,
 თოვდა მძიმედ და
 წვიმდა ნემსებად...
 შენ ჩემთან ანი
 მომსვლელი არ ხარ,
 ხოლო მე —
 შენთან
 არ მომესვლება!

და ზეზეულად,
 ბოლო ბნკალამდი,
 დამძიმდა სული
 წლების თებოთი...
 ...შენ მაპატიე ყველა ღალატი,
 მე რა ვიცოდი,
 თუ შეგხვდებოდი!..

მთვარის პაპაქა

არა,
 არც ძველი ჩუმი წყენა,
 და არც — ახალი,
 არა,
 არც ხსოვნის ცივი ფერფლის
 სუსხი მთარსავი
 (...ღამეა ძველი,



დამტვრეული,
ცამდე მალაღი,
და მტკივან მხარზე
მთვარე უზის
პეპელასავით)...

ცრის მხოლოდ ჩუმი სინანულის
მლაშე წვეთები
(დრო ისეც გვაცლის
გამოსაცლელს
სულს და არაქათს)...
თქვენ
თქვენს ერთადერთ
დაკარგულ გზას ისევ ნებდებით,
მეც,
დაკარგული გზების გარდა,
სხვა გზა არა მაქვს!

და სულერთია
ან ქირქილი,
ანუ ტაშები,
როცა სიზმრებში
მონყენილი წლების რიგია...
როცა სრულდება ეს დრამა და
ეს თამაშები
და ასმეერთედ აგებ —
ასჯერ რაც წაგიგია!

როცა დაგცინის
შებინდების უხმო ხარხარი
და მწარედ გახსოვს
გახარებულ
მკერდის სავსავი
(...ღამეა ძველი,
დაძენილი,
ცამდე მალაღი,
და მტკივან მხარზე
მთვარე უზის
პეპელასავით)...

...ჩაიარა ბავშვობამ და
სიჭარმაგემ,
რაც აგროვე,
სიბერეში კი ჭამ აგერ!
ახლა ხვდები,
რა ტყუილად იპინტრიშე —
ეგ სიბერეც რომ ჩაივლის...
იგი თქვი შენ!..

ცხენის ინტარქიუ

ლომი ბუცეფალი არ ვარ,
არც — ბატონი როსინანტი,
დავაგორებ ჩემს საზიდარს
თეკლათიდან ნოსირამდი.

მე რომ ოფლი დამდის ღვარად,
ოფლად არა — ეკლად დამდის!
დავდივარ და დამდევეს
— „აჩუუ!“
ნოსირიდან თეკლათამდი.

ათას ცხენში რომ ვერო,
გამომარჩევ ათასიდან,
მე ვერასდროს მოვიშორებ
ამ კურტანს და ამ საზიდარს!

არც არაფერს ველოდები,
არც რამ დაგიმტკიცო მინდა,
სიბერეშიც მორჩილი ვარ
გახედნილი კვიცობიდან.

არაფერი არ იცვლება
წლებზე წლების მიმატებით,
ხან სტვენით და
ხან წრუპუნით
ხან აღვირით ვიმართები.

დავფრუტუნებ სხვის ჭკუაზე
და თვალებით დამაქვს მწუხრი.
ერთი ტარო სიმინდისთვის
ცალულს ჩემით კისერს ვუყერი.

არ დაირტყამს მათრახს რაში —
მე ვინ შემიცოდებს ბეჩავს!
თვასავით ვლექავ ბოლმას,
ან პირიქით — ბოლმა მლექავს!..

ვარ უაზრო ყოფის ტვირთით,
ხან კრინით და
ხან ჩოკინით,
სიკვდილამდე მორჩილი და,
ზეზეულად დაჩოქილი...

დავჩანჩალე,
ჩემს საძვალეს
სანამ ქარი მოსილავდეს...
ნოსირიდან თეკლათამდე,
თეკლათიდან ნოსირამდე...

მე და ნიკალა

...ლექსი მანამ ვერ გაანათებს,
სანამ
სიყვარულით არ გართმავ...
ფერიც ლექსიაო
(ნიკო დაამატებს —
ცხოვრების მაჩვენებელი მაგალითმა)...

ესვამთ ანწლის არაყს და
თან ჩაის,
სახლიც გვაქვს იმნაირი —
არ ბარაკობს!
ვთვრებით ფეხათრევით
(ჩანჩალით),
და ხელოვნებაზე
ვლაპარაკობთ...

გარეთ რაც ნომბერმა
ფოთოლი გაიმეტა,
ყველა ჩვენს მუშაობაზე
ჩამოვარდა...
ვზივართ ერთმანეთის
საიმედოდ
მე და ნიკალა,
სამოვართან...

ვართ ორსავ სოფელში —
მიშველე, უფალო —
ორნი ვართ
(მეც კაცად
მომაქ თავი)!
ნიკო —
უკვდავი, ლოთი და უბრალო,
ვასო —
უბრალო, ლოთი და...
მომაკვდავი...

სანაკში თოვს!

ექსპრომტი

თოვს.
ვეცემი თოვლში!
თოვს.
(დაცემა — მარცხი!),
ხან
შვეულად თოვს და,
ხან
მარჯვნიდან მარცხნივ...

თოვს.
ქალივით პალმებს
ათოვს მინიმანტოდ...
თოვს.
მეც უნდა თოვლმა
თოვლად მიმიმატოს!

რას დაეძებს პოეტს
სხვის მოვლილს და
გაზრდილს...
თოვა
ჯიუტ ბავშვის
ტირილივით გასდის...

თოვს და ათოვს ამ ლექსს
ამ თოვლივით თოთოს...
ისე კარგად თოვს რო ...
კიდევ კაი,
რო თოვს!

სულის ლუქმას ვკალმასობდი,
მოცდამ გამაჭალარავა,
როცა ვიყავ,
არ გახსოვდი,
გაგახსენდი —
ალარა ვარ...
დავრჩი ასე ფერმიხდილი
(დრომ სხვა ურვაც დამარისხა),
შენ სიცოცხლეს
და სიკვდილს
გადამკიდე დანასისხლად;

ცრემლი
ცრემლად ჩამოვღვარე,
მოცდამ გამაჭალარავა,
არც მტერი ვარ,
არც მოყვარე,
რაც ვარ —
ისიც აღარა ვარ...

თაილისი

სტუდენტი — 69

პირველი კორპუსი,
გპი,
ლენინის ქუჩაზე გარება
(დრო ბრუნავს — ბებერი რეპერი,
რა წლები დაფქვა და გარეპა)!

ასფალტი —
მინად და ქალამნად,
ცა — ქუდად,
და ქუდაზე — ჭერი ცის...
იმ კაცის —
ვინც მახსოვს ფალანად —
ლექცია დათიკო ჭელიძის...

ვიგონებ იმ წანწალს,
იმ ჯახირს...
იმ ქალს და იმის ბეჟ ნოლადინს...
სანოლთან
„პაემანს ყივჩაღის“,
და სანოლს...
ნისლები რომ აღის...

„ობლებში“ —
ნისიას ყადაღა,
ჭოლასთან —
ბაზარი კაცური...
...ახლაც რომ ჩამესმის, ხანდახან,
სპარტაკას სასისკის ტკაცუნს!..

ან ფილტვებს აკლდება ჰაერი,
ასაკი მენყება —
სამოცდა...
...ხოლო ეს ტკბილ-მწარე შაირი
იმ მშვერ ბალანას...
წამოცდა!..

ხუმრობა

ქალს საყვარლობა მოსწყინდა კაცის,
ვალსი,
მანქანა,
შამპანი,
ლექსი,
სასტუმროს ჭერზე სინათლე ბაცი,
სხივში ჩამტკბარი
თაფლი თუ სექსი...

ქალს საყვარლობა მოსწყინდა კაცის,
მოუნდა ბედი ერთგული ცოლის,
შეუჩნდა ნატვრა
სხვა მიწის, სხვა ცის,
სხვა კაცის,
სხვასთან სხვაგვარად წოლის...

...მოსწყინდა რადგან
ჭორი და გესლვა,
დათმო
სასტუმრო,
ზეცა და
ზესვლა...

დათმო შამპანი,
ჭალი და
ბროლი,
ისიც —
მუდმივად რაც უნდა დარჩეს...
ზის ლაფაროში ერთგული ცოლი,
ამ ლექსს ტირის და...
ლობიოს არჩევს!..

კონაუსი

ხუმრობა

არც ლექსი და
ალარც მუზა,
გადამწყვეტი — ჟიურია...
ლექსს მარტო წერთნა რალას უზამს,
თუ ჟიური...
ტყუირია...

ანზორ ჩიხლაძის სსოვნას
40 წლის შემდეგ

კოპულა მსხალიც
არ ისხამს ნაყოფს
(შენ ისევ ის ხარ —
ოცდაცხრამეტის!)
მეც უკვე ვგავარ
იმ ქვეყნად ნამყოფს
და მალე შეცვლის
„მოცდას — წავედი“!

მოვციდი ამ სოფლის
შარაზე გდებით
(დამცინის ალბათ
ვინმე დიდთავა)!..
...კვდები და —
შენი
იმედით ვკვდები,
ვრჩები და —
შენი
იმედითა ვარ!..

საგზლად ჩაბლუჯული მზე მაქვს,
მზე და სალამურის ღერი...
როცა ემღერება სენაკს —
მთელი საქართველო მღერის!..

ციურ ყვავილებს რომ მოხვეტს,
ფერს რომ მიიმატებს ფერი...
როცა ემღერება კოლხეთს —
მთელი საქართველო მღერის!..

როგორც სადღეგრძელო ერის,
ერის ჯვარმოუშლელ ფუძეს —
როცა საქართველო მღერის,
მკერდში სამეგრელო უცემს!..

სულში ჩაბუდებულ შუქით,
მზის და ლეგენდების ახლოს,
ნახე სამეგრელო, თუ კი
გინდა საქართველო ნახო!..

ღმერთო,
მომწყინდა ეს წლები,
ეს შხამიანი მილეთი,
რომ სულ ერთ სპექტაკლს ვესწრები
კონტროლმობიელ ბილეთით...

რომ ოდნავაც ვერ ვიღირს
ცხოვრების ტკბილი ზედაში,
რომ სადღაც, შუა რიგებში
ვზივარ რიგითი მეტაშე.

მეტი რა უნდა მოხდეს და,
მეტი რა უნდა დამავდეს —
ტაშს ვუყრავ ასჯერ ნანახს და
ვცხოვრობ ტაშიდან ტაშამდე...

არ ვჩივი
ჭორების მარულას,
არც ვმალავ
თვალებს და ამ სახეს...
ვდებ ლექსებს —
ჩანერილს ფარულად —
პირადი ცხოვრების ამსახველს!

სასწორზე თავი
რისთვის შევაგდე
(ვეოფილიყავი
თუნდაც ქვითხურო)!..
მთელი ცხოვრება
ამ ლექსს შევაკვდი —
შენ რომ დასცქერ და...
არც კი კითხულობ!..





1.
წესიერად ვერც გავერკვიეთ, რა ხდებოდა ჩვენ თავს, სად გაქრნენ ჩვენები, ან ეს ადამიანები ვინ იყვნენ და აქ საიდან აღმოჩნდნენ, ნამდაუნუმ რომ ჯაჯლანებდნენ და სახლიდან გასვლის ნებას არ გვართავდნენ, ბოლოს კი განგვიცხადეს:

— როგორც ჩანს, თქვენმა მშობლებმა თავს უშველეს!

— ისინი არასოდეს მიგვატოვებენ! — ამრეზით გაუპასუხა ჩემი ძმა, მე მხოლოდ მხრები ავიჩიქე. დაუდევარი სიტყვა არ შეგვგვენოდა, ჩვენი მოდგმა ერთ დროს მთელ ამ მხარეში სახელგანთქმული იყო. ყველანი ანგარიშს გვინევდნენ.

— ამასაც ვნახავთ! — ნაისისინა მეთვალყურე.

შემდეგ ზურგი შეგვაქციეს და კარი გაიჯახუნეს. გარეთ ძაღლები ანჩხლად ყვოდნენ. მოსანყენი და გაჭიანურებული დღეები დაგვიდგა. მთქნარებით ვიყურებოდით ფანჯარაში. გულზე მამაჩემის ნაჩუქარი ჭოგრიტი მიკვიდა, რომელსაც არასოდეს ვიმორებდი.

მე სარვას მეძახდნენ, ჩემ ძმას — მათეს, მოფერებით მათუშს.

— აი, ნახავ, თუ არ მოგვაკითხონ! — დაიქადა მან.

მამა მართლაც მოგვადგა შუალამისას. სილუეტზე ვიცანით, ხმელ-ხმელი და წარმოსადეგი კაცი იყო. მდინარის ფსკერზე ნაპოვნი ქარისფერი თვალები ჰქონდა. მზერით გვანიშნა, ბარგი აგველო და უხმაუროდ გავყოლოდით. მეთვალყურე ზღურბლთან ედგო ხელფეხშეკრული, ბილებში გაჩრილი ჩვილი. დანარჩენები არ ჩანდნენ. უკანა კარი წყალსატევთან გადიოდა, სადაც ბევრჯერ გვითევზავია. სახლი სწრაფად დავტოვეთ. ლერწმის იხედაც თვალდახუჭული გავიგნებდით, იმდენჯერ გავიკაფავეს. მალე გორაკს მივადექით, ბილიკებით გაბანრულს რომ ჰგავდა, პატარა ღელე ბუტბუტით უვლიდა გვერდს, თითქოს მიზეზობდა, ჩემ სავალ გზაზე რას დაყუდებულხართ, მაგრამ გორაკი თავის სიყრუეს, უძლურებას და ტლანქ ბუმბერაზობას მისცემოდა. ორთვალა გორაკს იქით დავგვხვდა. ცხენის ფრუტუნის შორიდანვე გავიგონეთ. გულდან ყვეტილებმა უკანასკნელად გამოვხედეთ მაცნობ ლანდშაფტს. გზაზე ვეგრდნოდ მტვერსა და წერილმან ნაყარ-ნაყარს სიბნელე აუჩინარებდა, მაგრამ ვარსკვლავებს კიდევ უფრო მოოჭვილად წარმოაჩენდა, თითქოს შემართული ზეცა ბრწყვიალა სამხრებით და ეპოლეტებით იწონებდნენ თავს. ამ უჩვეულო მოსართვა-ალკაზმულობის სიკაშკაშე უკიდურეს სივრცეს მრავალთვლიანი მძივივით ამშვენებდა და სამყაროს ამოუნურავ შესაძლებლობებზე მეტყველებდა. მთვარის შუქს ტოტებზე შერჩენილი ყვითელი ფოთლები ირეკლავდა, მკვდარი პეპლებით რომ ცვიოდა ძირს და ზოგან მთელი ზვინი ეყარა. ქარი თითო-ოროლას თუ ნააცხაცხებდა.

— აქ აღარ მოვბრუნდებით! — თქვა მამაჩემმა, — სხვა სახლში გადავალთ, დედათქვენიც იქ გადავმალე. ერთად შეგკრებთ წილის სავანეში. მწვანეში ჩაფლული წარმტაცი ნალკოტია ხის სახლითა და გვირილებიანი მდელოთი. ისედაც უნდა გადაამყვანეთ, როცა ყველაფერს მოვანსრიგებდი!

— ჩვენი მძევლები ვინ არიან?

— ნიალის სავანეში დამკვიდრება სურთ. იმედონებენ, რომელიმე ჩვენთაგანი სწორ კვალზე გაიყვანს, არც მომთმენი გული აქვთ და არც დიდი ტანჯვის გავლა ძალუძთ, ამიტომაც ცდილობენ შეპარვით შეღწევა. ვიცი, რასაც ვაკეთებ, უნდა მენდოთ, რაღაც პერიოდი სხვაგან გადავმალავთ...სხვა დეტალებზე არაფერი უთქვამს. ცოტა არ იყოს, უნდობლად განვეწყე. ეს ამბები კარგს არაფერს გვიქადდა. დედაჩემი გამახსენდა, ჯვალის ტომრებს ცეცხლზე შემდგარ ვეება ქვაბებში რომ ხარშავდა ხოლმე, მერე მზეზე აშრობდა და გრძელი ნემსით ერთმანეთზე აკერებდა, ზოგს ფარდაგად გარდაქმნიდა, ზოგს სუფრად და ასე მორთავდა ხოლმე მთელ სახლს. სად გავგანინდა სხვა საშუალებები?! მოვლას არ გვაკლებდა და ჩვენი სიხარულით ხარობდა. აი, ვის ჰქონდა მომთმენი გული.

შლამი და ჭანჭრობი უკან მოვიტოვეთ და უდაბნოში განვაგრძეთ გზა — როგორც მამამ აგვიხსნა მდევრისთვის კვალის ასარევა. გასწვრივ მწვერვალე-



დიმიტრი ნიკლაური

წილის სავანე

ბი მოჩანდა, ციცაბოებზე ბობლივით თუ აღწევდი. უფსკრულში ჩახედვა უსიამოვნო შეგრძნებებს ბადებდა. მივარდნილი ადგილი იყო, თავზე გამომოხობილი კლდეებით. ვინრო ბილიკები ქვევით დაგმანულ დერეფანს ჰგავდა, რომელიც არსაით მიემართებოდა და უსაფუძვლოდ გაკვალული გეგონებოდა, მთელ განშტოებებს რომ ქმნიდა და შესაძლოა ჩიხიც აღმოჩენილიყო. მეჩხრად განლაგებული ეკლები და კაქტუსები ბასრი მზერით შორეულ ლაჟვარდებს აპყურებდნენ, თითქოს მინიშნებებს ელიანო. ირგვლივ მოჩვენებების ჭაჭანებაც არ გაისმოდა. ერთხელ თითქოს რაღაც ხმები გავიგონეთ, მაგრამ მდევარი არსად ჩანდა.

ორ დღე-ღამეს მივდიოდით. დღისით ცარცივით თეთრი ცა ბრეზენტის ნაჭერივით გადაგვეკვროდა თავზე, ღამით კაშკაშა სიშავე დაგვეჩრებოდა, ათასობით ციური სხეულით, თითქოს გვარწმუნებდა, რომ ჩვენ სრულ განკარგულებაში მყოფი ელემენტები, რისგანაც შევდგებოდით, ვარსკვლავების სიმზურველეში იყო გამოწვრილებილი. განვლილ გზას ბორცვი ეფარებოდა, რომელსაც ყოველ მოსახვევში მორიგი ბორცვი ფარავდა. როგორც იქნა ერთ-ერთ ბორცვთან შევჩერდით, გეგონებოდა მინიშნებელი ბოძი ყოფილიყო. მთვარის მიმქრალი შუქი ბრინჯაოს გვირგვინად ედგა. გაცრეცილი სიმკვეთრე თვალს გვჭრიდა, თითქოს ბრწყინვალეობას დაფარული ოქროს საბადოები ანიჭებდნენ.

მოჯაყჯაყე ორთვალა გზაში კიდევ უფრო მოირყა. ბორბლების ჭრიალი და ხრიგინი მიწყდა და ჩვენს უკან აყრილი მტერის კორიანტილიც გაიფანტა. სანამ აქამდე მოვალნეოდით, ვრცელ მინას ხომ დიდხანს ვკვეთდით. სიხანგრძლივს ისიც განაპირობებდა, რომ ორთვალაში ცხენის ნაცვლად ჯაგლაგი გვება, რომელიც მამამ გამოხსნა და ცოტაოდენი შვრია დაუყარა. მერე აგურის მომცრო ნაგებობასთან მიგვიძღვა, გზიდან რომ არ ჩანდა, რადგან მალალი ხე ეფარებოდა, ერთიანად რომ გამხმარიყო. ღამის გასათევად მშვენივრად ივარდებდა.

— აქ დარჩენა მოგიწევთ! შესაძლოა დამაგვიანდეს, მაგრამ მოვალ თუ არა, მაშინვე გზას უნდა გაუდგეთ. ერთმანეთზე პასუხისმგებლობა გეკისრება! — თქვა მამამ და ორთვალადან საწოლავით სავსე ტომარა გადავიღე, მომცრო ყუთი ქიმიური ნივთიერებით ცალკე მოგვანოდა, — გოგირდი ტერიტორიის გარემო მოასხურეთ ჩხრიალა გველებთან დასაცავად! — ყუთზე მიგვითბა.

— ჩხრიალა გველები ზამთარში?

— ვინ იცის, როდის ჩამოვალ! — სევდა გაუკრთა ხმაში, — საჭმელი დაზოგეთ და ნურც ჩიტებს შემოიჩვევთ დიდად, თორემ ულუფის დაზიარება მოგიწევთ! — სანოვავე დავაბინავეთ, ტოლჩები წყლით ავავსეთ და მამას გამოვემშვიდობებთ. მინდორში შორეული გზები სხვადასხვა განშტოებებზე გრძელდებოდა. ჭრიალა ორთვალა გასაყართან ერთ-ერთს გაუყვა. ჩემი ძმა დიდხანს ვაპყურებ-

და. მე ხელებზე დავდექი და თავდაყირა მივედი აგურის ნაგებობამდე, მაგრამ ძმა ვერაფრით გავამხიარულე. ოხუნჯობის ხასიათზე ვერ იყო, სახე ჩამოსტიროდა.

ბეკობის ფერხით ქალაქი გადაშლილიყო, მოლუშული სახლები ჩამქრალი ელნათურებით გრძელ მწკრივად ჩანდა. ოდნავ მაღალ კორპუსებში მცხოვრებნი პირველყოფილებს აღარაფრით ჰგავდნენ, რადგან გარკვეული კომფორტით შეეცნოთ ფემენებელური გამოქვაბულივით ფუტურო სიცარიელე. ბასრი და ნამახული სახურავების დამრეცი კიბის საფეხურებს ნააგავდა. მთელი ეს მჭიდრო დასახლება შემალლებულ ბორცვებს უკაცრიელი მინდვრებით უკავშირდებოდა, ან სულაც ემიჯნებოდა, ვინ როგორ ჩათვლიდა. მოზუზული ჩიტები ტოტებზე უძრავად ისხდნენ, ასეთ ამინდებში ჩვეული ნავარდი სხვა განზომილებაში გაღწევას უდრიდა. ფერდობზე ზოგან ნაძვის ან ფიჭვის ჩრდილი ეცემოდა, ყოველთვის მერეოდა ერთმანეთში. ცაცხვს, ნეკერჩხალს და ზოგიერთ სხვა ხე-მცენარეს ადვილად ვცნობდი.

— მათუშ, ქალაქი ხომ არ დავგვეთვალიერებინა?

ჩემმა ძმამ უარის ნიშნად თავი გადააქნია. პირნავარდნილი მამა იყო. გვერდით ცხენარემივით მედგა და ხმას არ იღებდა.

2.

მე მარტო წავედი ქალაქის დასაზვერად, თუმცა ნამდაუნუმ უკან ვიყურებოდი, გორაკი თვალს რომ არ მიფარებოდა. დასახლებას ნანგრევების მხრიდან მივადექი, მიტოვებულ ყაზარმებს რომ ჰგავდა. ვინ იცის, გრივალნი რამდენჯერ შეხეთქებია ბეტონის ცივ კედლებს. შორი-ბელო პავილიონს გადავანყდი, შემდგომ ახლოჯერ რომ მოვაკითხე. პატარა ტომრი ფოთლებით მოფენილიყო და ირგვლივ ნოტიო გარემოს ქმნიდა. წყალსატევის ზედაპირზე ქარს შეხეფები ჰაერში ისე აჰქონდა, თითქოს უჩინარი არსება გუბებებს მიტოპავსო. მოასფალტებული გზა უცებ იწყებოდა. სამსართულიანი კორპუსებით ჩანაცვლებული მიუსაფრობა თავდაპირველად დაღრეცილი მოაჯირებით და დამტვრეული საფეხურებით გვებებოდა. მაცხოვრებლებს ისეთი მოლუშული სახეები ჰქონდათ, გეგონებოდა, ჯერ ნერილობით უნდა მიგემართა. თუმცა კეთილგანწყობა მაინც იგრძნობოდა. აქ მოწყობა ძნელი იქნებოდა, მაგრამ მჯეროდა, თავს გავართმევდი. როცა ქუჩის უკანასკნელ კორპუსს მივადექი, საიდანაც გორაკი ჯერ კიდევ მოჩანდა, ჭოგრიტი მოვიმარჯვე. ის გამხმარი ხე მოვძებნე, უსახური შტრიხი, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანი ნიშნული. შორს ტუმბო ხმაურობდა და ლოკომოტივი მიჩაქჩაქებდა, თითქოს გიგანტური ზამბარა ჭრიალებსო. სივრცეში განფენილი ბგერები ნელ-ნელა იკარგებოდა. პროვინციული ქალაქი იყო, საქმის გარჩევას და ავანჩავანს კონწილს რომ არქმევდნენ. პროვინციებს ხომ თავისი შეუვალი პრინციპები აქვთ. პატარა მოედნის ბორდიურზე

ჩამომჯდარ მათხოვარს ლოყები ჩაცვივოდა და ერთი შეხედვით დასახიჩრებულ ბერიკაცს ჰგავდა. მურა ფერის ამოლამებული თვლები ნახშირის ნატეხებით უელავდა, ჩაქრობამდე მისული მუგუზალივით, ცეცხლის ფრქვევა რომ აღარ ძალუძს, მაგრამ აღარც ცნობისმოყვარედ აჭყეტს, ირგვლივ ვეღარაფერს ხედავს სანუგეშოს. ჭოჭმანის შემდეგ გამოლაპარაკება გადაწყვიტე, მაგრამ ალბათ ყურსაც აკლდა. საუბარიც იმგვარი შედგა, გეგონებოდა ფილოსოფიურ ტრაქტატს ვაყალიბებდით.

— ოქროკაცო, მგონი, გზა ამერია!

— გზა იმას ერევა, ვისაც გონება აქვს არეული!

— როგორ მივხვდე, სწორ გზას ვადგავარ თუ არა?

— მაგას რა მიხვედრა უნდა, თუ სწორ გზას ადგახარ, გზის ბოლოს ეშმაკი დაგვედება, რომელიც უკანასკნელ ბრძოლაში გამოგინვევს!

— უკანასკნელ ბრძოლაში? — მხრები ავიჩიქე.

— ჰო! არ ეთობობი და იძულებული ხარ, შეებრძოლო! — მწუხარედ შეიშმუნა მხიარული ბრძენი, გული მტრედების გალიას რომ მიუგავდა, — ადამიანი მამინ გადარჩება, როცა ეშმაკი მასზე ხელს იმაჩნევს. მთავანია, მოთმინება არ დაკარგო. მოთმინება სანუხარის მიჩქმალვას ნიშნავს, რომ ისე გმირულად მოგელოს ბოლო, ერთი კვნესაც არ დაგცდეს.

— შენც, ჩემი არ იყოს, ძნელი ცხოვრება გქონია, ასეთ დღეში ვინ ჩაგავადო?

— შენ რა, პროკურატურიდან ხარ?

— არა! — გამეცინა, — ცხოვრების შეუსაბამობებზე ვფიქრობ. მაინტერესებს, ვინ განსაზღვრავს კაცის ცხოვრებას.

— ვინ და, ეს ქალაქი, მთელი თავისი შემადგენლობით! — მათხოვარმა ირგვლივ — საჩვენებელი თითი დინჯად შემოატარა, რომელსაც მზერა ცივად გააყოლა.

— მამ ქალაქში შესვლა არც ღირს?

— რატომაც არა, ღირს, თუკი გამოსვლას დროზე მოასწრებ!

— აქაც იგივე ერთფეროვნება იგრძნობა, რასაც ყველაფერი მოუცავს?

— კაცობრიობა მუდმივი ომებითაა დათრგუნული. ერთფეროვნებას კი ომის შემდგომი პერიოდი განაპირობებს, — მათხოვარი ენად გაიკრიფა და ჩახლჩილი ხმით მრავალ თემას გადაწვდა, — ველურებს ნაგავსაყრელები ბეზრდებათ და გამრჯე ხალხის კეთილმოწყობილ დასახლებებს იყრებენ, ცოტა ხანში ნაგავსაყრელად რომ აქციონ. ეს თეორია მთელ რიგ პოსტულატებს მოიცავს და პრაქტიკული გამოცდილებით არის გამყარებული... რეალობა მზეა, რომელსაც თვალი უნდა გაუხსნორო! როცა არსებობაზე ფიქრობ, სად გცალია დიდსულოვნებისთვის, თუნდაც განდევნილობა გმირულ სულს აყალიბებდეს. ჩვენ ხომ ყველას ვამცირებთ, მაგრამ სინამდვილეში ვისაც განვიკითხავთ, იმის განავალს შევექცევით. ამიტომაც მიგვდის საქმეები ცუდად, წარმოიდგინე, თითოეულ ჩვენთაგანს რამდენი აქვს ნაჭამი! მდიდრებს უყვართ ამალმეული ქადაგება, თითქოს ფული იმიტომ მიეცათ, რომ სამყაროს სუნთქვა შეეგრძნოთ, ბალახების თრთოლვა განეცადათ. ფულის შოვნა მოწყალეების გაღებაზე მეტად ძარცვას ჰგავს. ცხოვრება ხანგრძლივია, სხვადასხვა პერიოდის მომცველი. ოდენიმე სწავლას ვეღარ შეძლებ და აქამდე ნასწავლით მოგიწევს თავის გატანა! — ცოტა ხნით გაჩუმდა და შემდეგ ისევ განაგრძო, — ამ ბუდრუგანაში ადრე ძალი ცხოვრობდა. როცა მოკვდა, ჩემი ხელით ვუპატრონე, მდინარეს გავატანე, მე კი აქ დავიდე ბინა. დღისით მოედანზე ვმათხოვრობ. ათასში ერთხელ მდინარესთან ჩავივლი ხოლმე, მაგრამ ეს გზა სულ უფრო და უფრო შორი მეჩვენება. ამ დროს შეგიძლია ჩემ ბუდრუგანაში დაიძინო ხოლმე, — შემომთავაზა გულწრფელად, — აი, ღამით კი ვერაფრით დავითმობ, ძალიან ვიღლები. ამ ქალაქში თუ ცოცხალი ხარ, თავი მოიმკვდარუნე. ასე ჯობს, სალ-სალამათმა რომ განაგრძო გზა. რაც სავსებით შესაძლებელია მოხდეს, იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად მოხდება, რადგან მცირე ამბებსაც დიდი ჩანაფიქრები განსაზღვრავენ...

— სადმე თუ დაღვეს კაცი გვარიანად? — გაბეზრებულმა ვკითხე თემის შესაცვლელად.

— იქით, გარეუბანში, ლუდის ძველი ქარხანაა! — ხელი გაიშვირა, — ჩამოსასხმელს ჰყიდონ და სხვა სასმელებიც უხვად აქვთ. ბოთლში ნარჩენებს ხშირად ტოვებენ, თითქოს ძირში უფარვის სითხე ესხას. ადრე ხშირად ვაკითხავდი იქაურობას, მაგრამ ახლა სიარულის თავი აღარ მაქვს. ძირითადად აქ ვტრიალებ!

— ბარემ ისიც მირჩიე, ღამე რომელ ბუნაგში გავაბანო?

— სახურავზე გიჯობს, მყევარე ძაღლები მაინც არ გაგინყალენ გულს! — საინტერესო მოსაუბრე ჩანდა. რომ არ მენახა, როგორ მათხოვრობდა, პროფესორი მეგონებოდა. სამუშაოს ვეძებ მეთქი, სიტყვა ჩამოვუგდე ბოლოს. მგონი, იქ ჭირდებოდათ, ნაცრისფერ შენობაზე მიმითითა, რომლის შესასვლელთან ქალი ყვავილებს ჰყიდდა.

— ვხედავდი, როგორ საუბრობდით! — გამომელაპარაკა ეს ქალი, — არადა, ერთ დროს დიდებული პიროვნება იყო. იმდენად მნიშვნელოვანი ვინმე გახლდათ, ალბათ უმნიშვნელოდ აღესრულება!

სანაწაფოდ ვაქციე ზურგი, ერთ დღეში ორი ფილოსოფოსი აშკარად ბევრი იყო.

3.

პოლიგრაფიული სანარმო აღმოჩნდა, მუშახელი სჭირდებოდა და სამუშაოზე ადვილად მიმიღეს. სტამბაში ჩემი მოვალეობა იმით შემოიფარგლებოდა, რომ დასაჭრელი ფურცლები სწრაფად მიმეწოდებინა მემანქანისთვის, დაჭრილი ფურცლები კი დროულად გამომეტანა იქიდან და იმაზე ნარზე დამელაგებინა, სადაც მანამ დასაჭრელი ფურცლები ელაგა. ხელი მაინც არ მემართებოდა, ეტყობა, იმას არ ვაკეთებდი, რაც უნდა მეკეთებინა. სტამბის მუშატრეველებს მუდამ უკმაყოფილო იყო, ბაგე ლამის დროუნად ქცეოდა. არაფერი მნიშვნელოვანი იქ არ ხდებოდა. ყოველი ქმედებას კომერციული დანიშნულება ჰქონდა. თანამშრომლები ყველაზე მეტად ოხუნჯობაში იყვნენ განაფულნი. რომ არ ეხუმრათ, გარეკავდნენ. ყველა იმას ცდილობდა, მასხრად აეგდე და თავისი უპირატესობა ასე წარმოეჩინა. პირველი ხელფასი თბილისი სასწრაფო შევიძინე. ჩაფხუტი და ჯაჭვის პერანგი გეგონებოდა. ამ ჩაცმულობით რომელ მემომარს ვგავდი. ძილის პრობლემა მანამ მოვავაგარი. სახურავზე ერთი მყუდრო ადგილი აღმოვაჩინე, სადაც სადარბაზოდან რკინის კიბე ადიოდა, ვერტიკალურად რომ იყო კედელზე მიმაგრებული. თავის შესაფარებლად მშვენივრად ივარგებდა. დილაობით თოკების ხრიგით იმ მალვებზე, რადგან დიასახლისები ზედ საღებავს ფენდნენ და გარკვეულწილად ჯობილად სწვენდნენ. ალბათ გვარიანად ჰქონდათ მოჭიმული, რომ არ მოშველებოდა. ნების შემთხვევაში სარეცხს გაშრობამდე ტოვებდნენ. დილით სახურავის კიდდან ქუჩაში ვიყურებოდი, ეგებ რაიმე თავშესაქცევს მოგვსა მეთქი თვალში. ეს უბანი ძირითადად სამსართულიან კორპუსებს წარმოადგენდა, ოთხკუთხა ფილაქნებით დალიანდაგებული აივნებით, ჭადრაკის დაფის უჯრებივით რომ განლაგებული. უცებ ხმა შემომესმა, აივანზე მდგარი ქალბატონი მომმართავდა.

— ყმანვილო, ბარემ მანდ ხართ და იქნებ სანვიმის მილი შემისწოროთ, ნების დროს წყალი აქეთ ასხამს, სულ დამილო სარეცხის თოკები!

თუნუქის ამოვარდნილი მუხლი მარჯვედ ჩავსვი. გამხდარი და ბამბაზის მოსაცმელში გახვეული ქალბატონი კმაყოფილი დარჩა, ყავაზე დამაპატიჟა და მეც თავი აღარ გამოვიდე. ბინაში ყველაფერი ქათქათებდა, ბროლის ჭაღიც, ჭავლივით მოლოლივი, ამყავდ ხვევდა ფერად სხივებში უშველებელ ოთახს. პენით და გემოვნებით შერჩეულ ყოველი საგნისა და ნივთისთვის დარბაისელ დიასახლისს შესაფარის ადგილი მიეჩინა. არაფერი იყო შუშაბამო და უგემოვნო ამ ნატეგ მოზაიკაში. ერთადერთი, მე გახლდით უცხო და გული მიკვებოდა. მუსიკის მასწავლებელი ყოფილა. ახალგაზრდა გოგონას ამეცადინებდა, იმ გოგონას ანკა ერქვა. ოქტავის ალებისას შენიშვნა მისცა — ყურადღებით, ანკა! უფრო ბეჯითად, ანკა! ანკას თვალს ვერ მოწყვეტდი, სხეული მტვერავით გამჭვირვალე ჰქონდა, თვალები კი ციცხლივით უელავდა, ქალბატონის ამოღამებული მზერისგან განსხვავებით, რომელ-

საც დიდი ხანია დაენრიტა სიამენი ამა სოფლისანი. სამზარეულოში, სადაც ყავას ვსვამდი, კომოდზე იმდენი რეცეპტი ელაგა, ბიბლიოთეკის კატალოგი გეგონებოდა. ნაწლის სურნელს გაეუღინთა იქაურობა, გაცლილ ფლავორებს კი უჯრები ამოვსო. ამითაც იგრძნობდი, რომ დიასახლისი დახვეწილი საზოგადოების ღირსეული წევრი იყო, ჯანმრთელობა ხომ ქალაქელების საქმე არ არის. დარბის ღრითიდან წვრილი სხივები შემოდოდა, თითქოს ნემსის ყუნწებში გაყრილი ძაფები ყოფილიყო. რაფაზე გამსკრივებულ ქოთნებში კატეხები ეთესა, ლარნაკები მინდვრის ყვავილებს ისეთი იყო განკუთვნილი, გამჭვირვალე მაგიდაზე კი ფაიფურის ჭიქები ელაგა. სარკმლებზე აბრეშუმის სიფრიფანა ფარდები ეკიდებ და დიასახლისიც ზანზალაკების უღარუნით მიმოდოდა, თითქოს სანდლები ცმოდა. მერე ტკბილეული შემოთავაზა. გამომშვიდობებისას ნამოსვლა არც კი მინდოდა.

იმ დღეებში საპირდაპირე გავცივდი. ორიპირ ქარში კი არა, ოთხპირ ქარში შექინა. ნერვის ანთება თუ რალაც ჯანდაბა დამემართა. ვოქლობდი და ფეხი აუტანლად მტკიოდა. შორიდანვე შეატყობდა კაცი, რა დღეში ვიყავი. ისევე ქალბატონს მივადექი. რომ მნახა, შეეცოდა. მისადმი დაწოლის ნება დამართო და ექიმს გამოუძახა. დაზღვევა არ მქონდა და ფულის გადახდა მოუწია. ვალში ვარ მეთქი, განუწყობად მადლიერების ნიშნად. მაგაზე ნურც იფიქრობო, მიპასუხა გულისხმიერად. მკურნალობის პროცესი რამოდენიმე დღე ვაგრძელებდი. მეგონა, აღარასოდეს მოვრჩებოდი, მაგრამ ერთ მშვენიერ დილას ტკბილად გამომელვდა. ტკივილი საერთოდ გამქრობოდა. აქ სტუმრობას ძლიერ შევეჩვიე. საზოგადოებაში ფეხის მოსაქიდებლად ფულის წყაროსთვის უნდა მიმეგნო. ჯერჯერობით ქალბატონზე ვიყავი დამოკიდებული, რომელიც დროდადრო წვრილმან დავალებებს მაძლევდა. ფოსტის თვალყურს და მალაზიადან პროდუქტების ამოტანას მთხოვდა, კიდევ სხვადასხვა წვრილმანებს, რომელსაც არ ვთავიკობდი. ნაწაფარ ფულზე კი უარს ვამბობდი, მაგრამ გულითადად ხვეწნის შემდეგ მაინც ვიტანებდი. გული მიგრძნობდა, დიდი ჭაბუნჯეობის დროც დამიდგებოდა.

ერთხელაც ანკას, ნახვისთანავე რომ ჩამივარდა გულში, მეზობელ სადარბაზოსთან გადავანყდი. თურმე იქ უცხოვრია. გადავწყვიტე, მიტოვებული პავილიონი მეჩვენებინა, ჩემი დიდი საიდუმლო, და იქ ამეხსნა, როგორ მიყვარდა, მაგრამ დამაანსრო და ახალი წლის ღამეს, რომელიც დღე-დღე დადგებოდა, თავისთან დამაპატიჟა — რა თქმა უნდა, სხვა გემები თუ არ გაქვთო. ჩემი მეგობრებიც მესტუმრებინა, აღნიშნა. ლამის სიხარულით ცას ვენიე, თანხმობა განუწყობადი, ყველა საქმეს გადავადგე მეთქი.

— ქალბატონს რას ეტყვი?

— ჰო, სულ დამაინყდა მისი არსებობა!

— ვერაფერს ეტყვი, მართალი ხარ! — მომახალა მკვახედ.

— ვეტყვი! — არ მინდოდა ნაწყენი დამრჩენოდა, — აუცილებლად გესტუმრები!

4.

საახალწლოდ სტამბაში ფული გამინალდეს და ჩემი ძმის მონახულება გადავწყვიტე. ბაზარში ცოტაოდენი ციტრუსი, ქიშმიში, რამდენიმე ბოთლი ლიმონათი და ბლომად ორცხობილა ვიყიდე. ჩემი ძმა ბექობზე დამხვდა, საიდანაც ძველი მაგიდა გამოეჩინა, მაშინ ჩვენი ნაქონი თუ იყო და მის ზედაპირს რუდუნებით აპრილებდა. ვერ ძლებდა უსაქმოდ. მე კი მუდამ მზამზარეულს ვეძებდი. იქ, ქალაქშიც მიტოვებულ სარდაფებში ვძებნებოდი, იქნებ რაიმე გამოსადგემი მომხებულხარ. პავილიონთანაც ამ მიზნით დავხეტიალობდი ხოლმე, რომლის მოლაპლაპე ფანჯრები გარდიგარდმო ჩავსვათ. ყოველი მხრიდან შორი დასახლებები მოჩანდა, ერთმანეთს ვინრო გზებით რომ უკავშირდებოდნენ. როცა იქ ვტრიალებოდი, ისეთი შეგრძნება მექონდა, რაღაც მნიშვნელოვანი საქმე უნდა გაჩაჩხულიყო. წვრილმანებზე არასდროს მდომებია მოცდენა.

— აი, კუნძები ამოვიძირკვე, ცეცხლის დასანთებად ივარგებს, იქნებ მეყოს კიდევ

მამის დაბრუნებამდე! — ჩემმა ძმამ იქით გამახვდა, სადაც ბელტები გროვად ეყარა.

— მათუშ! მალე ახალი წლის ღამე დგება, კარგ საზოგადოებაში დამაპატიჟეს, მშვენიერ დროს გავატარებდი! — დავუწყებე მე.

— სარვა! ხომ იცი, მამის მკაცრი ხასიათი! სწორედ იმ დროს რომ მოვიდეს?

— მომსვლელი აქამდე მოვიდოდა.

— ხომ თქვა, დავავიანებო!

— იქნებ მდევრები დაენიენ?

— რას დააკლებდენ? — გაეცინა მათეს.

— ჰო! ზეკაცი გყავს, მამ რად გავრზობდით?

— ჩვენ გვიფრთხილდებოდნ!

— სულაც რომ არ მოხარუნდეს, აქ უნდა ელოდო?

— განა სხვა რამე აზრი აქვს ქვეყნად?

— კაცი ვერაფერს შეგაგონებს!

— მე ვრჩები, სარვა, შენც იგივეს გირჩევ. როგორმე გავიტანთ თავს!

— მე მივფიქროვ, მათუშ, და შენც იგივეს გირჩევ, იქ უფრო გავიტანთ თავს! — ვუპასუხე განბილებულმა.

როცა მოვდიოდი, მიხარა:

— სარვა! ერთი წუთით შეიცადე, თუ მამაჩვენი გამოჩნდა, ამ გამხმარ ხეს ცეცხლს წავუკიდებ. შეეცადე იმ ადგილებში იტრიალო, საიდანაც ეს ბექობი ჩანს, როგორც კი ცეცხლს შენიშნავ, აქვე გამოუშურე, იქნებ მამა მცირე ხნით დავაყონო, შევთანხმდით?

გამხმარ ხეს ავხედი, წყევლასავით რომ აღვა ქალაქს და ხმა არ გამოვლო. გზაში წვიმამ მომისწრო, წვეთებმა იმგვარი წყარული იწყეს, თითქოს ხურდა ფულს მიპნეუდნენ ფერხითი. ჩემი ძმაზე ვფიქრობდი. მივივლი მისი რწმენის და ნებისყოფის. ამდენი დრო გავიდა, ეს კი კვლავ მშვიდ მოლოდინშია. მამის სიტყვას არაფრით ვადავა.

ახალი წლის ღამე მაინც უფრო საზეიმოდ წარმომედგინა. ყვავილების გამოიდველთან საუკეთესო თაიგული შევარჩიე. ანკა ზღურბლთან შემეგება, გამჭვირვალე წინსაფარი ეკეთა, შეფარებული სახე და ალტაცებული მზერა ჰქონდა, მზინავი თმებით ჩანჩქერიდან გამოსულს ჰგავდა. კონიაკს და ლიქიორს დასტრიალებდა, მსგავსად ფარმაცევტისა, ვეება კოლბებს და სინჯარებს რომ ანჯღრევს საჭირო შეფერილობის მისაღებად. მეგობარი გოგონები ალტაცებით შესცქეროდნენ მის უშფოთველ საქმიანობას. სასმელი მალე მომიკიდა. მასხოსეს, ანკა დიდხანს და დიდხანს რალაც ძალზე უმნიშვნელოს ისე მიყვებოდა, როგორც რალაც ძალზე მნიშვნელოვანს, მე კი ზაგვავს კოცნით ვუფარავდი და როცა განთავისუფლდებოდა, კვლავ მოყოლას განაგრძობდა. სიზმრის დარმა საღამომ ქანცი გამწყვიტა. გარეთ სალუტების გრუხუნის გასმა. შამხანა ჩვენც გავისროლეთ. დღესასწაული გვაგავლენდა, საახალწლო ზეიმის მთელი არსებითი შევერთებოდით, მერე ისევ ღვიწხოს მივეძაღეთ.

— რა უცნაური ჭოგრიტი გაქვს!

— მამაჩემის სახსოვრია!

— ამ ჭოგრიტის გამო მომეწონა, შორსმჭერტელი იქნება მეთქი! — კისკისით გადახედა თავის დაქალებს, — გამახვებ?

— რატომაც არა?

— ყველაფერი ხელისგულივით ჩანს!

— თქვა აღვითვანებულმა, — აგერ ვილაქ ფაშაშა დედაკაცს სარეცხი გაუფენია, მომავალ წელს გაშრება ალბათ, იქ, გორაზე კი რამხელა ცეცხლი დაუნთიათ. ეს ალბათ ყველაზე დიდი ფეერვერკია ამ ქალაქში!

— სად არის ცეცხლი, გამახვდე! — ვთქვი მე.

— არ გავახვებ!

— იცოდე, ნავალ, ანკა!

— თუ ნახვალ, აქ ვეღარ დაბრუნდები!

— თქვა და ზურგი ბრახით შემაქცია.

მთელი არსებითი შევიტრქენი, რომ მას ჩემზე მბრძანებლობა ენადა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმატოვებდა. მის გარეშე ანი უსაშველოდ გამიჭირდებოდა, ღრმად მქონდა შეტოპილი და საშინელ დღეში ჩავვარდი. ლამაზი გოგო ბრძანდებოდა, მაგრამ ჭირვეული. შეუვარი ხასიათი ჰქონდა, მე კი დამყოლი ვიყავი და შესაძლოა ეს იზიდავდა ჩემში. მასთან გასაუბრება იმას ნიშნავდა, რომ მე ჩუმაღვყოფილიყავი და მხოლოდ ყური მეგდო. გამოცდილებით ვიცოდი, რომ ცხოვრებ-

ის სიკეთები იშვიათ გაეღებოდა ჰგავდა უკუნში, რომელშიც გზას ისედაც ხელის ცეცებით მივიკვლევდი. ანკას ჭოგრიტი ხელში ჩაებლუჯა, მხრები კი ისე ძალუმაღ უცახცახებდა, გეგონებოდა ტირისო. ნასვლის თავი აღარც მქონდა და დავრჩი თუ არა, მყისვე გამხიარულდა. ჩემს ნინ ქალი იდგა, ცეცხლივით მგზნებარე და ჟინმორეული. მისი მეგობრები ჩვენზე ჭორობდნენ, ანკას მორიგი შეყვარებული როგორ მოგნოსო, ჩურჩულდნენ, თან ჭიქაში ყავას მისხამდნენ და კოვსაც თვითონ ურევდნენ, სანამ შაქარი კარგად არ გაიხსნებოდა. გაგულისების მეტი არაფერი დამრჩენოდა, თუმცა მსიამოვნებდა, ჩემი გულისთვის ამდენს რომ იღვონდნენ. თითქოს ესეც წინასწარ განესაზღვრათ, არსად წამსვლელი რომ არ ვიყავი, მაგრამ დილით, როცა ოთახი საყოველთაო ძილმა მოიცვა, სახლიდან ფენაკრეფით გამოვედი. ისე ვჩქარობდი, განუყრელი ჭოგრიტი იქ დამრჩა. ანკას რომ გაღვიძებოდა, რისხვას დამატებდა. ვიცოდი, ერთხელაც ზურგს შემაქცევდა და სხვა კავალურთან ერთად დამხვდებოდა, შენთან ერთობით გავებზრდიო, განმიცხადებდა. ვიცოდი, ნასულს რომ მნახავდა, ქილებს მამასხვრ-მამასხვრედა, თითქოს ერთ-ერთი განძი ეგულდებოდა. მერე სასტუმრო ოთახის სერვისს მიადგებოდა. სერვისის ჭურჭელი ხომ კარადებზე მეტი ჰქონდა. მაგიდებზეც კი ენყო, რადგან სათაფისების ნაკლებობას განიცდიდა. მეგობრები მის დამოშინებას მოჰყვებოდნენ... მაგრამ ვცდილობდი, ამეებზე აღარ მეფიქრა. მივდიო ამაო ერთფეროვნებაში ჩაიხიდა, სიხარულს ყიყინამ განვლო და ირგვლივ ისეთი დუნე და გაცრეცილი გარემო დატოვა, როგორც სინამდვილეში იყო. მიძიე რიყარაში ტროტუარს გავუყვი. ნათურები ჩაქრობას იწყებდნენ. ქალაქი ზმორებით იღვიძებოდა. უძილობისგან თვალში მეხუჭებოდა, მაგრამ გზას განვაგრძობდი, ჩემი ძმის მონახულებას ვჩქარობდი. ბუჩქნარს ავეყვი, კანტიკუნტად რომ ჩანდა, ერთი ბენო ხეები არხინად იდგნენ იმ მივიწყებული ალაგს და მორჩილად განაგრძობდნენ შრიასს.

ბექობზე არავინ დამხვდებოდა.

ეტყობა, დიდხანს მელოდნენ. ვეება ხე ფესვებამდე იყო ჩაშავებული. აი, თურმე ვისი ფეერვერკი იწვოდა ყველაზე ძალუმაღ. საშიშლად დალლილი ვიყავი და ქალაქის იდუმალი ხმაური, ყველა იმ ხმის ერთობლიობა, რომელიც ჩემამდე აღწევდა, ძლივსა ჩამესმოდა. ხასიათის სისხარტემ სიხარული დამაკარგვდა. ბოლო იმან მომილო, რითაც თავი მომიქონდა. ლოდინს დამლუპველ შეგრძნებად აღვიკვამი, განსხვავებით ჩემი ძმისგან, რომელიც ჩემ ამბავს, ვინ იცის, როგორ განიცდიდა. ცხოვრების დინება მოუსავლეთში მიგვქროლებს, ნაპირზე აფორთხება კი ბევრ ტკივილთან არის დაკავშირებული. ეს ღრმა ძილიდან უეცარ გამოფხიზლებას ჰგავს. გულგატეხილობამ მომიცვია, მხოლოდ წარსულის მოგონებები დამრჩენოდა. ვერ ამეხსნა, რა მოხდა მაშინ. რატომ მივატოვეთ სახლი, რომლის კედლებიც კი კეთილსურნელებით იყო გაუფლეთილი, სადაც უბრალო სკამიც მფის ჩარდახად მეჩვენებოდა და ყველაფერი დიდებული ნიშნით იყო აღბეჭდილი. საქმე კი სხვაგვარად შეტრიალდა. ანი მათ ადგილსამყოფელს საღლა მივავიზებდი? განა რა იყო მნიშვნელოვანი იმ დღეებში, რომელიც მამის მოლოდინში არ გავატარე? თურმე სადაც დროებით მკვიდრდები, ღრმა ფესვსაც გაიდგამ და ძნელად გაალწვე უკან. იმედი მაინც არ უნდა დამეკარგა, მოწყალე ზეცა ხომ ჯერ კიდევ ცოცხალს მტოვებდა.

ბექობზე მრავალი დღე დავრჩი, ჩემი ძმის განცდებში გარკვევას ვცდილობდი. იქნებ რაიმე მინიშნება მაინც დატოვებ მეთქი, ნანური ან მინაჩხაპანი აგუროს კედელზე. მერამდენედ გადავიხირო კეპარობა, ყოველი მიმდებარე ალაგი, მაგრამ ვერაფერს ნავანყი. ოქროს მნათობი ხეთა ვარჯებს ეპყრათ, თითქოს მუგუზალს სულს უბერავნო. ჩემი ძმის მიერ მომარაგებული კუნძები დილის ბინდბუნდში ნაზგარეგებდა ქვეუღლო კომუკებად მესახებოდა. სტიქიების მაუნყებელი სიო ძალას იკრებდა. შორს დაფხვნილ კრისტალებად ქვეუღლი ნონოლა შენობები ბრწყყვილა მზეზე მარლივით ბზინავდა.

დასაარული მე-11 გვერდზე



ვიკა მყავანაძე

შენ, დიდო ჩემო და თეთრო ღამევე!
ნარსულოც ჩემო, ანწყოც, მერმისოც!
კი, ღირდა, ღირდა მაინც, თქმა ამის, —
გამოფხიზლება იქნებ გელიროსო.

მამაჩემი

როგორ დამიბერდა მამაჩემი,
თავზე ჭალარალა შერჩენია,
თვალში ჩაბუღვია განაჩენი —
შავი, უკუნეთი ელვგია.
ძილში უცაცხაბებს ქვედა ტუჩი,
პიანინოზეც კი აღარ უკრავს.
ბელურასავითაც მიმიყურდა,
მიუყვება ოთახების შუკას...
ორი ფინჯანი გვაქვს მე და მამას,
ყავით გულს იჯერებს სავარძელში.
მამამ თავიდანვე დამიმგვანა.
ნეტა იმერეთში არ გავეშვი
პატარაობისას, როცა ვკლავდი
მე დროს სიცილსა და თამაშებში.
ახლა... ახლა შემრჩა მისი ლანდი.
ღმერთო, ნეტა მართლა არ გავეშვი!..
თავის მიბაჩუნობს შავ ბაჩებში.
მამა, ჩემი დიდი ბავშვი, მამა!
ცრემლი ჩაბუღვია განაჩენში,
ცრემლი — სიბერის და ჟამის გამა.
როგორ დამიბერდა მამაჩემი...

თერგს

თერგო, გერგეტემორაგვეულს,
ხატი გიხმობს, სხვაი განა!
ამოქარგე ორაგული,
ჩაიტანე ხევი თანა,

რომ იმერეთს ძველშავამა*
გაიხაროს, უხმოს დარმა,
თორო იწყო კენესა გაღმა
და ცა ველარ დაიამა.

დახე, რა შორს, რა შორს ნახველ!
თავისაკენ გიხმო ზევამა,
მუდამ გულში იხვევს ნალველს,
ასე იცის, ასე, მანა!

ორაგულს კი, გზა თუ მიეც,
დასთანხმდება გლეხის ხელეხს,
ვითა ბაღლსა — ბრძენი ძიძა,
ჩაჰკირკიტებს მთას და ღელეს,

მოგერევა, თერგო, ქარი,
კერპს, გზად მოგდრეკს თანდათანა!
ქარი განა დედა არი,
რომ გიმღეროს იავნანა!

* ძველშავი — ქართული ნითელყურძნის ვაზის ჯიშო.

ღელის ქვენი

ღელას, მარინე კაკაბაძეს

შემოუარა ხავსს,
გადაეხვია კვახს:
სახლში წავილო ხამს,
კარგი სამხარი ჩანს! —

თქვა და აფრინდა ის,
ჭია გაიგდო წინ,
ღლაპთან მივიდა ძღვნით,
და ახლა ტოტზე ზის.



ღალგამათანია

ვირი, ვირი, ო, ეს ვირი! —
დღესაც რეგვენზე იტყვიან,
არადა ვირს როგორ ჩივი,
როცა დღემდე ძელთან გდია.

დღემდე მიაქვს ურთხლის ჯვარი
და მტრის ჯვარი დღესაც ჯავრობს,
ჯავრობს, ჯავრობს უფლის ჯვარი,
ზურგით ზიდავს ვირი ჯვალოს.

ფერდი, ფერდი, ო, ეს ფერდი!..
ფერდი ტირის უფლის სისხლით,
და თუ ოდნავ მაინც შეწვდი,
მტრის ჯავრსაც კი გადაგიყრის.

დგას გოლგოთა, როგორც ბერი,
ბერი დინჯი, თავისთავად,
ბევრია არის ვერცხლი, ბევრი,
რადგან გროშიც გაუთავდათ...

გაუთავდა კაცს სინდისი,
აღარ უნდა ის არც სინდისს,
რადგან უკვე დღისით-მზისით
ბეცი კაცი დაღმა მიდის.

მიდის... მიდის... მიდის დაღმა...
ზუსტად იმ გზას ადგას იგი,
სადაც ურთხლის ჯვარი გახმა,
სადაც ჯავრობს ჯავრთა რიგი.

ვირი, ვირი კი, ეს ვირი,
კაცზე უფრო კაცი არი,
რადგან ზურგით დააქვს დიდი
კაცის ყველა სატიკვარი.

დიდი კაცი ვინლა არი...
ვისაც არ უდიდკაცია,
ვისაც ისე ააქვს ჯვარი,
რომ მხდალიც კი მამაცია.

ისმის ქეჩა, ისმის გრგვინვა,
სანამ ბოლო სუნთქვა ითქმის,
სანამ ვირი აღმართს მივა,
ან არ მივა, მივა თითქმის...

და იქმს ცოდვა გზად თავისას,
ბინდი ღამის ახრჩობს დღესა.
ისევ ისმის ოხვრა მთაზე,
როგორც ველზე ხორბლის თესვა.

ვირს კი, ჯვართან ჩაჩოქილსა,
ცივი ოფლის მოსდის ღვარი.
ვირს აუგად ზრახვენ, როცა
კაცზე უფრო კაცი არი.

ღიდგუსრანული

სალი იციან მხოლოდ ჯიხვებმა,
ჯიბრიც იციან ნისლთან ჭიდილში.

ვაზი მომტირის, ვაზი მიხმება.
დავნიპნო ვაზი, ვაზთან მიმიშვით,

რადგან ნაშალი შეარყევს ურყევს.
მტკვარზე მეტეხი ჩანს დარაზმული,
ასე ნაომარს მე ნუ მიყურებ,
რადგან ქველია ჩემი ზაფხული.

ქველია ანა, დიდი მუხრანი.
დიდი შოთა ხომ ისეც ქველია!
სიტყვა — სიტყვაა, კლდე და უღრანი,
თვითო მარცვალში მოჩანს კელია.

და რადგან მაინც ის ვერ დაფასდა,
და რადგან დღემდე თავს გრძნობს ეულად,
ქველად მე ველარ შევიცნობ თავს და
კვლავ ნაკაცარად გადავქცეულვარ! —

ველარ ვიმარჯვებ ნისლთან ჭიდილში,
სალი იციან მხოლოდ ჯიხვებმა,
დავნიპნო ვაზი, ვაზთან მიმიშვით,
რადგან მიხმება, ვაზი მიხმება.

სვავთა ნაგუსრალს

ჯანსუღ ჩარკვიანის ხსოვნას

შენ, ჩემი ღამე, ყველაზე თეთრი...
ვფიქრობ და იქნებ არც ღირს თქმა ამის,
მონამე არის რადგან თვით ღმერთი,
არცერთი წუთი, არცერთი წამი

არ მიცხოვრია მე შენ გარეშე,
მე შენ გარეშე არ მიცხოვრია.
მაინც ჯიბგრობს ქარი ღამეში,
ღამის მეუფე მხოლოდ ქორია.

ქორი, რომელიც შენს გზას თან ახლდა,
ქორი, რომელიც სხვისთვის შორია,
და თუ სიზმარი კეთილად ახდა,
მე მხოლოდ შენი მაღლი მგონია,

ჩემო მარტვილო და დიდო ჩემო...
დიდო, შენ, როგორც ღმერთი მაღალი.
და თუ ვიგემე ამ მაღლის გემო,
თუ შენთვის შუბლის ძარღვი დავლაღე,

შენით და შენით, ისევ და ისევ...
შენ, საქართველო, შენ ხარ მიზეზი!
ასიათასჯერ სულს შენთვის მივცემ,
ასიათასჯერ სული მივეცი

არათუ ქორსა, არათუ სვავსა...
რას დაგამსგავსა, შეხე, ამ ქორმა!
შეხე, ამ ქორმა რას დაგამსგავსა,
თავად სვავთაგან გადანათქორმა!

და თუ ქორია ისევ მეუფე,
და თუ სვავსაც კი დღეს სიტყვა ეთქმის,
ამიტომ არის, რომ შეგაფურთხეს,
ამიტომ არის, ამიტომ-მეთქი,



იკა
ქადაგიძე

ცხელი ამბები მომიზღვავდა,
დულს კვლავ კორიდა,
ვერ დავდე ზავი მეგობრებთან,
დუმან შორიდან...
გაუცხოების მტრული ქერქით
უსიტყვოდ ვტკბები,
ვინ ზომავს მანძილს
აქ, იუდას მწველ ამბორიდან?!
გულის გადაშლა რომ მომინდა,
ჩემზე ახია.
სიცრუის დაშნა ელმად ელავს,
სინრფელე... კვლავ დასაძრახია!

იცი, ასეა

ქვიშა წამწამზე ჩამოცურდა,
მზე იძრა თითქოს,
იცი, ასეა,
როდესაც გონი შეფოთილი შენს ნებაზეა,
მზე ჭრელი ნავით გაემგზავრა უშორეს კვიპროსს...
იცი, ასეა,
ქარიშხლით მოხვედა,
თუმცა მზერა კვლავაც მთაზეა,
ვერც ამჩნევ, ჟანგის საჭურველი
რაგვარად გიპყრობს,
დრო ჯვარცმულივით რომ ემთხვოს
სიზმარს უძიროს,
იცი, ასეა,
როგორ ველოდით, ძიების გზა ჯერ მესადა,
წარმოიდგინე, ზღვამ სიჩუმე რომ დააპიროს...

იმ ავბედითი დუმილის ყლორტებს
ვერავინ მოსხმეს სიკვდილის გარდა,
გალაქტიკების სუნთქვის არმცოდნეს
გამოგიცეკვებ, ვით ესმერალდა,
და თუ დამბრალდა, მზეს გამოვტაცე
შუქ-ჩრდილის ფარდა ელვა-ნიავით,
არ მენალვლება, რამეთუ მომდგამს
ქვიშის ღირსება გაუთელავი!

თეთრ იასამანო

ქარბუქთა ქარგალი კაემნის ამალით
სივრცეებს განდევნის.
შორს, ჩემი პროფილი თეთრ იასამანით
ელავს, ვით კანდელი...
დუმილის ნალღენით ქუფს ნიაღვარივით,
ვინ კორტნის ღვარცხანებს?
დროა აღიარო, სანუთროს ჩემოდნით
მლიღებმა დაგვთოფეს,
უხმოდ დაამინეს ლაჟვარდ ზმანებების
უმზეო ღანვები,
ქვიშას მონყვეტილი ხარ სხვათა სამიზნე,
მზის საყვირს დასწვდები,
თუმც შენი სიმღერა მინყვი უღიმღამო
ხამს გულში დამალო,
ძაძებს ვერ ჩავიცვამ, სივრცე მღრღნის ციცაბო...
როგორღა გინამლო,
წამწამდალენილო, მინას დანინდულო
თეთრ იასამანო!

შიშრა ცრემლი

შიშრე ცრემლი, ცვილის ფრთები ანდე იკაროსს,
სინათლის ფანტელს გაებლანდე, მზე რომ იკარო,
საყურედ მშვენი კაემნები ტკბილმოჟღერუნე,
შენი ხმის ცივი მწვერვალები ცარგვალს აბრუნებს
სულში, რომელსაც მინიერთა წყევლამ უნია,
იღბლის პირიშზე არც კენტია და არც ლუნია,
სხვისი შეწევნა რომ მოსდგამდეს თვალსასერიოდ
შორს, გაუსაძლის სიმარტოვეს უბრად ვზეიმობთ...
შიშრე ცრემლი,
ცვილის ფრთებით უხმე იკაროსს,
ხელუხლებ გრიგალს გადაეჭდე, მზემ რომ იხაროს,
პროფილს მოსილავს ელჭექები ორქადათა,
შენ არ მეყოფი, რადგან ქვიშის ვალი გემართა.

სრულყოფილების ჰიმნი

მე არ გახლავართ სრულყოფილი, ბატონო ჩემო,
არც პერსონაჟი ყალბი ფილმის, უგულისყურო,
მაცხოვრის ცრემლის სისპეტაკე რომ დავიჩემო,
ან წანყმედილი მოდემის
მსგავსად მდარედ ვიხუმრო.

მე არ გახლავართ სრულყოფილი
უფლის კრავისებრ,
ტყვიის დახლაა მინა, გული ვერცხლად დადნეს,
სანუთროს თალხი უკვდავებად გავითავისე,
უმი ნალღელით დავიტალღე, არ ვიგლოვ ჰადესს.

მე არ გახლავართ სრულყოფილი ეპოქალურად,
არ მსურს პოეტი ეშმას ლხინზე მონად გაცხადდეს,
მუდმივ სახრავად ვერ ვინამე სამშობლო ასგზის,
სად დავამინე სისათუთე მარადქალური.

ბრწყალები ღომის გაცვდა, სული ქართულ ნაგაზის
მტრისა და ავი მოყვრის ჯიბრზე
ვერც სიზმრად დავთმე,
ავურევ დავთრებს ქონდაქარებს, მილირს მარულა,
მედროშესავით შევაკვდები,
სივრცეს ვინც მართმევს!

ჭკვიანთა მოდგმას ვერ ვიგუებ საუბედუროდ,
ქვიშის დაფიონს ერვალევა ელვის ებგური,
მე არ გახლავართ სრულყოფილი, უკან დამხიონ?
ბრძოლას არ შევწყვეტ და
ამიტომ არ დამემდუროთ!

ფეხი დაგიცდა უნებლიეთ კაპერნაუმთან...
მზეს ვერ ვემთხვიეთ, წვიმის სისხლი ჩემში გაუქმდა.
ფეხი დაგიცდა უნებურად კაპერნაუმთან,
საბედისწეროდ წაიბორძიკე...
ველარ მიაგნებ ქაჯეთის ციხეს,
მათრახი როდის აურვებდა ცეცხლნაკვებ ქურანს?
ვეფხის ტყავის ქვეშ თვლემს წყალწყალა
სისხლი ნაძრახი.

შავსისხლი როდის გეუმადურა ღომგულ მოყმეთა...
სივრცის მრემ ნაკვებებს უხმოდ გაკვეთს
გოდება თარსი,
ვერ ჰპოვებ ნუგეშს, მუხანათთა გიჯობს მოკვეთა!
არ კიაფობს მათ სულში ხანძთა,
ვერცხლი ჩხრიალებს,

რა სარფიანად არიგებენ ღვარძლს მსხმოიარეს!
ფეხი დაგიცდა უნებლიეთ კაპერნაუმთან...
მზეს ვერ ვენიეთ, დროის დელგმა ჩემში გაუქმდა.
ფეხი დაგიცდა უნებურად კაპერნაუმთან,
საბედისწეროდ წაიფორხილე...
სიკვდილის მოთქმა ვის მოეყურა?
უფსკრულს წამოკრეფ, როგორც ობოლ,
შავნისლა ღიღებს,
ვერ შესწვდი ჰოროლს, მწველია სილა.
ვერ ამღერებს მათრახი ქურანს...

**გალაკტიონს
გალაკტიონურ რიტმით**

გალაკტიონურ რიტმის უღვთაებრივეს ჰანგთა
სხვა პოეზია არ მწვავს, მეფის სტიქიის გარდა!
აქტიონური ქროლვის აქატებს, აქაფებულს,
მზე ააზატებს სტრიქონს,
მნდე ვარ იისფერ თოვლის...


სიმარტოვეთა ხეში — შავი გედის კენტ მღერას
დაეღვენთება, ოდეს უებრო ეფემერას
გალაკტიონურ სიზმრის მწვერვალთა აღმასებით
იყვავილებენ გულში მსოფლიოს ათასები!

აღუვსებელი სივრცის ცეკვა გრაალის თასთან,
უცვლელი მეფე-მგოსნის უღვთაებრივეს ჰანგთა
სიმფონიების გრგვინვა სილაჟვარდემდე გასტანს!

იორღანე

იორღანე. იორდასალამები
ცას ფურცლავდნენ, ოდეს ღიმილს ლამობდი...
შეინანე, ვიდრე ხრწნადი გვამები
სანუთროთა სადინარებს შერთვოდეს!
ნადი, მკვიდრებს სადღესო ელფერთა
გადავერცხლავს უდაბნოთა ქოლგები,
გალაქტიკის ღველფი შემოგეფეთა,
ჩემს ცას ელტვი? უსახელოდ ქროლდები,
რადგან ქვიშის ჰორიზონტის კიდურებს
ელჭექები უკვდავებად ბარდნიან,
მსუბუქ ვნებას, ფიქრებს, მზედაბინდულებს,
გული ახმობს, ჟამი მინის ფარდა.
ილექები, წარმავალ დღის ფიტულებს
ქედს მოუხრი აღლუმებზე თვალთმაქცთა,
ვინ ჩამოთვლის მდგმურებს, სულგაყიდულებს,
ოდეს მინა სასულეში გადაგცდა!
იორღანე. იორდასალამები
ცას თოვლავდნენ, ოდეს ღიმილს ლამობდი,
შეინანე, ვიდრე სევდის ჩქამები
მინის სარტყელს ცრემლად შემოღველფოდეს!

ინა არჩუაშვილი
**წიგნი
დაბამოვნებით**



მაკა ლდოკონენის მცირე რომანი „ცხენისკუდები
დილასთვის“ დაგემოვნებით, უკან დაბრუნებებით,
ფიქრში წასვლებით, „მინიშნებებში“ ჩახედვებით,
შეკუმშული და ღია გულით, სინაზით, სითბოთი,
გამოტყდები, რომ ცრემლებითაც წავიკითხე. უამრავი
დამთხვევაც აღმოვაჩინე: წარმოიდგინეთ, ახალი წლის
დილა ცი ისეთი გათენდა ჩვენთან, როგორც გაიდსიაში
(ავტორის გამოგონილ ქალაქში), რადგან აქაური
კალენდარიც გაიდსიურივით, „თვეებარეულია“ და
მომავალში უსათუოდ საუკეთესო დედას; სლაიმალის
ოქროსფერ ფარდებში თაფლივით იღვრებოდა!“ და
პერსონაჟები? — ვერც კი ჩამოვთვლი, იმდენი
პროტოტიპი გამახსენდა: ტასებას ხომ არაერთს ვიცნობ
და ვიცნობ ჩემ გარშემო — ბევრი მამაკაცისთვის
სასურველ ქალს, კარგ მეგობარს, მგრძობიარეს და
მომავალში უსათუოდ საუკეთესო დედას; სლაიმალის
მსგავსი კაცებიც შემხვედრია ცხოვრების გზაზე —
სიმპათიაც გამჩენია მათ მიმართ და შეიძლება,
შემყვარებია კიდევ ჩუმად, ჩემთვის; მალკოვისნაირ
მამებსა და ქმრებზეც, ალბათ, ყველა შვილს და ქალს
უოცნებია, თუ არ ჰყოლიათ ასეთები; ნაცნობი
მიმტანებიც ხომ გვყავს ამოჩემებულ პაპებსა და
კაფეებში? თქვენი არ ვიცი და, მე პირადად რამდენიმე
ბეტისაც შევხვედრივარ, ელპებიც ყველა გოგო
ვყოფილვართ, რომელიმე ჰეკის შესახებ კი, თუ არ
დაგვჭირვებია ისინი, გავგიგონია მაინც, და ვიცი, რომ
აქვე, ჩვენსავე ან მეზობელ ქუჩებზე მდებარე სალონებში
ცხენისკუდებს ჭრიან, პარიკებს აკეთებს და მხოლოდ
კეთილი სურვილები ამოძრავებთ. და დილა? დილა
განსაკუთრებული, საოცარი პატარა გოგოა, რომელსაც
სიხარულით ჩავენაცვლებოდი „გაფრენაში“, „ლეიბის
ქვეშ“ კი, ვარდისფერ კონვერტში, მასავით მეც
დავტოვებდი ქაღალდზე დაწერილ სახელს, ოღონდ
საკუთარს არა, ისევ — დილას.

არ მქონია იმის მოლოდინი, რომ დილა არ
„დატოვებდა“ გაიდსიას, თუმცა, ამის მიუხედავად, და
კიდევ იმისა, რომ ავტორი მაქსიმალურად ცდილობს,
თავზე არ მოგვახვიოს დატრიალებული ტრაგედიის
სიმძაფრე, მაინც გამიჭირდა ამის დაჯერება.
აღლევებულმა კინაღამ მაკასთანაც კი დავრეკე და მას
მოვთხოვე პასუხი მარადიულ პასუხგაუცემელ
კითხვებზე — თუ რატომ ემართებათ ბავშვებს ასეთი
დაავადებები ან ვინ იმეტებს მათ ამხელა ტკივილისთვის
მაგრამ, დროულად შევიკავე თავი. განა ვინმემ კი იცის
ეს სამყაროში?! თანაც, ავტორს რომ დილა გადაერჩინა,
წიგნი აუცილებლად დაკარგავდა მხატვრულ
ღირებულებას და ასეთ ძლიერ შთაბეჭდილებას ვეღარ
მოახდენდა მკითხველზე. ეს ხომ ზღაპარი არ იყო!.. და
მაინც, კარგა ხანს ვფიქრობდი, რა უფრო გამახარებდა
— ის, რომ დილას ეცოცხლა, თუ ის, რომ რომანი ასეთი
კარგი გამოსულიყო?!

მოხდა ისე, რომ მხოლოდ დილაობით ვკითხულობდი
წიგნს და სულ ისეთი განცდა მქონდა, რომ ამ დროს
ყველგან ჩემ გარშემო — სანოლში, დივანზე, მაგიდასთან
— სწორედ ისე იყო განფენილი თივთიკით რბილი,
ნითური თმა, როგორც წიგნის გარეკანზე ჩანს, და მეც
ამ უღალ, დილას თმის ფერით გაჯერებულ
ყოველდღიურობაში ვცხოვრობდი დილასთან და მის
ოჯახთან ერთად:





ინა არჩუაშვილი ნიგნი დაბამოვნებით


დასასრული

გახლდით ელპის დაჯილდოების ცერემონიაზე, დილას საბოლოო საახალწლო კარნავალზე, სლაიმთან ერთად „ფერებგადღობნილ“ ქალაქში იმ ავტობუსითაც ვმგზავრობდი, რომელშიც ტასება იჯდა თუ დამიჯერებთ, ტასებას მუცელსაც კი მოვუთათუნე ხელი, და პერსონაჟებთან სწორედ ამ სახელოვით, მათი სიხარულის და მწუხარების თანაგანცდით, რაც ავტობუსის ოსტატობას უნდა მივანეროთ, მეც რაღაცნაირად შევეგუე დილას „გაფრენას“. თუმცა რამდენიმე დღის მერე, მას შემდეგ, რაც კითხვა დავასრულე და ნიგნი თაროზე ისეთ ადგილას დავდე, რომ მისი ჟღარი სიმშვიდე გავლა-გამოვლისას თვალში მომხვედროდა (ასე ვიქცევი ხოლმე, როცა ნიგნი მომეწონება და იმედი მაქვს, არც ტრილოგიის მეორე და მესამე ნიგნი — „როგორ გადავბრუნოთ პინგვინი“ და „კატაკაცი“ — გამოცრუვებს იმედს.), უკვე დანამდვილებით ვიცოდი, რომ დილა არასადაც ნასულა, რომ „ჩემი ოქრო ჩემთან“ იყო.

ექსპერტად არ გამოვდგები და ვერ ვიტყვი, რომელი ასაკიდან უნდა ნაიკითხოთ ორიგინალური ხელნერი, უცნაურსახელიანი პერსონაჟებით, არაჩვეულებრივი არტიკულაციებით, ზომიერი სევდით და იუმორით გაჯერებული, თავდაჯერებული თხრობით გამორჩეული მაკა ლდოკონენის მცირე რომანი. ბავშვებისთვის, ჯერ ალბათ ადრეა, თუმცა მათ შეიძლება სამომავლოდ ჩავანიშნინოთ, რომ არსებობს ასეთი კეთილი ნიგნი პატარა გოგონა დილაზე, უცნაურ, თვეებარეულ ქალაქზე, სიყვარულზე და კიდევ ბევრ რამეზე, რომელიც აუცილებლად უნდა ნაიკითხოთ თუნდაც იმიტომ, რომ როცა გაიზრდებიან, შესაძლოა, მათაც სწორედ გაიდსიის მსგავს რომელიმე ქალაქში მოუწიოთ ცხოვრება და ეს ნიგნი მათი ცხოვრების ერთგვარი რეპეტიციაც კი იყოს. თინიჯერებს და მათ მშობლებს კი, რასაკვირველია, ვურჩევ, რომ როდესაც „ცხენისკუდებს“ დაინახავენ ნიგნის მალაზიებში, არ გადადონ მისი შექმნა, მიჰყვენ „ნითელ შუქს“, „რომელიც დადგენილი ნესების დარღვევის ხასიათზე გაყენებს, იქ გადააპყვებარ, სადაც მორჩილად უნდა იდგე“, და შეაბიჯონ გაიდსიაში, „ახირებულ“ ქალაქში. ხოლო როდესაც კითხვას დაასრულებენ, თუ ჩემსავით ემოციური სპაზმი დამართათ და ავტორთანაც მოუხდათ დარეკვა, უმჯობესია, ეს მანამდე არ გააკეთონ, სანამ არ დამშვიდდებიან. მერე კი ფეისბუქზე მოძებნონ სპეციალურად ამ ნიგნისთვის შექმნილი გვერდი #ცხენისკუდებიდილასთვის და იქ გაუზიარონ მაკას თავიანთი შთაბეჭდილებები.

ჰო, და კიდევ ერთი რამ: ამ რომანის კითხვის დროს, კითხვის დანებამდე ან კითხვის დასრულების შემდეგ, სასურველია, ერთხელ მაინც მოისმინონ ერიკ სატის gnossienne.

„რას ნიშნავს „გნოსიენი“? ეტიმოლოგია უცნობია, უფრო სწორად, ერიკ სატის გამოგონილი სიტყვაა. გამოგონილი სიტყვით დასათაურებული ქმნილება კი, როგორც წესი, დროს უსწრებს, რის გამოც ნებისმიერი ქალაქი სათანადოდ ვერ იღებს. და ეს მხოლოდ გაიდსიის ახირება არ გეგონოთ!“



ნიგნის საახალწლო ფესტივალზე ამ ბოლო დროს მრავალჯერ ნაქები რამდენიმე რომანი შევიძინე, ნავიკითხე და მივხვდი, რომ ლიტერატურისადმი ჩემი მოლოდინი და შეხედულებები ძალიან მოძველდა. მომეჩვენა, რომ მწერლობას იმაზე ნაკლები ჭკუა და გამოცდილება უნდა, ვიდრე ადრე სჭირდებოდა. უბრალოდ, ოდესაც ერთი კარგი ავტორის სიტყვები სამუდამოდ ჩამრჩა გულში და მისი ერთგული დავრჩი:

„პოეტი მხოლოდ კაცობრიობის ცხოვრების უამთალმწერელი კი არ უნდა იყოს, მისი ნაწარმოები საძირკვლად უნდა იქცეს, ბურჯად, რომელიც მხარში ამოუდგება ადამიანს, გააძლიერებს და გამარჯვებში დაეხმარება.“

რაც წელან მოგახსენეთ, მთელი ეს პროცესი მეტი ხატოვნებისთვის კულინარიას რომ შევადაროთ, ვიტყვი, თანამედროვე ავტორების რაღაც ნაწილი ლიტერატურული ფასტ-ფუდის მომსახურე პერსონალს მაგონებს. რა თქმა უნდა, ბოდიშს ვიხდი ამ გაცვეთილი მეტაფორისთვის, მაგრამ მათ შეუცდომლად შეუძლიათ იმ ინგრედიენტების მიგნება, რომლებიც მომხმარებელში ნერწყვის დენას იწვევენ და მათი ოსტატური გადანაწილებით ახალი, მოთხოვნადი პროდუქტის შექმნას ცდილობენ. ასეთი რომანები დამაშეული სტომაქის სასწრაფოდ ამოვსებას ემსახურება და უკანასკნელ ლუკმასთან ერთად გავიწყდებათ.

ჩემთვის მიუღებელია იმის აღწერა, რომ ადამიანი არის დამცრობილი, უძლური, ნუმპეში ამოსვრილი. ასეც რომ იყოს, მან გამოსავალი უნდა ეძებოს — უმოქმედობა ბედისწერა არ გახლავთ, თუკი ადამიანი საკუთარი ცხოვრების შესაცვლელად არაფერს აკეთებს, მისი პირადი არჩევანია. ასეთი პერსონაჟები მაშინ ჩნდებიან, როცა თვითონ მწერალი ვერ პოულობს გამოსავალს და პერსონაჟებსაც საკუთარი თვისებებით აჯილდოებს. ჩემთვის ადამიანი მებრძოლი და შეუპოვარია, ბედისწერისგან დაჩოქების მიუხედავად მუდამ ფეხზე წამომდგარი. სულიერი სიმტკიცე და სიკეთე ის თვისებებია, რომლებიც ადამიანს განადიდებს.

რას ვიზამთ, არიან მწერლები, რომლებიც წელიწადში რამდენიმე ნიგნს გამოსცემენ და ამნამიერი პოპულარობისთვის იბრძვიან. მათი ნაქებება კი იმას ნიშნავს, რომ თუკი წელს ასეთი რომანი ერთი და ორია, გაისად ოცდაორი იქნება.

სწრაფი კვების ობიექტებს საკუთარი თავიანთი მცემლები ჰყავს, მე კი, სამწუხაროდ, უფრო დინჯად მომზადებული კერძების მოყვარული გახლავართ, ყოველგვარი კონსერვანტებისა და სუროგატების გარეშე; კერძებისა, რომელთაც მარადიულობის გემო აქვთ.

როცა ლიტერატურული ნაწარმოები ფილოსოფიას შორდება, ნათლად ხედავ, თუ როგორი სუსტია მწერალი ერთშიც და მეორეშიც. ასეთი მწერლობა ყველაზე მეტად ქართულ სატელევიზო თოქ-შოუებს ჰგავს — ქოთქოთას, მრავალხმიანს, საკუთარ ბედზე მოწუნუნეს და უმომავლოს, მაგრამ სამაგიეროდ სანახაობრივსა და ლამაზად აჭრელებულს. ის შეიძლება იყოს არაფრის შესახებ, სადაც საშუალო ნიჭის მსახიობი ქალბატონი რუსეთის ბაზრის დაბრუნებაზე კომპეტენტური დამაჯერებლობით ისაუბრებს,

გიორგი კაკაბაძე რისი თქმაც მინდოდა...

სადაც ერთი კლიპისა და ორი სიმღერის შემსრულებელი მომდერლად ითვლება და საზოგადოებას თავის შემოქმედებით გამოცდილებასა და მდიდრულ გარდერობს ერთნაირი წარმატებით გაუზიარებს; ასაკოვანი, ხელმოცარული მოცეკვავე კი, რომელსაც ახალგაზრდობაში არაერთი ქალიშვილი მოუტყუებია, ახლა ლალა-ჩაცმული ქალბატონების გარეგნობას დაინუნებს და ყველას აუკრძალავს იმის დანახვას, რაც მას აღარ ეკუთვნის... სადაც ყველა ჩქარობს, რადგანაც იმავე ტელევიზიის მეორე სტუდიაში ამ საზოგადოების ერთი ნაწილი კონკურსში იღებს მონაწილეობას, მისი მეორე ნაწილი კი ჟიურის წევრადაა მიწვეული.

სრულიად საპირისპირო განცდა დამრჩა მაკა ლდოკონენის რომანის „ცხენისკუდები დილასთვის“ კითხვისას. აქ ყველაფერი ძალიან განსხვავებულად და უჩვეულოდ დახატული — ქალაქი გაიდსია, რომელიც ასეთივე უცნაურსახელიანი პერსონაჟებითაა დასახლებული: სლაიმალი, ტასება, ელპი, ჰეკი და სხვები.


თავიდანვე რაღაც არამინიერთან შეხვედრის განცდა გიპყრობთ, შეიძლება ისიც იფიქროთ, რომ საყმანვილო ლიტერატურის დიდმა ქომამამა, მაკა ლდოკონენმა, თავისი რომანის მოქმედება ფენტეზის ჟანრის რომელიმე ჯადოსნურ სამყაროში გადაიტანა, მაგრამ კითხვისასთან ერთად რწმუნდებით, რომ ასე არ არის. ამ უცნაური სახელების მიუხედავად რომანის პერსონაჟები არც ელფები არიან და არც უცხოპლანეტელები. ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ადამიანური შეგრძნებებითა და პრობლემებით.

მაშინ ვიღაცას ძალაუფლებურად გაახსენდება ის ლიტერატურული ხერხი, რომელსაც კომუნისტური რეჟიმის დროს მიმართავდნენ ქართველი მწერლები: ეგრეთ წოდებული იგავის ენა და შარადად გადაქცეული ტექსტი, რომელიც ასეთივე იანი არგუსივით ფხიზრული ცენზორების მოსატყუებლად იყო განკუთვნილი. მკითხველმა იცოდა, რომ მწერალი ერთს ამბობდა, მაგრამ სრულიად სხვა რამეს გულისხმობდა, ამიტომ დროდადრო თვითონვე ამდიდრებდა ასეთ ტექსტს საკუთარი ინტერპრეტაციებით, ფარული აზრებით, სიბრძნეებით (ხშირად იქ, სადაც დასანახიც არაფერი იყო) და ავტორს დიდების კვარცხლბეკზე წამოაბრძანებდა.

იქნებ გაიდსიაშიც საქართველო იგულისხმება და ავტორს შეფარული ფორმით სურდა მკითხველთან საუბარი?

მაგრამ მკითხველი მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ საქართველოცა და თბილისიც რომანში გაიდსიას გვერდით, მის პარალელურად არსებობს, თანაც არა აბსტრაქტულად და განზოგადებულად, არამედ თავისი კონკრეტული მოვლენებითა და თარიღებით.

რომანი, რომელიც დიდი პოეტური დაძაბულობით გამოირჩევა, მხოლოდ გამოგონილი ქალაქით არ გვაკვირვებს, იგი ფორმითაც უცნაურია. მასში ჩაქსოვილია არა მხოლოდ პოეზია და პიესა, არამედ ავტორისეული არტიკულაციები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, დახატული ფრაზებია და ძირითადი სათქმელის შემადგენელი ნაწილი გახლავთ. ცალკე აღსანიშნავია ფაქიზი ფსიქოლოგიზმით სავსე უბრალო დიალოგები, რომლის მიღმაც ავტორის დიდი ოსტატობა იმალება.



რაში დასჭირდა მაკა ლდოკონენს ახალი ქალაქის გამოგონება?

სიმართლე ისაა, რომ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ისტორიულ მოვლენებისა და ეთნოგრაფიული ელემენტების გამოყენებას თავიანთი მნიშვნელობა აქვს. მათგან განცალკევების ხერხით ავტორი შეეცადა, ჭეშმარიტებისა და სამეცნიერო ფაქტების როლი ნაკლები ან ძალიან თავშეკავებული ყოფილიყო. მის სანაცვლოდ კი ადგილი ადამიანური გრძნობებისა და ემოციების თავისუფლად გამოხატვისთვის დაეთმო და როგორც შეგონება, მთელი აქცენტი ზნეობრივსა და ესთეტიკურ ცნებაზე გადაიტანა. ყოველდღიურიდან გათავისუფლება ყოფის კანონებს აღარ ემორჩილება და საოცარ პოეტურ რეალიზმს ქმნის. სწორედ ასე დავახსიათებდი ამ ნიგნის ჟანრს.

შეიძლება უნებლიედ მოგეჩვენოთ, რომ გაიდსიელები საკუთარ ქალაქში ისევე უზრუნველად ცხოვრობენ როგორც ლმერთში, მაგრამ პრობლემა გაიდსიაშიც არსებობს. ესაა ბუნებასა და ადამიანს შორის გაჩენილი კონფლიქტი. ადამიანების საქმიანობა ბუნებას სულ უფრო მეტად ვნებს და ახლა ბუნებისგანაც ავადმყოფობების სახით საპასუხო დარტყმას იღებენ. ამ ხანგრძლივ და დაუნდობელ ომში გასამარჯვებლად კი მთელმა კაცობრიობამ თავისი მოჭარბებული მოთხოვნილებები უნდა დაამარცხოს. და თუ საზოგადოების ძირითადი ნაწილი სწორედ ის უნებისყოფი, შრომას გადაჩვეული და ნუმპეში ამოსვრილი ახალგაზრდა ბრბოა, რომელიც საკუთარი თავის გადასარჩენად არაფერს აკეთებს და რომელთა ცხოვრების აღსაწერად დღეს ფართო ლიტერატურული ასპარეზი დათმობილი, მაშინ ერთი და ცალკეული ინდივიდის ძალისხმევა გასამარჯვებლად საკმარისი არ არის და მათ მომავალშიც მოუწევთ ჟღარი ცხენისკუდების შეგროვება ონკოლოგიურად დაავადებული ბავშვებისთვის.

სიყვარული და თანაგრძნობა — აი, ამ რომანის მთავარი სიტყვები. თანაგრძნობა, რომელიც ყველა განსაცდელს გადაგატანინებს და სიყვარულს უფრო ნაყოფიერს გახდის. ადამიანი, რომელიც არაა ბედისწერის პასიური მორჩილი, რომელიც არ იჩოქებს ქედმაღლობისა და უხეში ძალის წინაშე, უყურადღებოდ არ ტოვებს გაჭირვებაში ჩავარდნილებს და გონიერებას ყოველდღიურ წერილმანებზე მალლა აყენებს. იმ სივრცეში, რომელიც თავის ენერჯიას გაჭირვებისა და ბნელი ზრახვებისგან იკრებს, რომანის გმირები გამოსავალს სიკეთესა და თავისუფლებაში ხედავენ. ისინი საკუთარ თავში პოულობენ იმის კეთების ძალას, რასაც სიკეთედ თვლიან. ავტორი გვახსენებს, რომ ამ სამყაროში მხოლოდ კეთილად დარჩენა საკმარისი არ არის, სიკეთის კეთება საჭირო და როდესაც ადამიანს ამ ქვეყნის დატოვება მოუწევს (ადამიანები ხომ ყველაზე იმედისმოძვემ ნაწარმოებებშიც იხოცებიან), მადლიერების განცდა უნდა რჩებოდეს, რადგან მის მიერ ნაწილი სიკეთე გადატანილ უსამართლობას უნდა აჭარბებდეს.


აი, როგორი შეიძლება იყოს რომანი, თუკი მწერალი გრძნობებსა და იდეას შორის ჰარმონიას აღწევს; რომანი, რომლის ავტორიც ჰუმანიზმის მარადიული იდეების ერთგულია.



დასასრული

დიმიტრი ნიკლაური

ნიალის საპანა



მაგრამ ბოლოს, მიტოვებული და მიუსაფარი, მაინც უკან, ქალაქისკენ წავიწივალდი. გზადაგზა ვმათხოვრობდი და ერთ ჯიხურში მესაათეს გამოვლაპარაკე. სანამ უწვრილეს დეტალს გამადაიდებელი შუშით დასჩერებოდა, ჩემთვის ხმა არ გაუცია. გარინდებული რაღაც ერთ მთლიანობას ქმნიდა, ხელშეუხებელ მოზაიკას, ყოველი ბგერა რომ ზედმეტი იყო.

— ცოტაოდენ ფული ხომ ვერ მომცემთ? — ძლივს გასაგონად გავუთქვინე. როდის-როდის გადმოვხედა, რაც ალბათ იმას ნიშნავდა, ხელს ნუ მიშლიო. მომორებით თონე ჩანდა, საიდანაც გამომშრალი ფქვილის და სველი შეშის სურნელი იფრქვეოდა. მე ადგილიდან არ ვიძვროდი და როცა უკვე ლამის ამ ხელშეუხებელი მოზაიკის ნაწილად ვიქცევი, მოულოდნელად მესაათემ მცხოვრებს გადასახა, ჩემთვის ფუნთუშა ეწილდა მის ხარჯზე. ახალგამომცხვარ პურს ისეთი ოხშივარი ასდიოდა, ლამის ხელი დამითუთქა. ასი მადლობა ვუთხარი, მან კი თავისი მარადიული საქმიანობა უხმოდ განაგრძო. მონუსხული ვლექავდი ლუკმებს, თანაც მორიგ ჯიხურს ვუთავალთვალებდი, იქნებ იქაც რაიმეს გამოვჩინებოდა.

მოედან როცა მივუახლოვდი, ნაცნობი მათხვარი არ დამხვდა. ყვავილების გამყიდველს ვკითხე მის შესახებ, მდინარეში დაიხრჩო, მანუგეშა. ტირილი ამივარდა. ნუთუ მიტოვებული ბუდრუგანა სიცოცხლის დასასრულს მოასწავებდა. ნეტავ როგორი იყო მისი უკანასკნელი ბრძოლა. იქნებ მდინარეში დამხრჩვალ იფინია მოეღიანდა და მის ამოყვანას ცდილობდა. წარმოვიდგინე, იმ ქვეყნად როგორ შეეგებებოდა ძალი, რომლის ბინამიც ცხოვრების ბოლო პერიოდი გაატარა. სამინილად დაღლილი ვიყავი და ის ღამე ბუდრუგანაში მიძინა. მათხვარი და ძალი მესიზმრა, სადაღაც შორს რომ მიდიოდნენ. კაცი ხელებს შლიდა და რაღაც მნიშვნელოვანს უამბობდა ცხოვრების შესახებ, რომელიც უკვე უკან მოეტოვებინათ, ძალი კი აპრეხილ კუდს დროდადრო აქიცინებდა იმის ნიშნად, ყურადღებით ვისმენო.

გარეთ ბარბაცით გამოვდი, მშენებლობის ხარაჩოს ფეხი წამოვკარი და ცემენტის გროვაში ჩავვარდი. სხეული ძლივს წამოვკრიფე და ფერთხვა-ფერთხვით და ბილნი სიტყვებით გამოვშორდი იქაურობას. ქალბატონის მომერიდა და ისევ ჩემ გულისწორს მივაკითხე. კარი რომ გააღო, მივხვდი, მარტო არ იყო. ჩემ დანახვაზე სახე ისე აელენა, ნუთუ ოდესმე მე მეკუთვნოდა მეთქი, გავიფიქრე. ის იყო, კარის ჩარახვა დააპირა, მუდარით აღმოჩნდა:

— არაყი მაინც გექნება!

ნეტავ არ მეთქვა. მთელი უპირატესობა ლანგრით მივართვი. სიამაყით გადმომხედა, არჩევანში არ შევმცდარვარო და განმგმირავი მზერით მანიშნა, ბოლო საფეხურზე ჩავსულიყავი. უსიტყვოდ აღვასრულე. ცოტა ხანში ბოთლი კიბის პირველ საფეხურზე დადგა და მიბრძანა, ეს მისამართი დამევიწყებინა. კარი რომ გაჯახუნდა, საფეხურებზე ცოცვით ავედი. ბოთლს ხელი დავავლე და კიბეზე დავემვი. ალბათ საშინლად გამოვიყურებოდი. ტანსაცმელი მიყარდა და თავით ფეხებამდე მტვირში და მქენებლობის ქვიშაში ვიყავი ამოგანგაღული. ჭოგრიტი კი არც ერთს არ გაგვხსენებია, იქნებ ჩემ მოსაგონრადაც დაიტოვა.

5.

მერე ერთიანად დავიწყე დაღმა სვლა. ჯერ სტამბის კარი გამომიკეტეს და უკაპიკოდ დავრჩი, არყის სუნად ვყარდი და ქალღლების გროვა ხელიდან გამივარდა, რის გამოც სამუშაოსთვის უვარგისად მცნეს. შემდგომი ორი დღე გადაბმულად ვსვამდი. საზოგადოების წევრობა მის მიმართ სერიოზულ დამოკიდებულებას ითხოვს. საიდუმლო ისაა, რომ პასიურიც აქტიურად უნდა იქცევი. ცხოვრება გრძელი თამაშია, რომელიც სიკვდილამდე გრძელდება. შედეგს ბოლოს იგებ, კერძო სამსჯავროზე, სადაც უხალივინ წარსდგები... მერე კანონის ხალხმაც ამომიჩემა. ვერ ვხვდებოდი, ჩემგან რას ითხოვდნენ. არსებობის ხალისი დაკარგული მქონდა და ცხოვრებას მექანიკურად განვაგრძობდი. ორიოდ

კვირით ქალაქის სატუსალოშიც ჩამამწყვდიეს. სარკმლიდან მხოლოდ სასჯელალსრულების შენობის შებათქაშებული კედელი მოჩანდა, ერთი სარკმელიც რომ არ ჰქონდა ჩატანებული. მწირი ეზო გულგრილობას მოეცვა. დრო ძირითადად ძილში გამყავდა. ხმაური ღუმელად მექცა, ცხოვრების შესაძლებლობები გრძელ, დავამანულ დერეფნად ამოქოლილი სარკმლებით და მე ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე. ჩემს მესხიერებასაც ბზარი გასჩენოდა. ოდესმე ჩემებს თუ ვნახავდი, ამეების მოყოლით ვიჯერებდი გულს, მაგრამ ვიცნობდი კია, უცებ რომ გადავყროდი? ადამიანებმა სამოთხე იმიტომ დაკარგეს, სათითაოდ რომ მოეპოვებინათ, ქვეცნობიერში დაღუქილი ნეტარება და სიმშვენიერე მონატრებობა და დაბრუნებისას უმადურნი აღარ ყოფილყვნენ. ამისთვის იყო მთელი ეს ხაფანგები და ორომტრიალი, რომელშიც მეც მოვეყვი, ჩემმა ძმამ კი საუკეთესო გზა აირჩია.

წარსულის ხსოვნა გაცრეცილი ტილოებით დაიძინა. ბარბაცით დავდიოდი, ძრწოლამ მომიცვა და თვლებში სიჩლუნგე აღმებეჭდა. ცხოვრება მარცხების ერთობლიობაა, რომელიც საგონებელში გაგდებს. რაღა უნდა მეკეთებინა ამ მიტოვებულ ლანდშაფტებში? როგორ შევგუბობდი კირქვაში ჩაკირულ იერარქიას, რომელიც ერთხელ დანესებულ განლაგებას ზედმინევენით და მკაცრად იცავდა. საიდანაც მაგდებდნენ, მექანიკურად სხვა მხარეს განვაგრძობდი გზას, ქალაქის ბოლოსკენ. გზად მალაზების მფლოტელს მივმართავდი, ჩემთვის რაიმე საქმე ხომ არ მოეძებნებოდათ, პურის ფული მაინც რომ გამომემუშავენინა. ლუკმას საწყალობლად მიწვდიდნენ და უარით მისტუმრებდნენ ხოლმე. ცოტა ხნით მოფარებულში ვილუკმებოდი და მერე იქაურობას ვტოვებდი. რა სისულელეა ამ სამყაროში ყურადღების მიქცევა მაშინ, როცა ცხოვრების არარაობაში რწმუნდები. არავინ მელოდა ბედნიერების მახარობელ აღკაზმულობით. კამკამაზე უღიმღამო მიდამოს დროდადრო მაინც ეფინებოდა, ჩემი გული კი სრულ მწუხარებას მოეცვა. როცა უსიხარულობის მიზეზებს იკვლევ, განმარტებებს გაჭირვება იძლევა. ვინც ცხოვრების დიად სიბრძნეს ფლობს, მოკუზული დადის. ბადით ორ თავს თუ მოიხელტობ, ხალხი დაცივებს დაგინყებს, მაგრამ იგივე შედეგს თუ ანკსით მიაღწევ, აღფრთოვანდებიან. იქნებ მე თვითონ გამეგნო გზა ნიალის სავანისკენ, თორემ თუკი მთლიანობა არ შედეგებოდა, მაშინ როგორღა მიიღებოდა სრულყოფილება? მერე ყინვებმა იმატა. მე ეკლესიის ეზოს მივაშურე. მტრედებსაც მოსწყობდათ გულამომჯდარი ცხოვრება და ფაფუკთოვლს ისე მორგებოდნენ, თითქოს თერთებში გამოაწყესო. გაბნეულ ხორბალს უმანკოდ კენკავდნენ, ყვეყჩი ყვავებივით ჩხავილით კი არ ესეოდნენ. ბევრი რამ შეიძლებოდა გესწავლა მათგან.

აქ დიდხანს ვერ ვათვლი და გულის გადასაყოლებლად ლუდსახარმისკენ გავემურე, რომლის გზაც მათხოვარმა ადრევე მიმასწავლა. როცა მივადექი, სანყობის უკან ცარიელ ბოთლებს ჩხრეკას მოვეყვი, პლასტმასის ყუთებში რომ ენყო. ზოგიც აქა-იქ ეყარა მიწოდრომი. ჩარჩენილი სასმელი ერთ ბოთლში გადაქმონდა და თითქმის პირთამდე გავავსე. მაცოცხლებელი სითხე მოვიყუდე და თვლები ნეტარად დავხუჭე. მერე მიწაზე წამოვწვიე მიმოყრილი ბოთლებს შორის. დიდად გული რომ არ დამწყვეტოდა, კიდევ ერთი უზადრუკი დღე უახლოვდებოდა დასასრულს. აქ აღარაფერი მრჩებოდა გამოსაკიდი. მერე წვეთები მეკუჭრა. ცივი წვიმა სველი მათრახებივით ტყალაშუნობდა ასფალტზე. ქვაფენილი ნაჭდევებით მოეკირწყლათ და წყალი გროვდებოდა. თოვლიც წყაპად იქცა. რამე უნდა მელონა უთუოდ და მეც მანანნალათა ვრცელ არმიას შევეურთდი, აქაც ჰყოლიათ თავიანთი წარჩინებულები, თავიანთ თავს

ბედზე მიწოდებდნენ, ხოლო ნაგავსაყრელებში ქექვა არსებობისთვის ბრძოლის შემადგენელ ნაწილად მიჩნდათ. ხშირად გარეთ გამოტანილ მაგიდებზე ნასუფრალს ეწვეოდნენ ხოლმე, სანამ მიმტანი მათ ალაგებას მოასწრებდა და როცა ყვირილი გაიგონებდნენ, მაშინღა შორდებოდნენ იქაურობას ისეთი ელევანტური, დინჯი და შთამბეჭდავი ნაბიჯებით, მანანნალობა როგორ დავნამეთო, ეჭვს ბადებდნენ. არადა, შიში როგორ არ ჰქონდათ, უბრალოდ გაქცევისთვის ძალი აღარ შესწევდათ. მუჯღლუგნები ხშირად ხვდებოდათ, მაგრამ ნაქცევისას ამას დიდად არც განიცდიდნენ. მთავარი იყო, სასმელი არ დაღვროდათ და ლუკმის დაფანტვასაც აიტანდნენ როგორმე. მეც მომინია მსგავსი რამ და ზედმინევენით მივგრძნია, რასაც განიცდიდნენ.

ბრიყვული ამბები დიდხანს აღარ თავდებოდა, გრძელი ეშელონის ვაგონებივით ერთმანეთს გადაეხა. თოვლში ბოთლების ძებნისას ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სველი ნაცრის გროვაში ვურევიდი ხელს. გულისხმიერებას დიდად არავინ იჩენდა ჩემს მიმართ, ამის იმედი არც მქონდა და გაურკვეველ მდგომარეობაში ვრჩებოდი. ისტიბარგატეხილი ვიდექი უშველებელი სამყაროს წინაშე, სადაც დროს ვერავინ შეაჩერებდა. ადამიანები განაგრძობდნენ კალენდრის ფურცლების ჩამოხვევას თავიანთ სახლებში, სადაც ჭაღები ისე კაშკაშებდა, გეგონებოდა სინათლე იმ შორეულ ჭაღებსაც უნდა მოჰფენოდა, რომელსაც მთვარის მილეული შუქი ზედ გადაღვროდა, თითქოს ბლომად სანთელი დაღვენილაო. მოვლენები ხშირად სცენის მომზადებას ჰგავს, ხარაჩოების აგებას, მნიშვნელოვანი ეპიზოდის დასადგმელად. მისი გამოსობითაა, ასე რომ განსხვავდებოდა კაცთა ცხოვრება ერთმანეთისგან. ყველანი გრძელი გზის მგზავრებად რჩეოდნენ, სადაც ყოველი დასახლება მორიგ ილუზიას ქმნიდა, თითქოს აქ ბედნიერებას ჰპოვებდნენ.

ლუდსახარმის მეპატრონეს აგარაკი საუკეთესოდ მოეწყო, პალმების მწკრივი, დანული მაგიდა და ირგვლივ შემოჯარული ბამბუკის სკამები, მაგრამ თვითონ მონღოლთა წინამძღოლივით უნდოდა ბოროტი მზერა ჰქონდა. უძრავი ქონება ჭუჭყიან მალაროებში წამოვნი ფულით შექმნა, რაც ჩემთვის ჩინური იყო, ტერიტორიაზე კოპებუკრული დადიოდა და თანამშრომლებიც ცდილობდნენ, თავი გამოეჩინათ და სახეზე ყალბი პასუხისმგებლობა არ აღბეჭდობდა. მისი გამოჩენისას ყველანი ჩუმდებოდნენ. ლახლანდარობის მოყვარულნიც კი მხოლოდ ნაწყვეტ ნაწყვეტ საუბრობდნენ, თითქოს საზეპირობებს წარმოთქვამენო. ბედნიერების საყოველთაო ილუზია იქმნებოდა. ჰოდა, თვალში რომ მოვხვდი, სიძულვილით მომაჩერდა. როგორც კი მომიხვლეთებდა, აქაურობას ველარასდროს გავეკარებოდი. ნამდვილად გზის ბოლო

იყო, ეშმაკის სადგომი, მასთან შებრძოლების ძალია კი აღარ შემწევდა. უცხოობა, ჩათავდა ჩემი მიწაზე ხეტიალის ხანა. დაბნეული ისევ ლუდხანაში შევედი, სანამ გამაგდებენ, უკანასკნელად მოვიხებ მეთქი გულს. ყველაზე მეტად ლუდის გადაყლურნვა მენადა. ალკოჰოლით გაჯერებული სისხლი ოქროსფერ სითხეს საჭიროებდა. დახლში განცალკევებით იდგა კონიაკის ბოთლი მზინავი იარლიყით, უძვირესი სასმელი მთელ იმ მხარეში. ნეტავ ამის ყიდვას ვინ შეძლებდა. ჩემი აზრი ვისაც გავუზიარე, პასუხად მხრები აიჩჩეს. გლახაკებს მცირე ტრაპეზი მოენყოთ და თამადაც აერჩიათ, რომელიც ომახიანად გაჰკიოდა, ჯანსაღი ცხოვრების წესი გაზულუქებულთა კაპრიზიო, თითქოს მზადყოფნას გამოხატავდა ზედაფენებთან შესაბრძოლებლად, ენაჭვერი იყო და გულზე მჯიღს იცემდა, თან იქადნებოდა, ჩვენ სმას ვერავინ აგვიკრძალავსო. კაცი რომ თვრება, ფილოსოფოსობის ხასიათზე მოდის. გრადუსში მყოფნი რომელი მხრიდან აღარ მიადგებიან ხოლმე ჭეშმარიტებას, მაგრამ ვერასდროს იხელთებენ მას. მეცნიერების გენიალური აჩრდილები ზუსტად იმდენ წარმატებას მიადნენ, რამდენადაც კუჭზე იტყვიან უარს. მსოფლიო გონის ჩანაფიქრის ძიებისას თვალბეჭდი სხივი უქრებათ, მაგრამ რა თავში იხლიან ფუჭად მოხვეჭილ და ხოტბაშესხმულ სახელს, როცა მშვენიერად იცინა, მთავარი მაინც რომ ვერ ჩანდნენ. არადა მძაფრმა აზროვნებამ ისეთი შეყოლა იცის, თითქოს სასტიკი ბრძოლის ველზე კი არ მიგიძლოდეს, სადღესასწაულო ზეიმზე გეპატიუბოდეს. ლუდხანაში ხმაური იყო, თამადაც ხმაურობდა, თოვლი კი სახურავებს ზნექდა და ლამის იყო, ჩანგრიანი ვენტილებში ქშენა და სრუტუნი გაისმოდა. სადაღაც ნასვრეტებშიც კი შეელნია ჰაერის მასებს და ისეთ ხმებს გამოსცემდა, თითქოს სპაზმებით გატანჯული ტკივილგამაყურებელ აბებს ითხოვსო. უცებ ღვინით პირთამდე სავსე ბოთლი მაგიდაზე გადაპირქვავდა და სანატრული სითხე უმონყოლოდ დაღვრილი სისხლივით მიმოიქცა. დამლაგებელი ქალი იატაკზე გაგორებულ ბოთლს დასწვდა და ტლანქი მოძრაობით გაიტანა დერეფანში, სადაც პლასტმასის ყუთში ჩაჩურთა. სხვა ბოთლებმა წკარუნი გაიღეს, თითქოს ახალმოსულს მიესალმნენო. თამადა კი დუმდა და თანამეინახეებს თვალბეჭდი სასონარკვეთილება აღბეჭდოდათ.

— შენი საყვარელი კონიაკი იყიდეს! — ზღურბლისკენ მიმანიშნა ლუდის გამყიდველმა.

უცნობი კაცი გარეთ გადიოდა და სახეს ფარფლებიან ქუდში მალავდა, ხელში კი მართლაც ის ძვირფასი კონიაკი ჩაებლუჯა, ეტიკეტი რომ უზინავდა. ბილიკი თოვლში იკარგებოდა და ნელი სვლით უახლოვდებოდა ბორცვს. უცნობი რაღაც უცნაურ ძალაუფლებას ფლობდა, უკან არც კი იყურებოდა, მე კი მონუსხულივით მივყვებოდი. ბოლომდე არ დაღვეს მეთქი, ვიმედოვნებდი. ბოთლს უსათუოდ ფერდობზე მოისროდა და უნდა მიმესწრო, მთლიანად რომ არ დაღვრილიყო. თუმცა იგი გადაგდებდას არ ჩქარობდა, ცოტა ხნით შეჩერდებოდა ხოლმე, ბოთლს მოიყუდებდა და შემდეგ ისევ გზას განაგრძობდა. რა ღორმუცელობა ჭირს მეთქი, ვბრაზობდი, ნუთუ ცოტაოდნენ მაინც არ დატოვებს, მერე რა, რომ მანანნალა ვიყავი, ღირსებაზე ფიქრი წამითაც არ მტოვებდა და ლამის იყო მის გვერდით მევლო. გორაკზე ჩამოფხავებული ფარული იდგა, ერთ მხარეს რომ გადახრილი იყო და ინერციით ჩამოცვნილი კრამიტები ძირს ეყარა. უცებ ორთვალაში შებმული ცხენი დავინახე და ძველი დრო გამახსენდა, ბავშვობის უტკბესი ხანა. თვალბეჭდი ცრემლები მომდგა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი არსებით ვცდილობდი, არ მეტირა და ვიგრძენი, რომ ანმყო ზღურბლია, სადაც წარსული მომავალს გულში იკრავს, როგორც მასპინძელი სტუმარს. ამგვარად გადამეხვია უცნობიც, რომელსაც თვალბეჭდი ჩაეხედა და გული სიხარულით ამევსო, რადგან სწორედ ის იყო, ვისაც ყველაზე მეტად ველოდი, ვინც ერთადერთმა იცოდა ნიალის სავანისკენ მიმავალი გზა და ვინც მხნე ხმით ჩამჩურჩულებდა:

— რა იფიქრე, სარვა, მიგატოვებდი?!



ჩიკოლეტის ჩალის შლიაპა და ლადიდუს კოპლებიანი ყელსახვევი მუხის ძირას იპოვა. ის და-ძმას ტყეში შესვლისას დაუტოვებია, იმ შემთხვევისთვის თუ...

ამის შემხედვარე კურდღლებმა საზარელი ყვირილი მორთეს. იფიქრეს...

— შევიდეთ! — თავდაუზოგავად შესძახა ფრიმუნემ.

— ჩვენი სიკვდილი მოგნატრებია, ავად ხომ არ ხარ?! — დაუყვირეს აქეთიქიდან.

— არა, ძალიან კარგად ვართ, ძალიან! — გაისმა ორი ნაცნობი ხმა. გაოცებულმა და დაზაფრულმა კურდღლებმა უკან დაიხიეს და დაინახეს დიადი მრისხანე კვერნა, რომელიც სპილოს დიდებულებით მოაბიჯებდა და ზურგზე ჩიკოლეტი და ლადიდუ შემოესვა.

— ყველანი სოფლის მოედანზე შეიკრიბეთ! უნდა წარგიდგინოთ ჩვენი საყვარელი პანტელეონი. ასე ჰქვია მას, ვისაც მხოლოდ სიკეთე სურს ჩვენიანებისთვის!

— ერთი მაგასაც ვნახავთ, ვინა ბრძანდება ეგ თქვენი პანტელეონი, — ეჭვით ჩაილაპარაკა ფრიმუნმა და უღვაშები ააცმაცუნა. მაგრამ, კიდევ ნახა და თვალეზსაც არ დაუჯერა...

ის დღე იყო და ის დღე — სოფელი აშენდა, აყვავდა, გაძლიერდა. სასიკეთოდ მოუბრუნდა ყოველი წუთი. პანტელეონი ერთად მიდგომულ სამ სახლში დაასახლეს. აქედან ორი იყო სხეულისთვის, ერთი — ნაგრძელბული თავისთვის, სახურავიც მოძრავი ჰქონდა.

მთელი მსოფლიოდან მოსულ კურდღელ ტურისტებს, ვარდისფერ ფლამინგოებსა და წეროებს რომ მოჰყავდათ კურდღელიაკში, პანტელეონი დაუსრულებლად აღუწერდა თავის საუკუნო ცხოვრებას, უყვებოდა მონსტროზავრის წარსულს. ეს ამბები ყველა მსმენელს აჯადოებდა და რაც მთავარია, თავად მთხრობელს არასდროს ბეზრდებოდა ამ ამბების კიდევ ერთხელ და მეთათსავე მოყოლა.

ბაჭებიც ჭკუას კარგავდნენ ამ ისტორიების დაუსრულებელი მოსმენით. ერთი გენახათ, როგორ ეურჩებოდნენ მშობლებს, როცა ისინი ბავშვებს სახლებსკენ უხმობდნენ.

როცა ყველას შინ გაისტუმრებდნენ და სოფელშიც სინყნარე გამეფდებოდა, პანტელეონი ფანჯრის რაფაზე ჩამოედება თავს, გაჰყურებდა გარემოს და ტკებობდა ბედნიერებით.

ლადიდუ და ჩიკოლეტი თამაშობდნენ „გრძელბაჭიკუდობას“, მამა ენეოდა ყალიონს, დედა ჯვრული სითვით ქარგავდა ბიძია მალიკორნის პორტრეტს.

„ასეა... სიმარტოვისთვის არც ადამიანები შექმნილან, არც კურდღლები, — ფიქრობდა პანტელეონი, — დინოზავრები ხომ, მით უფრო“...

ჩიკოლეტი და ლადიდუს ცისარტყელას სტაფილო

წიგნი მეორე

ივლისის ერთ მშვენიერ დილას, სოფელ კურდღელიაკის გორაზე, ჩიკოლეტისა და ლადიდუს — ამ განუყრელი ტყუპების — გარშემო პატარა კურდღლები შეიკრიბნენ. პანტელეონს, უკვდავ და კეთილ გოლიათს, ტყუპებმა რომ შეიფარეს, ერთი ამბავი უნდა მოეყოლა მათთვის. ეს ამბავი კი ჩვეულებრივი სულაც არ გახლდათ. ის ოცნებას აღუძრავდა ყველა მსმენელს. ჩიტებიც კი გალობას წყვეტდნენ, პანტელეონის ლამაზი ბას-ბარიტონი ხმის მოსასმენად:

— იყო და არა იყო რა, იყო ერთი თეთრი კურდღელი, რომელსაც ერთადერთი ყური ჰქონდა...

პანტელეონმა ამ სიტყვების წარმოთქმისას წინადადებაც კი ვერ დაასრულა, რადგან მოულოდნელად ცას ახედა, საიდანაც შემზარავი სტვენა გაისმა. ეს ჩრდილოეთის ქარის საზარელი ხმა იყო — ყველაზე უარესისა ქართა შორის.

ზეცა დაბნელდა. ყველაფერი წყვილადმა მოიცვა. ხეებს ფოთლები სცვიოდა და ტოტებიც ისე ძლიერად ირხეოდა, ნაყოფი ძირს ცვიოდა და ხილი ყრუ ხმით სკდებოდა.

ქარი თანდათან ძლიერდებოდა. სახლების სახურავებიდან კრამიტები აფ-



რინდნენ. ყველგან: ებოებში, მოედანზე, მინდვრებში კოკისპირულმა წვიმამ დასცხო და გზები ნაკადულად აქცია.

თავფეხიანად, ლამის ძვლებამდე გაღუმპული კურდღლები იძულებულნი გახდნენ, თავი მინისქვეშ, ძველ სოროებში შეეფარებინათ. მხოლოდ პანტელეონი, რომლის დინოზავრული კანი ისეთივე სქელი იყო, როგორც ათი ნიანგისა ერთად, სულაც არ წუხდებოდა. მას სხვა ბევრი საშინელი ქარ-წვიმაც ენახა თავის უსასრულო ცხოვრებაში.

— რა გვეშველება, — თქვა ლადიდუმ, — კურდღელიაკში სამყაროს დასასრული დადგა!

აკანკალებული ჩიკოლეტი და ლადიდუ მეგობარს მიეკრნენ.

— მომენდეთ! თქვენ და თქვენ ძმობილ კურდღლებს ხელიდან გამოგვლეჯ სამუდამო წყვილად, ისევე როგორც მე გამომგლიჯეთ სიმარტოვესა და მოწყენილობას.

— კი მაგრამ, როგორ? — იკითხა ჩიკოლეტმა.

— მხოლოდ ცისარტყელის სტაფილოს შეუძლია დააბრუნოს ჩვენთან მზე, მაგრამ ის აქედან ძალიან, ძალიან შორსაა. თქვენ ის უნდა იპოვოთ და სოფელში მოიტანოთ.

— ცისარტყელის სტაფილო? ასეთი რამ არ არსებობს, — წამოიძახა ლადიდუმ, — არსებობს სტაფილოსფერი სტაფილო, თეთრი სტაფილო და მეტი არაფერი!

— მშვენივრადაც არსებობს! ცისარტყელის სტაფილო ნამდვილად არსებობს. ის მიუღწეველ სამეფოშია, სამი უცნაური ქვეყნის იქით. მე, პანტელეონს, შემიძლია მის პოვნაში დაგეხმაროთ.

— წავედით! — წამოიძახა ლადიდუმ, რომელიც სულ თავგადასავლების ძიებაში იყო.

პანტელეონი წავიდა და მოიტანა თავისი განიერი ქოლგა. ტყუპები მხრებზე შეისვა, დატოვა კურდღელიაკი და აღმოსავლეთისაკენ გაეშურა.

გზადაგზა კი დინოზავრების ენაზე მათ ასეთ ნანახს უმღეროდა:

„ლა-გე ბო-გე ლუ-ე-ბლი ბლი-ბლი-ბლი“

რამდენიმე საათში სოფლიდან შორს იყვნენ. წვიმასაც გადაეღო. პანტელეონმა ჩიკოლეტი და ლადიდუ ხავსის ხალიჩაზე ფრთხილად მიანჯინა. მათ უკვე ტკბილად და მშვიდად ეძინათ.

— კარგად იყავით, ჩემო პატარებო. სამი უცნაური ქვეყანა რომ გადალახოთ, რომლებიც სტაფილოს სამეფომდე მიგიყვანთ, თქვენგან მოითხოვენ პაროლის ჯა-

დოსნური სიტყვების ცოდნას. დაცქვიტეთ თქვენი ლამაზი ყურები, იფიქრეთ ჩემზე. დღემუდამ ჩემი ნანინების სიტყვებს გამოგიგზავნით შორიდან. ჰაერს გამოვაცან სტვენით. სადაც უნდა იყოთ, ჩემი თბილი სუნთქვით ეს სიტყვები თქვენამდე მოაღწევს და ყველა კარს გაგიხსნით.

მერე ტყუპების საკოცნელად დაიჩოქა და ლამეში გაუჩინარდა. დაიკომ და ძამიკომ მხოლოდ გაიღიმეს — უეჭველია, ძილში ჩაენათ მეგობრის სიტყვები.

— ვაი, ეს სად ვართ? — იკითხა ჩიკოლეტმა გაღვიძებისას.

— პირველ უცნაურ ქვეყანაში, — უპასუხა აკანკალებულმა ხმამ.

ორთავემ თავები ასწიეს და დაინახეს, თეთრადაყვავებულ ვაშლის ხის ტოტზე შვიდი ლურჯი ბუ იჯდა. თავებს აქიცინებდნენ და თვალეზს ატრიალებდნენ. ყველაზე დიდმა ბუმ ტყუპ ბაჭიებს მკაცრი იერიით მიმართა:

— იცით, რომ კურდღლებს ამ ქვეყანაში გავლის უფლება არ აქვთ?!

— და თუ პაროლი, ჯადოსნური სიტყვები იციან, არც მაშინ? — წაიჩურჩულა ლადიდუმ.

— კეთილი, გისმენთ, მაგრამ გაფრთხილდით, თუ არასწორად წარმოთქვამთ, სამუდამოდ გამოემშვიდობებით ლეგენდარულ სტაფილოს.

ჩიკოლეტმა და ლადიდუმ ძალიან აღელვებულბემა დაცქვიტეს ყურები, დახუჭეს თვალეზი და დაიძახნენ, რომ ზუსტად გაემეორებინათ, რასაც პანტელეონი შორი სუნთქვით უგზავნიდა მათ:

„ლა-გე ბო-გე ლუ-ე-ბლი ბლი-ბლი-ბლი“

უეცრად თეთრ ხეს ყვავილები დასცვივდა. ლურჯი ბუებიც უმაღვე გაფრინდნენ ცისკენ და იკივლეს: იბუ-იბუ, ჩიკოლეტი და ლადიდუ პატარა ყალთაბანდები არიან.

ჩვენმა ორმა პატარა ყალთაბანდმა კი ლიღინით გააგრძელეს გზა. უცებ მინიდან ძალიან მწვანე უცნაური კოშკი ამოიზარდა. თითქოს მოყვითალო-მომწვანო კოლპოტი ემოსა და საკუთარ საძირკველზე აღმართულ მუხლუხოსავით იგრინებოდა.

— მე ვარ კოშკი-შუქურა, რით შემიძლია დაგეხმაროთ?

— ჩვენ ჯადოსნური სტაფილო გვინდა.

კოშკი ზანტად და ტალღისებურად ირხეოდა.

— და იმ ენაზე თუ საუბრობთ, რასაც ამგვარი მდგომარეობა, ვითარება და გარემოება მოითხოვს?

„ლა-გე ბო-გე ლუ-ე-ბლი ბლი-ბლი-ბლი“

უბერავდა შორიდან პანტელეონის სუნთქვა და ჩიკოლეტი და ლადიდუ ერთხმად იმეორებდნენ სიტყვებს.

კოშკმა ჩაიბუტბუტა:

— რა დასანანია, რა დასანანია! — და, თვალსა და ხელს შუა გაქრა ოქროსფერი და მწვანე ციმციმითა და სხივების ფრქვევით.

მესამე უცნაური ქვეყანა მდინარის პირას იყო. ნავი, რომელსაც ორი ვარდისფერი ფლამინგო მოჰყვებოდა ბრონეულ-ისფერი კეპებით, კურდღლების წინ გაჩერდა.

— თქვენი საბუთები! — უხეშად მოითხოვა პირველმა ფლამინგომ.

— საბუთები კურდღელიაკში დაცტოვით.

— პაროლი იცით, ხომ?

„ლა-გე ბო-გე ლუ-ე-ბლი ბლი-ბლი-ბლი“

უცებ ნავი გაქანდა, თითქოს ძლიერმა დინებამ გაიტაცა. ვარდისფერმა ფლამინგოებმა ძლივს მოასწრეს სანაპიროზე გადმოეგდოთ მანათობელი, დიდი ყუთი, რომელზედაც ეწერა: „გამხსენით მოგზაურობის ბოლოს“.

— ეს ნამდვილად სტაფილო იქნება, — თქვა ჩიკოლეტმა, — ჩქარა, გავნოთ შინისაკენ!

მიუახლოვდნენ კურდღელიაკს. ჩიკოლეტსა და ლადიდუს იქ ისევ ქარი, წვიმა და წყვილი დახვდათ.

ყუთში მართლა შვიდფერა სტაფილო აღმოჩნდა. აკაშკაშდა სტაფილო. გამოანათა მზემაც და იქაურობას სხივები მოჰფინა. ფოთლები ხეებს დაუბრუნდნენ, მებალები ბალებს დაუბრუნდნენ, სკოლის მოსწავლეები სკოლებს დაუბრუნდნენ.

როცა პანტელეონმა დაინახა თავისი პატარა მეგობრები, მიიჩინა მათთან და შესძახა:

— გილოცავთ. მისია აღსრულებულია!

საოცარი სტაფილო ცოტა ხნით პანტელეონის თავზე დასკუპდა. ამ გასხივოსნებული თავსამკაულით პანტელეონი დაემსგავსა ძველ გრძელულ, კეთილ ჯადოქარს — ჰა და ჰა, თითქმის დინოზავრ მერლინს.

— ხო, მართლა და, ეს პაროლი რას ნიშნავს? — იკითხა ლადიდუმ.

— უმარტივესი რამაა, — ჩაეცინა პანტელეონს, — დინოზავრების ძველ ენაზე ცისარტყელას ნიშნავს. ეს არის ჯადოსნური სტაფილოს სახელი, რომელიც ამიერიდან მთელ კურდღელიაკს მფარველობს...



XX საუკუნის საქართველოს ისტორია თავიდანა დასაწერად და წასაკითხად. როსტომ ჩხეიძის „დევეების სტუმარი“ ძმის სისხლით გამაძლარი კანიბალების ისტორია ცნაურდება, ლევან რაზიკაშვილის მკვლელობაში, ორჯონიკიძის საზარ სიტყვებში არეკლილი — ვაჟასაც სიამოვნებით დავეხვებით.

„დევეების სტუმრის“ მეტაფიზიკა „ჰამლეტურ შურისგებაშიც“ იჩენს თავს, ეპოქა თითქმის იგივეა, უკეთ — ერთი გაუსაძლისი ჟამია — საუკუნის დასაწყისიდან — საუკუნის ლამის მიწურულამდის.

„ჩანაწერებს სახელწოდებად შესაძლოა უფრო შეჭვებოდა „ჰამლეტად ყოფნა თუ არყოფნა“, ეს მარჯვედ მიგნებული სათაური გივი მარგველაშვილს რომ არ შეერჩია თავისი ერთ-ერთი მინიატურისთვის, ქვესათაურად კი შეასაძლოა ასეც წაწეროდა — ვარიაციები წაიწერა გელაშვილის თხზულებათა XV ტომის („კავკასიური სახლი“) თემებზე... ტომის შინაარსს განსაზღვრავს გივი მარგველაშვილზე შექმნილი ოთხი ესეი: „თარიღები და ფაქტები და ზოგი რამ ისიც, რაც მათ მიღმა ანუ შტრიხები ტიტე და გივი მარგველაშვილების ბიოგრაფიისათვის“, „გივი მარგველაშვილი — პერსონაჟების მესია“ (წერილს მკითხველი ესეების კრებულ „ტრაგიკული გრადაციიდანაც“ იცნობდა — ნ. კ.), „იესო და ისაი“, ანალიტიკური განსჯა მინიატურისა „ისაიის გაქცევა ბეთლემში“ და „მე წიგნის გმირი ვარ“, მინიატურების შესავლად ნაგულისხმევი, — ვკითხულობთ „ბიოგრაფიული ნატეხების“ ექსპოზიციამში.

როსტომ ჩხეიძისეული „ვარიაციები“ აგებულია ნაირა გელაშვილის მსჯელობათა თარგზე (ეს ჩანაწერები რასაც წარმოადგენს — განსაზღვრავს „გივი მარგველაშვილის ბიოგრაფიული ნატეხების“ ჟანრსა და დვრთვას — როსტომ ჩხეიძე).

„ემიგრანტების ყოფის ფრაგმენტებში“ არეკლილა ტრაგიკული ისტორია XX საუკუნის საქართველოსი. არქტიპად ჩნდება გურამიშვილის პირად დრამაში არეკლილი „ქართლის ჭირი“, ბარათაშვილის ტრაგედიაში რეფლექსირებული „ბედი ქართლისა“... უფრო შორს, უფრო სიღრმეში — „ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გაბრუნებ, რა ზნე გჭირსა...“

თერთმეტ თავად დაწეხილი „ბიოგრაფიული ნატეხები“ ქვეყნისა და პიროვნების ბედისწერათა საკრატურ, ტრაგიკულ ურთიერთგანმპირობებლობა-ურთიერთგანპირობებულობას ირეკლავს. თავთა სათაურებიც თითქოს ლაპიდარული რეზიუმეებია („ქართული ტრაგედია ორი სამყაროს ჭიდილისას“, „ჩემს საყვარელ ქართველებს მე ყველგან ვენდობი“, „სამყაროც, ისტორიაც, ადამიანიც — ტექსტად“...).

როსტომ ჩხეიძე „ნატეხების“ წერისას ოთარ ჩხეიძის („მხატვრული სარბიელი გივი მარგველაშვილისა“), ლევან ბრეგვაძის („წიგნებში გადასახლება“), ნაირა გელაშვილის თვალსაზრისითაა შთაგონებული და, როგორც ყოველი ღირსეული ბიოგრაფოსი, პირდაპირ ასახელებს ინსპირაციის წყარო(ებ)ს, მეტიც, წიგნის გარეკანზე გამოაქვს ამონარიდები მწერალთა ნააზრევადან:

„გივი მარგველაშვილმა შექმნა უფრცესი სურათი ქართული ტრაგედიისა ორი სამყაროს დაპირისპირების ნიადაგზედა... ეს ბედკრული საქართველოა, ეს ქართული ტრაგედია — აქა, აქა, აქ იყრის თავსა. რა სიმორხესაც არ უნდა გაიჭრას ფანტაზია ავტორისა, რამდენი აზრის ხვეული და სურათთა თუ წარმოსახვათა ხვეულიც არ უნდა ჩაითრიოს, მაინც აქ არის, აქა ტრიალებს“ (ოთარ ჩხეიძე).

„გივი მარგველაშვილი პერსონაჟების მესიის სახელს იმსახურებს — თავად ფაშისტურ-ბოლშევიკურ დიქტატურათა სასტიკ წიგნში ჩაწერილს, ფატალურ პოლიტიკურ სიუჟეტში დატყვევებულს, მას — უკიდევანო ფანტაზიისა და მხატვრული „თამაშის“ კანონის ძალით — თავისუფლება მიაქვს მისჯილი სიუჟეტებში გამომწყვდელი უხილავი არსებებისათვის“ (ნაირა გელაშვილი).

ამონარიდები ერთგვარი თეზაა, „ნატეხები“ — მაქსიმალა მხატვრული განვრცობა და, იმავდროულად, ჟამის ჟამიანობის მიზეზთა (და შედეგთა) ანალიზი.

ორ დიქტატურას შორის „გამოსრეხილი“ მოაზროვნე პერსონაჟების მესიად იქცევა, ღვთისდამინყებელ, აპოკალიფსურ ჟამს „წიგნის სამყაროს მმართველო-

ბის“ უზენაესი ძალაუფლების პარაბოლას შეთხზავს, რათა მათეს სახარებიდან განწირული ყრმანი ლუკას სახარებაში გადმოიყვანოს — ლუკას სახარებაში ყრმათ არ ულტენ და „უასაკო ლტოლილთ წიგნის სამყაროს ამ მხარის ისტორია საფრთხეს არ უქადით“ („ნატეხების“ სხვა პასაჟში როსტომ ჩხეიძე დააზუსტებს, რომ „მწერალს (ნაირა გელაშვილის უზუსტესი, დახვეწილი განსაზღვრებით — „ფატალურ ტექსტთა ფარულ რეფორმატორს“ — ნ. კ.) არ აკმაყოფილებს მინიატურის ჩარჩო თუ ქარგა ბეთლემელ ყრმათა გამოსასარჩლებლად და იქმნება გიგანტური რომანი — „უზენაესი კორექტურა“, ამოზრდილი იმ სიუჟეტზე, თუ როგორ მიდის XX საუკუნის ქრისტიან რაინდთა თორმეტკაციანი ჯგუფი წიგნთა წიგნის სამყაროში — ჰეროდეს ნაზმისაგან ბეთლემელ ახალშობილთა დასაცავად...“

განა იოანე ოქროპირისეული ინტერპრეტაციაც წმინდა წერილის ამ

ნანა კუცია

სიტყვისგმირი შურისძიება

როსტომ ჩხეიძის „ჰამლეტური შურისგება“ — გივი მარგველაშვილის ბიოგრაფიული ნატეხები

უტრაგიკულესი პასაჟისა პარაბოლა არაა?! — „არა ეპოების ყრმათა მათ ჟამი და საქმე უაღრეს ამისა, რომელ სახელისა და მიზეზისა მისისათვის მოსწყდეს... იგინი ნათელსა მას ზეცისასა ღირს იქმნეს“ (იოანე ოქროპირი, თარგმანება მათეს სახარებისა, I, თბ., 1996, 150...152).

ლიტერატურა პარაბოლა, ყველაზე საიმედო თავშესაფარი (სულშესაფარი, „წყნარი სადგური“) ნებისმიერი ჟამიანობისას — ადვების თუ შაჰერეზადას, დონ კიხოტის ჟამიდან — ბორხესის ჟამამდის. გივი მარგველაშვილის პოსტმოდერნისტული პარაბოლა ისტორიული კონტექსტითაც უაღრესად საინტერესოა (მშრალი დეფინიცია — „საინტერესო“ — ოდნავადაც ვერ ირეკლავს კონტექსტის ტრაგიკულობას) და ჟანრული თვალსაზრისითაც ახალ საზღვრებს მონიშნავს არაქართულენოვან ქართულ ლიტერატურაში.

უკანასკნელი სინტაგმის ოქსიმორონი შემთხვევითი, ალბათ, არ არის, მხოლოდ ფაქტის კონსტატირებაა — მიუხედავად იმისა, რომ მწერლის ნარატივი გერმანულენოვანია (ეს პოლიგლოტი, ქართულად ჩინებულად მოსაუბრე გივი მარგველაშვილის პერსონალური არჩევანი როდი, ჟამის ჟამიანობის კიდევ ერთი რეცეფციაცაა, ამბავი, რკალი, „ხრტილი“ (გრეგორი რობაქიძე), ფესვი, „წყველაკრულვიანი საკითხავი“ ქართულია, „ქართლის ჭირსა“ და „ქართლის ბედს“ ფატალურად გადაჯაჭვული (ბიბლიური მაქსიმის — „არა ძირი იგი შენ გიტვირთავს, არამედ — ძირსა მას — შენ“ — კიდევ ერთი დადასტურება).


როსტომ ჩხეიძისეულ „ბიოგრაფიულ ნატეხებში“ ზემოთქმული არაერთგზისაა მინიშნებულ-ხაზგასმული.

თავად „ნატეხებიც“ პოსტმოდერნისტული „თამაშია“ — ბიოგრაფია, ციტატები სხვადასხვა მხატვრული ტექსტიდან, ათასი ალუზია და რემინისცენცია ერთმანეთს ეწვინის, რათა ახალი ტექსტი იშვას (თუ „გამოთავისუფლდეს“) ეპოქის (ეპოქათა) სიუჟეტურ ფატალიზმში. XX საუკუნის ქართული ამბავი (მნიშვნელობა არა აქვს, „სიუჟეტ“ მოკავშირეთა მიერ ორად გაგლეჯილ, ზონებად დაყოფილ გერმანიაში ვითარდება, თუ საზღვრებნანისლულ, ნითელი იმპერიის შიგანში იონასავით მხოლოდ უფლისგან ხსნის მომლოდინე ნომინალურ საქართველოში) პოსტმოდერნისტულ ნარატივად იქცევა, ერთი კაცის ბედში ქვეყნის ბედი აირეკლება („წვეთია, ზღვას რომ აირეკლავს“), ტექსტი ტექსტს ხედება, მოიცავს, გულისხმობს.

ტიპურ პოსტმოდერნისტულ რე-

ზიუმირებად აღიქმება „ნატეხების“ პასაჟი, ნაირა გელაშვილის ციტატა, რომელიც როსტომ ჩხეიძეს უცვლელად გადმოაქვს თავის ტექსტში: „ყველაფერი ტექსტია: სამყაროც, ისტორიაც, ადამიანიც. დაწერილი ტექსტები ხშირად სხვა ტექსტებს: რეალურ ისტორიას, ადამიანთა ბედისწერებს, კაცობრიობის გზას განსაზღვრავენ (მაგალითად, წმინდა წერილი, ან მარქსის „კაპიტალი“ ან ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა“). ადამიანი სამყაროში, ისტორიაში, ქვეყანაში — ეს არის „ტექსტი ტექსტებში.“ ისტორია თუ ყოფიერება ტექსტების ურთიერთზეგავლენა, ერთმანეთთან ბრძოლა თუ კავშირია.“

გივი მარგველაშვილის პიროვნულ-შემოქმედებითი (დაყოფა, რასაკვირველია, პირობითია) პორტრეტის როსტომ ჩხეიძისეული ვერსიის კითხვისას ზოგადისტორიული ვერსიის ტექსტი“) თუ მხატვრული ტექსტუალური შრეების (ტექსტი და ინტერტექსტი, ამბავი და „იზმი“)



ცალ-ცალკე ანალიზის ცდუნება დიდია, მაგრამ „იზმების“ რკვევა ბედნიერი ქვეყნების მწერალთა, ლიტერატურათმცოდნეთა, საერთოდ, მოაზროვნეთა ლალი თამაშია „რომში მარგალიტებით.“

მწერალი-ბიოგრაფოსი თავის ერთ-ერთ უაღრესად საინტერესო ნარატივს — „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“ საგულისხმო პასაჟით დაასრულებს: „დასავლეთში უკვე მოყირჭებული მიდრეკილებანი, თემები თუ სტილური ხერხები ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში იჩენდა თავს, ამჯერად კი ეს ყოველივე ერთბაშად მოაწყდა ჩვენს სამწერლო პროცესს, ბევრი რამ აიჭრა, აიბურდა, მაგრამ ჩვენი ლიტერატურის მთავარი ძარული კვლავაც მრთელია და, თუმცა, ისევე და ისევე ტრაგიკული ელფერი აღბეჭდილა... იმედო მინც გავსულდგამულებს, რომ დადგება ჟამი საქართველოს სახელმწიფოს ცხოვრებაშიც, როდესაც ლიტერატურას სრულებით აღარ დასჭირდება ქვეყნის წინამძღოლობა (ხაზგასმულია მწერლობის მატიაწური დისკურსი — ნ. კ.), თავის მთავარ დანიშნულებად დაიტოვებს სულიერ ზეგავლენას ერის თვითმყოფობის შესანარჩუნებლად — ქრისტიანული ეკლესიის თანამდგომარე და მოკავშირედ“ (როსტომ ჩხეიძე, ქართული მწერლობა თვალის გადავლებით, თბ., 2015, 120).

„ნატეხების“ პოსტმოდერნისტული ნარატივი (ისევე, როგორც მთელი ქართული პოსტმოდერნისტული ნარატივი) თავის მკვლევართ ელის, ჩვენ კი სიუჟეტის მხოლოდ „ისევ და ისევ ტრაგიკუ-

ლი ელფერი აღბეჭდილ“ (გაგიფიქრებთ ზემომოყვანილ კონსტრუქციას) ისტორიულ შრეს გაგამკვეთრებთ (მაკა ჯოხაძე წერს ნიკო ლორთქიფანიძის პროზის ანალიზისას: „რა თვალისმომჭრელი ელვარებითაც უნდა ბრწყინავდნენ იმპრესიონისტების (პუგო ფონ შოფმანსტალის, არტურ შნიცლერის, პეტერ ალტენბერგის) ესკიზები, მინიატურები, ნოველები, მათი მგრძობელობა მეტწილად ძვირფასი თვლების სიცივეს ასხივებს მხოლოდ. ნიკო ლორთქიფანიძისთან სულ სხვა რამ ხდება — დანყვეტილი, ვერცხვითი „სულის დეპრესიული სტილით“, კოდებით, მინიმუმებით, ლექსიკური მომჭირნობით, სიძუნით, ლაკონიურობით იგი მართლაც ჰგავს თავის ავსტრიელ ძმებს, მაგრამ თავისი ქართული, ღრმად ეროვნული სატიკერის გამო არ ცოლია, არ შეუძლია ამ ეფექტურობისათვის ზრუნვა და სიტყვებით ჟონგლირობა“ (მაკა ჯოხაძე, მწერლის გადანაცვლება, თბ., 1988, 227).

ერთ პასაჟს მაინც ამოვწერთ „ნატეხების“ პოსტმოდერნისტული ქსოვილის წარმოსაჩვენად (იმავდროულად, გივი მარგველაშვილის ადგილისა და როლის განსაზღვრავად XX საუკუნის ლიტერატურულ პროცესში): „დეტერმინირებული სიუჟეტის შეცვლა, თვითეული გმირისთვის ყველაზე შესაფერი სიუჟეტის მოძებნა ფატალურობის ზღუდეთაგან თავდასაღწევად (შდრ. გალაკტიონისეული: „ახალ სამყაროს ვქმნი ახალი ღმერთი“ — ნ. კ.), შესაგებებლად ახალ მინასა და ახალ ზეცასთან — ამგვარი მწერლური თამაში უჩვეულოდ სულაც არ გამოიყურება დასავლურ ესთეტიკაში (ლიტერატურაშიც და, საერთოდ, ხელოვნებაშიც) და მისი ტენდენციები საკმაოდ თანმიმდევრულადაც ვლინდება და გივი მარგველაშვილი მხოლოდ მონანილც რომ ყოფილიყო ამ ნაკადისა, ესეც დასაფასებელი იქნებოდა, მითუმეტეს, ამგვარი მხატვრული ძალმოსილებით, მაგრამ, — აზუსტებს როსტომ ჩხეიძე, — ნაირა გელაშვილისა არ იყოს, ის გარემოება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ქართველი მწერალი წინ უსწრებდა ამ მიმართულების გაჩენას დასავლურ ლიტერატურაში, ეგაა, ბედისწერის მკაცრი განჩინებით, მისი აურაცხელი ლიტერატურული ნოვაცია და ექსპერიმენტი ისევე, როგორც მისი უზარმაზარი ფილოსოფიური და ლინგვისტური ნაღვანი, 1990 წლამდე თბილისის ერთთახიანი ბინის სივინროვესა და უჯრების სიბნელეში რჩებოდა... — უმადლესი რანგის მხატვრული თამაში, გაჯერებული ფილოსოფიური იუმორით, ირონიით, სარკაზმით, გროტესკით, სატირით.“

როსტომ ჩხეიძე გივი მარგველაშვილის ტექსტთა პოსტმოდერნისტულ კონტექსტებზე საუბრისას აკაკი ბაქრაძის ესეს — „სულს ზრდასაც“ დაიდასტურებდა, თვალსაზრისს, რომ ზომიერების გარეშე „ირონიულიც შეიძლება ისეთივე მომაბეზრებელი გამხდარიყო, როგორც ჰეროიკული... ირონიული სამშენებლო მოედანს სწმენდდა, ასუფთავებდა, ჰეროიკული — აშენებდა.“ „ნატეხების“ ავტორის დაკვირვებით, ეს ზომიერება ძალდაუტანებლადაა მიღწეული გივი მარგველაშვილის შემოქმედებაში — ირონიულს დრამატულ-ჰეროიკული ენაცვლება და დრამატულ-ჰეროიკულს — ირონიული. თომას მანისეულსაც ციტირებს — „ზუსტ ლიტერატურულ ფორმულაში მოქცეული თანამართული სამწერლო თუ ესთეტიკური რეალობა [განისაზღვრება], როგორც ტრაგიკომიკური... ეპოქის სულს სწორედ ეს (ტრაგიკული და კომიკური) შერწყმა გამოხატავდა (შდრ. გალაკტიონის ცხოვრების როსტომ ჩხეიძისეული „ვერსიის“ სათაური „კომიკოსი ტრაგედიისაში.“ ოთარ ჩხეიძე დააზუსტებდა — „[კომიკოსის ნიღბით] დიდ ეროვნულ ტრაგედიასში“ — ნ. კ.).

„მუცალის“ ანალიზისას ოთარ ჩხეიძევე წერდა: „დახურული წიგნი ცხოვრება არ არის, სიცოცხლე არ არის. გადაშლი და ცხოვრება იწყება, ცოცხლდება ყველა, ამოქმედდება — ამბობენ, რაც უთქვამთ, აკეთებენ, რაც გაუკეთებიათ, მეტსაც სჩადიან — სავარაუდოსა, რაც შეიძლება რო გაუკეთებინათ, სავარაუდოზე მეტსაცა, გაებმიან ახალი ავტორის ქსელში, ემორჩილებიან, მიჰყვებიან, გამოეთხოვებიან დროსა და გარემოსა, გადაიკარგებიან და ისევ იქ არიან, საიდანაც რო ფეხი აიდგეს — წიგნში, რა თქმა უნდა,

თემში თავიანთსაში — თემში, თემში.“
ოთარ ჩხეიძე მოხდენილად აწყვილებს „თემსა“ და „თემას“ და გივი მარგველაშვილის ნარატივს პოსტმოდერნიზმის „კლასიკურ კანონად“ კონსტატორებს — „თავის ქსელში გაუხვევია სხვათა პერსონაჟები, თვითონ კი თითქმის უჩინარობა უმჯობინებია.“

ესეში „უჩინარობის“ საბურველი მოეხდება მწერალს და მისი ღვაწლი დანახილ ციტატად რეზიუმირდება (გავიშორებთ ზემოთქმულს): „გივი მარგველაშვილმა შექმნა უფრესი სურათი ქართული ტრაგედიისა ორი სამყაროს დაპირისპირების ნიადაგზედა.“

როსტომ ჩხეიძე დადასტურებულ ციტატას გივი მარგველაშვილის ბიოგრაფიისა და შემოქმედების დერიტად მიიჩნევს, იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველოც და გერმანიაც დაიჩემებს გივი მარგველაშვილის მემკვიდრეობას და „სამისო უფლება ორივესაც აქვს — გერმანულად წერს, მაგრამ თემბატია ქართულია“ („მუცალს“ პირდაპირი დაზუსტება ახლავს — „ქართული რომანია“).

ნარატივის ისტორიული შრის გამკვეთრებისას ინსპირაცია ბიოგრაფიული პლასტებია. როსტომ ჩხეიძე „ქვეტექსტების მისაყურადებლად“ გვაგულიანებს, რათა გავიგონოთ „ხმა იმ ავტორისა, რომელიც ზედისწერამ ორი დიქტატორული რკინის ტექსტში, თემში ჩანერა, სასტიკი ძალმომრეობით რომ მოწყვიტეს თავის სამშობლოს — ევროპას — და გამოკეტეს საბჭოთა ტოტალიტარიზმის ერთ ჰერმეტიკ კუნჭულში, რის შედეგადაც გივი (გერმანული) ტექსტები სხვა (ქართული) ენის გარემოცვაში კუნძულებად იქცა, დაკარგა საკუთარი (გერმანული) მკითხველი და ფატალური დაგვიანებით დაუბრუნდა სამშობლოს, მაგრამ ბედისწერაზე ამაღლამაის მანაც შეძლება და გივი მარგველაშვილი, თითქოს ანტიკური გმირი ყოფილიყო... თვალნათლივ გამოკვეთილიყო მწერლის პოეტიკის ბირთვი — მცდელობა იმისა, რომ დაებრუნებინებინა ადამიანი მის თავდაპირველ, ძირეულ მდგომარეობაში — სამყაროს ღიაობის ნინაშე“ (შდრ. ციტატა ნაირა გელაშვილის რომანიდან „მე ის ვარ“ — „ზღვრულ მდგომარეობებში ადამიანის შინაგონობა ღიაა და მასში მარადისობა შემოდის“).

გივი მარგველაშვილის ცხოვრების ფატალურ-ტრაგიკულ სიუჟეტში სამშობლოც ორდება, ენაც, ბედისწერაც [„ერთი გაორდა“... — ნიკუშეს ტრაგიკული ენიგმის კონტექსტი, ბუნებრივად, სხვაა]. „ნატეხების“ ფინალში როსტომ ჩხეიძე ხაზგასმით კონსტატორებს, რომ გივი მარგველაშვილის ქართული ნააზრევი „უბრუნდება მშობლიურ ნიაღვს, ქართულ კულტურულ სივრცეს გერმანული ენაზის გამოვლით... მშობლიური ენისაგან გამანძილება ბედისწერა გახლდათ, პირადი ტრაგედია, რომლის გადალახვასაც შეძლებდა ქართული ტკივილების სრულფასოვანი შეგრძნება-შეცნობითა და წარმოჩენით.“

როსტომ ჩხეიძე ბიოგრაფიული „ნატეხების“ სიუჟეტს პოსტმოდერნისტულ ყაიდაზე აგებს, ქრონოლოგია ხშირად ირღვევა, უფრო „სულის ბიოგრაფიას“ მივადევნებთ თვალს, დამსხვრეულს, მოზაიკად ანაწყობს, თითქოს ერთგვარ ბიზანტიურ პანოს, ნამსხვრევებში მთელი გამოვლანდება, არა მხოლოდ ერთი კაცის, ქვეყნების (გერმანიის, საბჭოეთის და მის პროვინციად დამცრობილი საქართველოს, ამერიკასა და საბჭოეთს შორის გადაწვენილი ევროპის, თავად „დიქსილენდის“...) ბედი. მამისაგან ნამემკვიდრე, მემბოხე სულს წარმოაჩენს პიტლერის სურათის რომანტიკოს შპიცვეგის პორტრეტით ჩანაცვლება, პიტლერიუგენდული მელოდრებისა — დიქსილენდური (მსგავსი პასაჟი ნაირა გელაშვილის „სარკის ნატეხებშიც“ ჩნდება და ავტობიოგრაფიულ-ბელეტრისტულის დახვეწილი მიქის დაუფინყარ პასაჟთაგანია — „ელვის პრესლი, შავი ყავა და ეკლესია“).

მამა — ტიტე მარგველაშვილი როსტომ ჩხეიძისეული „ნატეხების“ მთავარ პერსონაჟთაგანია — აკი სათაურიც — „ჰამლეტური შურისგება“ იმთავითვე გულისხმობს სწორედ მამას, მამის განრვისათვის შურისმაძიებელ ძეს. შექსპირული პარაბოლა — მამისა და ძის სეხნიობა (ჰამლეტი-ჰამლეტი) ბიბლიის

მარადი სიბრძნის ანარეკლია — „არავინ იცის მამა, გარნა ძემან.“

ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი, ეგრისის, იბერიისა და ალბანეთის ისტორიის სტრაბონის, პტოლემეს, ქსენოფონტეს, ჰეროდოტეს, არიანესეული ვერსიების მკვლევარი „დაუპირისპირდებოდა ნაციონალ-სოციალისტური ჯგუფის წარმოქმნას ბერლინში 1933(!) წელს, 1921-38 წლებში ოჯახის ექიმებად მიიწვევდა ებრაელებს, არც თავად მორიდებია ებრაულ ფირმაში სამსახურს, შვილი დაჰყავდა სწორედაც ებრაულ ბაღში და მდინადაც ებრაელს შეარჩევდა, თავს მიაკუთვნებდა ოპოზიციის იდეურ სახეობას, მომავლის ქვეყანაც აზრთაჭიდილის მოდელზე აშენებული უნდა ყოფილიყო, მომავლის საქართველოც“ (47).

„მამის ზურგჩანთა“ „ნატეხებში“ იმავე დატვირთვის მქონე ენიგმაა, რაც „მამაჩემის ჩემოდანი“ ორჰან ფამუქის სანობელო სიტყვაში, სინტაგმა, როსტომ ჩხეიძე სხვა ბიოგრაფიული „ნატეხების“ — ვაჟა-ფშაველას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ნათხზი „დევიზის სტუმრის“ ეპილოგის სათაურად რომ გაიტანს. კონსტრუქცია არსებითია, რადგან შვილმა უნდა იცოდეს და გაიაზროს, „სად და რაზედ გაჩერდა მამა.“

ზურგჩანთასთან ერთად, არსებითია „ხევილი კოლხური საიდუმლო დამწერლობით აჭრელებული ზანდუკის“ პარადიგმაც, ზანდუკისა, რომელშიც გერმანულ ბინაში წიგნებს, ქართველ მეფე-დედოფალთა სურათებს, გერმანული კულტურის ისტორიის ტომეულებს ინახავდა მამა.

„კოლხეთისათვის ბრძოლა ზურგჩანთების მოძღვრება გახლდათ“, პოსტმოდერნისტულად ზუსტი და ტრაგიკულად გროტესკული ციტატაც და როსტომ ჩხეიძისეული კომენტარაც, რაკი ნაციონალ-სოციალისტების ჟამს (სულერთია, გერმანული თუ „საბჭოთა“-ს ფსევდო-იმპერეპრეზენტული რუსულის) პტოლემე, არიანე, ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი ზურგჩანთაში რჩებიან, რათა საუკუნეთა შემდგომ უცხოეთში დაბადებულ ყრმას გარდასთოს საქართველოს მოდელი — მშობლიური ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული სახე წარმოუდგინონ, წარმოადგენინონ.

სიყვარულით ამოხატავს (და ამოუხატავს) მშობლის მამა რუკებიდან გამქრალი სამშობლოს საზღვრებს. „გულისყურგან-მარტებული“ მკითხველი გრძნობს, „რა ნესტრით ნახვლევით“ წერს როსტომ ჩხეიძე შემდეგ სტრიქონებს: „ტიტე მარგველაშვილი სტრაბონს მიჰყვებოდა კავკასიონის მთავრებისას გასწვრივ შავი ზღვის სანაპირომდე პიტინტისა და დიოსკურიის რეგიონამდე, სადაც მას საოცარი სახელწოდების მდინარე კორაქსი (კოდორი) ჩრდილოელ მეზობელთაგან — შენიხებისაგან ჰყოფდა ... სამხრეთით — მესხეთის მთები, იქიდან დასავლეთით ტრაპეზუნტამდე უნდა ჩაგელნიო...“

მამისა და შვილის საკრალურ, არსობრივ იგივეობას ლაპიდარული ციტატა აირეკლავს: „ყმანვილს ეამაყებოდა, რომ მამას მტკიცედ ეპყრა განსჯისა თუ კამათის სადავეები, თავის ქვეყნისა საუცხოო კოლხური მკედით ქსოვდა და აინუნშიც არ აგდებდა ძველ ტოპოგრაფებს, გვერდით რომ ამოსდგომოდნენ და მაკრატლებს აჩხაკუნებდნენ.“

„მაკრატლები ჩხაკუნებდნენ“ ნაციონალ-სოციალისტების ზეობის ჟამსაც, დღესაც ჩხაკუნობენ. დღეს — იქნებ, უფრო ძალუმადაც.

ყმანვილური ხედვა — ყრმა გივი მარგველაშვილის ფანტაზია „კაპიტან ვაკუშში“ ენიგმურ სახედ ტრანსფორმირდება — „შორეული სამშობლო ლიფტს მოაგონებდა — ქვეყნიერების ძველ შენობაში — ალბანეთის, იბერიისა და კოლხეთის სართულებს გავლით სწრაფად ადიოდიტ სახურავზე — ევროპაში, ან, პირიქით — კოლხეთის, იბერიისა და ალბანეთის გავლით სწრაფადვე ეშვებოდათ პირველ სართულზე — აზიაში.“

კლასიკური პოსტმოდერნისტული ხილვაა, ბორხესის ლაბირინთების ჯუფთი.

იბერიის ტყეები, თეთრი მთვარე, წმინდა გიორგი, წარმართულისა და ქრისტიანულის ოქსიმორონით „თეთრ გიორგიდ“ სახელდებული — უძველესი და უნათლესი სივრცეები ეიმედებოდა ემიგრანტ მამას, გრიგოლ რობაქიძესავით,



მასაც სჯეროდა, „ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მუსოლინიმ მუშტი დაარტყას მაგიდას და შეუთვალოს ბოლშევიკებს, რას სჩადიხართ საქართველოში“ (1923 წელს სპირიდონ კედიასადმი გიორგი მარჩაბლის წერილის ციტატას დაიმონებებს როსტომ ჩხეიძე)...

მარადიული „წყველაკრულვიანი საკითხავი“ — ემიგრანტთა მცდელობა, „საქართველოს საკითხი ჯგროვინად გაცენოთ ევროპისათვის“... „ერთიანად ატორტმანებული ევროპისათვის“, თავი რომ გასჭირვებოდა.

„წყალმემდგარი“ გერმანიის, ზოგადად, ატორტმანებული მსოფლიოს ენიგმად ჩნდება როსტომ ჩხეიძისეული, ლაპიდარული კომენტარი — თითქოს ძველთუქველესი „ჟამიდან გადმოსულიყო ახალ დროებაში ცისადცილობა, მთვარეულობა და სომნამბულიზმი.“

პოსტმოდერნისტული გროტესკი — „ცისადცილობა“ (ემუაკეულობის ბიბლიური სინონიმი) თეთრი მთვარის მორჩილებას გამოიცხავს, მით უმეტეს — თეთრი გიორგისას... ხაზგასმულია „გამაოგნებული იგივეობა ძველთაძველი და ახალთახალი ეპოქებისა.“

მამის ბედი ენიგმურია — ბერლინის ბრიტანულ-ამერიკული ანკლავიდან საბჭოთა პროტექტორატის ველში მოტყუებით შვილთან ერთად გადმოყვანილს საბჭოეთში ჩამოიყვანენ და დახვრეტენ (კორნელი ხომლიანიასა და ვალერიან ტოგონიძესთან ერთად).

„აღმოსავლური რენესანსის იდეის“ შემოქმედის სახელიც („პლატოს და ქუჩას რომ ჰქვია თბილისში“) გაილეგებს ეპოქალურ დუნდგოში (ბერლინის აღმოსავლეთ ზონაში საშობი არაფერიყო, მარანმუნებს ტიტე მარგველაშვილს, მაგრამ „შურისმაძიებელ ჰამლეტს“ არასოდეს დასცდება აუგი, ეგებ, არც არაფერი იცოდა და ეს ხმებიც რეჟიმის მიერაა დაყრილი (მოგვაგონდება ციტატა გივი სომხიშვილის რომანიდან „ამომავალი შავი მიზე“ — „მთავარია, ლამაზად დავაბრალდოთ“). მამა მართებულად მოიხიბლებოდა „აღმოსავლური რენესანსის იდეით“, ძალიან რომ უნდა შესწეოდა ქართული კულტურის გასვლა-დამკვიდრებას საერთაშორისო ასპარეზზე, დაემტკიცებინა დასავლეთისათვის კავკასია-საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი მსოფლიო სულიერ ისტორიაში.

აკაკი განერელიას, რომან რეხილაძის, დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულების საპირწონედ „ნატეხებში“ ვკითხულობთ, რომ „შალვა ნუცუბიძის ავტორიტეტი და პოპულარობა ბევრად სჭარბობდა მისი სახელის გასატეხად გავრცელებულ ხმებს.“

ურმით მოწონილად ბედი-მდევარი ნითელ იმპერატორსაც დაენოდა და ლავრენტი ბერიასაც. ისინი არ იყვნენ „ჰატრონი“, როგორც შალვა ნუცუბიძეს უწოდებს თამაზ ჩხენკელი, ნუცუბიძეს, ვისაც ხალხმრავალ დარბაზში ქართველთა ნატიფი გემოვნების, „აზიაცკების“ ქეზისას შეედლო ქართველთა ეთიკა, „არ გვიყვარს ჩვენ სალდათის მძიმე ჩქემაო.“

მეტყველია „ნატეხების“ პასაჟი: „იდეა თამაზ ჩხენკელი შალვა ნუცუბიძის ჯერ კიდევ თბილ სამარესთან, ჭიქა ღვინით შესანდობარს უთვლიდა კიდევ ერთ გარდაცვლულ პატრონს, კიდევ ერთ წინამძღოლს ქართული კულტურის უწყვეტობის შესანარჩუნებლად და გასალწევად საერთაშორისო ასპარეზზე.“

„მამის ნინაშე ყოველი შვილის რიდი-თა და შიშით“ (151), ლვთაებრივი კრძა-

ლვით აღზრდილს, გივი მარგველაშვილს ჰამლეტური შურისგება უნდა აღესრულებინა. ჯერ ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში გამომწყვედულმა, შემდეგ განთილებულ სამშობლოში იძულებით დაბრუნებულმა ძემ მამისგანვე იცოდა მთავარი — „მისი ქვეყანა ჩაკარგულიყო ტერიტორიული შემოზღუდულობით, მაგრამ კულტურის ხანგრძლივობითა და თავისთავადობით დიდ სივრცეებში გადაჭრილიყო. აღმოსავლური რენესანსის თეორიაც სხვას რას ირწმუნებოდა და ადასტურებდა, თუ არა ქართული კულტურის თვითმყოფადობასა და მადლმოსილებას, დასავლეთსაც რომ უნდა შეეცნო, დაესაჭიროებინა ეს კულტურა, როგორც გამორჩეული ფერი მსოფლიო რუკაზე?“

გამოთხოვებისას ნაჩუქარი მამისეული საათი „ხმაურისა და მძვინვარების“ პასაჟს აცოცხლებს მეხსიერებაში, ოღონდ — არა „დროის დასაინყებლად“, არამედ — სწორედაც დროის მეტაფიზიკური არსის, მეტაფიზიკურში გამოვლანდული ფიზიკურის, ჟამის ჟამიანობის გასააზრებელ-გასაცნობიერებლად. ამასაც დასძენდა მამა, აქედან რომ გახვალ, ამერიკის საელჩოში მიდი და შინ დაგაბრუნებინო.

მწერალი-ბიოგრაფოსი პარალელს გაავლებს ოთარ ჩხეიძის „ბორიაციის“ მამაშვილ ოცხლებთან, რომელთაც სწამდათ, რომ „შეხედულებებისთვის არავინ ისჯება განათლებულ ქვეყანაში“ (ფატალური, ტრაგიკულ-გროტესკული მახვილი აქ განსაზღვრება „განათლებულს“ მოუდის).

როსტომ ჩხეიძის რემარკა საგულისხმოა და საცნაური: „ამხელა გონებისა და ერუდიციის კაცს მაინც ვერ წარმოედგინა საბჭოთა რეჟიმისა და სისტემის მასშტაბები, ის ეგოცენტრიული საფუძვლები, საიდანაც ეს საშიში სახელმწიფო ამოზრდილიყო, კაცობრიობის გადაგვარების მოზადინე, რუსეთის მეოთხე რომობის იდეით გონებაარეული.“

ჰამლეტური შურისძიება სიტყვით უნდა აღსრულებულიყო (რა თქმა უნდა, ეს არ იყო „სიტყვები, სიტყვები, სიტყვები“, არამედ — საკრალური სიტყვის სეკულარული ტრანსკრიფცია, „კაპიტან ვაკუშად“, „მუცალად“, „უზუნაეს კორექტიურად“, „მყურებელთა დარბაზებად“, მინიატურებად, ფილოსოფიურ ესეისტიკად ტრანსფორმირებული, იმავე ტკივილის დამმარხველი, რისაც ბილის „უკაცო სახლი“ თუ მანის „დოქტორი ფაუსტუსი“ — კულტურა — „ჯოჯობე-თური სამოთხის „ერთადერთ საპირსად“ რადგან იავარქმნილიყო „ჰამლეტის“ ორივე სამშობლო — გერმანია და საქართველოც — პირველი „მემარცხენეებსა“ და „მემარჯვენეებს“ (საბჭოეთისა და მოკავშირეების ენიგმები) გადაეწანა ილენბინათ, მეორე კი დიდი ხანია წაენის-ლა მსოფლიო რუკის ერთ მეექვსედზე გადაჭიმულ „მონსტრუოზულ“ (ბროდსკი) სახელმწიფოს.

1999 წელს „კავკასიურ სახლში“ საზოგადოებასთან შეხვედრისას გივი მარგველაშვილი უთქვამს: „ძალის კულტის არის ბიოლოგიიდან ჩვენში შემოპარული. ჩვენ უნდა შეგვეძლოს მისი ფრჩხილებში ჩასმა — ეს არის ადამიანურობა“ (ნაირა გელაშვილის განსაზღვრებით — „ქრისტესმთიერი ეთიკის ფილოსოფიური დასაბუთება“, უფლისეული მაქსიმა, ნუთისოფლისათვის აბსოლუტურად გაუგებარი — „ძალი ჩემი უძღურებასა შინა სრულიქმნების“).





დასასრული

როსტომ ჩხეიძე „ვაკუშის“ გასაღებად „მუცლის“ სტრიქონებს იაზრებს — „მე წიგნის გმირი ვარ“ — ზნეობრივი ინტელექტუალი თავად წერს თავისი ცხოვრების წიგნს, თავად ირჩევს საკუთარ დროსა და სივრცეს, რადგან მისი უდიდებულესობა — წარმოსახვა მომადლებია, ზნეობრივი არჩევნის უნარი.

მწერალი ბიოგრაფიიდან კვლავ პოსტ-მოდერნისტულ ლიტერატურულ სივრცეში გვაბრუნებს, მიგვანიშნებს, რომ (გავიმეორებთ) წიგნებში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში, ერთგვარ „კასტალიაში“ გადასახლება ინტელექტუალური, ეთიკური არჩევანია — ყოფიერების აუტანელ სიმძიმეში.

როსტომ ჩხეიძის დეფინიციით, „გივი მარგველაშვილის ფენომენი, ...მისი მხატვრული წარმოსახვა გვამცნობს, რომ სამყაროს ისტორიაც და ადამიანიც ისეთივე ტექსტია, როგორც — დანერვილი თხზულება. ისტორია და ყოფიერება ტექსტების ურთიერთზეგავლენა, ერთმანეთთან ბრძოლა თუ კავშირია — ეს არ უნდა აღვივებთ მეტაფორული აზროვნების გამოვლინებად, რადგან ეს მისი არსებაა, მისი ცხოვრების სტილი. ამიტომაც შეიგრძნობს თავს შინ ორ ყდას შორის, ნამდვილ ბინასაც მხოლოდ წიგნის ფურცლებზე პოვებს.“

გივი მარგველაშვილის პოსტმოდერნისტული სივრცის (რაც, როსტომ ჩხეიძის შეფასებით, „გზამკვლევა დასავლური სამწერლო პროცესებისაკენ“ (115) მომავალი მკვლევარი ქართული და გერმანული კულტურულ-ესთეტიკურ-ისტორიული რეალიტების (ენებზე რომ არაფერი ვთქვათ) ზედმიწევნით მცოდნე უნდა იყოს, სხვაგვარად წარმოუდგენელია ამ მრავალშროვანი სამყაროს გააზრება. ოთარ ჩხეიძის, ნაირა გელაშვილის, ლევან ბრეგვაძისა და როსტომ ჩხეიძის ტექსტები მკვიდრ ლიბოს ქმნიან ქართული ისტორიით ინსპირირებულ ამ პირწმინდად ევროპული მსოფლალქმის კვლევისათვის, სამყაროს, რომლის გაუთვალისწინებლადაც შეუძლებელია XX საუკუნის საქართველო-ევროპის როგორც ისტორიული, ასევე ესთეტიკური აბრისის სწორი აღქმა. ლიბოც არის და ლიბოც — დასახელებულ შემოქმედთა ესეები თუ რომანი თვითმკმარი ლიტერატურული არტიფაქტებია.

ისტორიის ესთეტიკურ-ეთიკურ ასპექტებზე (ასეთი გზებით რომ იკვლევს ჰესე რომანში „თამაში რიოში მარგალიტებით“) დაფიქრებისას როსტომ ჩხეიძე გივი მარგველაშვილის მსოფლალქმის მრავალთაგან ერთ უარსებით ნახნაგზეც გაამახვილებს ყურადღებას: „ეს უკანასკნელი ხომალდია. წარსულიდან აღარაფერი გენვევა, შენი მოგონებები ამოიწურა“ — საბედისწერო გაფრთხილებას მოაზროვნე სასონარკვეთით როდი უპასუხებს — სულსიმძვრელ შიშს — „ნუთუ, მთავრდება კითხვა-ცხოვრების წიგნი, მოგონებების გარეშე როგორ განვავრდო საკუთარი თავის კითხვას (უკანასკნელ კონსტრუქციას „პირწმინდად მარგველაშვილისეულ სიტყვათშეთანხმებად“ ნათლავს მწერალი-ბიოგრაფოსი) საპირწონედ შეაგებებს სიბრძნის — „ყოველი კუთხიდან გამოიხმოს სხვათა(!) წარსული და მოგონების ხნიერ ყურეში შეაგზავნოს“, რათა უპასუხოს მთავარ კითხვებს: „ვინ არის ადამიანი? საიდან მოდის? საით მიდის? და ვინ ცხოვრობს იქ, მაღლა, ოქროსფერ ვარსკვლავებზე?“

მხოლოდ უბირთ სჯერათ, რომ „თავის ჟამსა და სამყაროს (თუნდ ყველაზე უფრო უბადრუკს) ვერავინ გასცდება და ვერ დამარხავს“

„ვინ?“ „საიდან?“ „საით?“ — ის ფიქრებია, ოთარ ჩხეიძეც, ნაირა გელაშვილიც, ლევან ბრეგვაძეც და როსტომ ჩხეიძეც გივი მარგველაშვილის შემოქმედების (ყოველი მოაზროვნე ადამიანის ცხოვრებისაც) მთავარ კითხვებად რომ იაზრებენ. „ნატეხების“ ავტორი ნაირა გელაშვილის ნააზრებვიდან პირდაპირ ციტირებს

ნანა კუცია

სიტყვისმიერი შურისძიება



უარსებითეს: „პოეტს შეუძლებელია არ გადაეცეს დასაკლავად წაგვრილი, მთელი სხეულით სიკვდილის წინათმგრძობი პირუტყვის ცახცახი, მისი შეძრწუნებული ბლავილი, როგორი მონუსხულიც არ უნდა იყოს რელიგიური რიტუალის საზეიმო განწყობით. ვინც მიწიერი ხდომილების ფუნდამენტს — ორადობასა და წინააღმდეგობას ვერ ხედავს, ის შეიძლება ნორმალური მორწმუნე იყოს, მაგრამ მოაზროვნე და ხელოვანი ვერასოდეს იქნება.“

„პერსონაჟების მესიად“ სახელდებული ავტორისაგან მოულოდნელი არაა განწირულ ყრმათა მათეს სახარებებიდან ლუკას სახარებაში „გადმოსახლება“, ოდისევის გამოცხადება სიზიფეს შთამომავლად, ახალ გენეალოგიურ შტოთა აგება... როსტომ ჩხეიძე პასაჟებს რეგრენად გადაევენებს გალაკტიონისეულს: „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მიწა“ — შემოქმედების უზუსტეს და ლაპიდარულ დეფინიციას, გივი მარგველაშვილის შემოქმედებითი აბრისის მოხაზვისას ნაირა გელაშვილის სიტყვათშეთანხმებას გაიმეორებს (როგორც ყველაფერი ჭეშმარიტი, ეს დეფინიციაც ბასრია და მტკიცენული) — „ემიგრაცია უანწყო ქვეყნიდან“ (178).

„უანწყო ქვეყნის“ პარაბოლური ხატება „ნატეხების“ მეთერთმეტე თავში ტიპური ბორხესული მოდელით იგება, სათაურიც საგულისხმოა და შთამბეჭდავი — „ფარსი უხილავი მყურებლისათვის.“ როსტომ ჩხეიძე წერს, როგორც თავად გივი მარგველაშვილს ეწვეოდა ხოლმე შთაგონება სხვათა თხზულებების გადაშლისას, სხვანიც შთაგონებულიყვნენ მისი სიუჟეტებითა და პერსონაჟებით და ნიმუშად დაიდასტურებს კოტე ჯანდიერის მოთხრობას „განსხვავებული კალიბრის ვაზნა.“ ნარატივის ინსპირაცია პიესა „მყურებელთა დარბაზები“, მარგველაშვილისებური ლიტერატურული თამაშითა და სილალით აღბეჭდილი.

მარგველაშვილისეული პერსონაჟის — შემლილი მეფის მრწამსით, „ისტორია უხილავი მყურებლისათვის დადგმული ფარსია, თავად კი — გათამაშებული წარმოდგენის ერთ-ერთი მონაწილე, რაც იწვევდა მის აკვირებულ სიძულვილს მყურებელთა დარბაზების მიმართ. ჯანდიერის პერსონაჟი არ იზიარებს ამ თვალსაზრისს — „მეფე ვერ გრძნობს, რომ იმდენადვეა მყურებელი, რამდენადაც მსახიობი, ისტორია ყოველსმომცველი

თეატრის სცენაზე გათამაშებული ერთადერთი დრამა როდია, არამედ — ერთმანეთთან დაკავშირებული, ერთმანეთში ჩანერილი თეატრების ლაბირინთი, სადაც პიესათა უსასრულო რაოდენობა ერთდროულად მიმდინარეობს... ერთი თეატრის მყურებელი მეორე თეატრის მსახიობია, მესამე თეატრის მსახიობი — მეორე თეატრის მყურებელი... რეჟისორი ყველაზე შორსმჭვრეტელი და ძლევამოსილი მყურებელია.“

„კროსვორდით ამოსახსნელი სიუჟეტი“, რაც მარგველაშვილის ტექსტებს ეკოსა და პავიის თხზულებებსაც ამსგავსებს, როსტომ ჩხეიძის საგულისხმო დასკვნისათვის ნააქვებს: „რუსთაველის თეატრი მხოლოდ ნაწილი იყო იმ უსასრულო თეატრალური ლაბირინთისა, რასაც „ისტორია“ ჰქვია... სანდრო ახმეტელის ჰეროიკულ-რომანტიკული თეატრი იყო მცირე წერე, ჩახაზული ლავრენტი ბერიას პოლიტიკური თეატრის დიდ წრენიში, რომელიც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ფართო და სისხლიანი საკავშირო თეატრის ნაწილს წარმოადგენდა.“

კოტე ჯანდიერის დასკვნით, სანდრო ახმეტელი არ მოინდომებდა გადაქცეულიყო მსახიობად ბერია-რეჟისორის ხელში, რასაც მოხდენილად ნათლავდა „მარგველაშვილის მეფის ეფექტად“: „განსხვავებით ახმეტელისაგან, რომელიც თავის მსახიობებს პეროიკულ, სტილიზმამდე ამალღებულ სულს შთაბერავდა, ბერია მყურებელთა ქვენა ინსტინქტებზე მოქმედებდა, უწყოდა, ხალხს სანახაობა უყვარს, მომეტებულად — სისხლიანი. ამას კარნახობდა ისტორიის თეატრალური გამოცდილება, რომის სისხლით მორწყული ფორუმიდან მოყოლებული, „სილნარის პროცესით“ დამთავრებული... ეპოქის საუკეთესო რეჟისორთაგან ერთი ნათლის ერთგული მსახური, მეორე — წყვილი სისხლიანი მონა იყო.“

საბჭოური ტერორის ულმოობობა, ბერიას ცინიკური რეჟისორული ჩანაფიქრი მუდამ ადამიანის მორალური განადგურება იყო, კონსტატირებულია „ნატეხებში.“ ბიოგრაფიული „ნატეხებით“ ქვეყნის ყოფის ამრეკლავი ერთიანი პანო იქმნება, მთავარი „წყველაკრულიანი საკითხავი“ კვლავაც აქტუალურია:

„გერმანიაში დღესაც ისევე უცნობია საქართველო, როგორც ამ საუკუნის ოციან წლებში, პირველი ემიგრაციის დროსო, გულისტკივილით შენიშნავდა გივი მარგველაშვილი. როსტომ ჩხეიძის

რემარკა — „და თუ ეს ასე არ გახლდათ, რატომ არ აღიარებულყო საქვეყნოდ, თურა მოხდა სინამდვილეში სოხუმისა და ცხინვალის გარემოში?! რატომ არ გაცხადებულყო, რომ ეს იყო რუსული იმპერიული დაპყრობითი პოლიტიკა, გენოციდი ქართველი ერისა რუსთა მიერ და არა ეთნოკონფლიქტები?!“

„ნატეხების“ არა ობერტონად, ძირითად მოტივად აღიქმება პასაჟები: „დავუკვირდეთ გივი მარგველაშვილის მხატვრული სამყაროს ქართულ საფუძვლებს, ჩვენი ტრადიციის, ჩვენი ტკივილთა შთამბეჭდავ წარმოსახვასა და დაუმცხრალ მცდელობას, საქართველო გაეყვანა საერთაშორისო ასპარეზზე, მოექცია დასავლური აზროვნების შუაგულში, ევროპულ-ამერიკული ლიტერატურის ნაკადში — მის სრულყოფილებიან მონაწილედ. ჯეიმზ ჯიოსის მცდელობისა არ იყოს, ვერც გივი მარგველაშვილი შეურიგდებოდა საქართველოს მიჩნევას პროვინციად, რადგანაც ის თავისი უძველესი კულტურითა და დღევანდლობით უშუალო მონაწილე უნდა ყოფილიყო დასავლური სამყაროს საზოგადოებრივი ცხოვრებისა... თუნდ „ალუდა ქეთელაურს“ სთავაზობდა თარგად ყველას — ტრაგიზმისა და ჰეროიკის ჩაუმრეტლობის დასტურს...“

„ნატეხებში“, გარდა მწერლის შემოქმედების უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული ასპექტებისა, ასევე უაღრესად საგულისხმოდ კონსტატირდებოდა ესთეტიკური, ჟანრობრივი აბრისიც (გავიმეორებთ): „გივი მარგველაშვილის შემოქმედება მოგვიანებით კი შეუერთდებოდა ახალ ნაკადს, პოსტმოდერნიზმად სახელდებულს დასავლურ ლიტერატურასა და, საერთოდ, ესთეტიკაში, მაგრამ ქრონოლოგიური თვალსაზრისით მის სათავეში დაუმკვიდრებია ადგილი და ასეც შეაფასებს მის მხატვრულ ძიებებსა და ექსპერიმენტებს ლიტერატურის ისტორია.“

როსტომ ჩხეიძის დაკვირვებით, ისიც უარსებითესია, გივი მარგველაშვილს „ჰამლეტური განსჯა“ ყოფნა-არყოფნის“ სატიკვირისა „ჰამლეტად ყოფნა-არყოფნის“ სატიკვირად [რომ] გარდაეხსნა (ამავე სათაურის ლექსშიც, მთელ შემოქმედებაშიც — ნ. კ.) — სრულიად ახალი შტრიხი შემოეტანა ამ ხასიათის უამრავ გააზრებაში.“

რევაზ სირაძე „დავითიანის“ გააზრებისას წერდა: „გურამიშვილის ცხოვრებისა და იყო ლაბირინთი. თავისი ცხოვრებით ჩარჩა იმ ლაბირინთში, მაგრამ ლაბირინთს თავი დააღწია „დავითიანმა“ — პოეტის სულმა... გურამიშვილს საოცრად ახსოვს ქართული ენა — მისთვის ესაა რაღაც ერთიანი, ყოველსმომცველი სინამდვილე, რომელშიც ცხოვრობს და შედის, როგორც ეკლესიაში“ (რევაზ სირაძე, გზა და ლაბირინთი (დავით გურამიშვილი), „არილი“ N17, 2000, გვ.5).

მკვლევარი „დავითიანს“ ემიგრანტის „თვითმეცნების“ წიგნად ნათლავდა (დავით გურამიშვილის ესთეტიკისათვის, სახისმეტყველება, თბ., 1982, 224).

თუმცე გივი მარგველაშვილი ქართულად არ წერს, მისი თემა ქართულია, მწერლის მთელი შემოქმედება თვითმეცნებაა, საკუთარი ქართული ფეხვების გააზრება, უცხოეთშიც და სამშობლოშიც ემიგრანტობისთვის განირულის ჩაღრმავება საკუთარ სულში — ყოფიერების ლაბირინთიდან წიგნში (წიგნად) გამოაღწევს მოაზროვნის სული.

გივი მარგველაშვილის ბიოგრაფიული „ნატეხების“ როსტომ ჩხეიძისეული ვერსიის ნაკითხვის შემდეგ ჩნდება განცდა, რომ აღესრულება ყველაზე გამართლებული, ყველაზე მართალი შურისძიება — „ქმნა მართლისა სამართლისა“ — სიტყვით, რადგან სიტყვავე ბრძანებს: „ჩემია შურისგება და მე მივაგო.“

„და ღამეში ჩაძირული, დიდი ვარსკვლავის ქვეშ განაბული პატარა ქოხიდან თითქოს სიხარული გამოიციაგებს — თამაში, სასწაული, სილავ, მრავალსახეობა გადარჩენისა“ — გადარჩენისა მსხნელი, მამისეული, მთავარი სიტყვით.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004